

343

Ո - 777

LEHA:



Երեւանի տնտեսական
ֆեդերացիայի կազմակերպություն

ՆԱԴԻՐԱԾՈՒԹՅՈՒՆ

ՆՈՒՆԵՐՈՆ

ՆԱԺԻՐԱԾՈՒԹՅՈՒՆ

ՏՈՒՆԻՍԻԱ ԵՎ ՄԱՐՈՒՄԱՐՈՒՆԻ

843/075-8

თ-747

ნოღარ თოფურიძე, ზვიად ცაგარეიშვილი

საერთაშორისო

სისხლის სამართალი



თეორია და პრაქტიკა

რ 3012 -

თბილისი
2003

ნოდარ თოფურაძე, ზვიად ცაგარეიშვილი
საერთაშორისო სისხლის სამართალი
თეორია და პრაქტიკა

რედაქტორები:
ანა ჭაბაშვილი
მალხაზ კობიაშვილი

რეცენზენტები:
მერაბ ტურავა
კონსტანტინე კორკელია

დიზაინი და დაკაბადონება:
გიორგი ტაბლიაშვილი

საავტორო უფლება © 2003 გამომცემლობა „დიოგენე“

პირველი გამოცემა 2003

ყველა უფლება დაცულია

ISBN 99940-16-39-3

გამომცემლობა „დიოგენე“
თბილისი 0179, კეკელიძის ქ. 6
ტელ. 95 63 94
ტელ./ფაქსი 96 79 71
ელფოსტა diogene@ip.osgf.ge

რეცენზია

წინამდებარე ნაშრომი ასახავს თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართლის მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. წიგნში განხილულია საერთაშორისო სისხლის სამართლის, როგორც იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგის, წარმოშობის ისტორია, აგრეთვე საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი იურისდიქციის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, სახელმწიფოთა ვალდებულებებთან და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები. წიგნი ასევე იხილავს ისეთ დანაშაულთა ბუნებას, როგორიცაა: გენოციდი, აგრესია, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ომის დანაშაული, ნარკოტიკების უკანონო მიმოქცევა და ტერორიზმი. ამასთან, ნაშრომში გამოყენებულია საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალებისა და სხვადასხვა სახელმწიფოს მართლმსაჯულების ორგანოთა მიერ გამოტანილი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი. ავტორები ნაშრომში ასევე გვთავაზობენ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წესდების — რომის სტატუტის ანალიზს და მიმოიხილავენ ამ სასამართლოს განსჯად დანაშაულთა ელემენტებს.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, ასევე პრაქტიკოსი იურისტებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

ავტორები მადლობას უხდიან ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ სახელმძღვანელოს გამოცემისათვის.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი -----	5
✓ ინდივიდუალური პასუხისმგებლობა -----	13
სახელმწიფოთა ვალდებულებანი -----	19
იურისდიქციის განმსაზღვრელი კრიტერიუმები	
საერთაშორისო სამართალში -----	22
მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	
JUS AD BELLUM -----	29
✓ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული -----	39
რომის დანაშაული -----	48
JUS IN BELLO -----	55
ტერორიზმი -----	67
ნარკოტიკების უკანონო მიმოქცევა -----	75
რომის სტატუტი -----	79
✓ დანაშაულის ელემენტები -----	111
გამოყენებული ლიტერატურა -----	164

შესავალი

შესავალი

საერთაშორისო სისხლის სამართალი საერთაშორისო საჯარო სამართლის დამოუკიდებელი დარგია, რომელიც საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლაში, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების რეგულირების საკითხებს შეისწავლის. საქართველოში იგი ფორმირებისა და განვითარების სტადიაში იმყოფება.

საერთაშორისო სამართლის ეს დარგი ორი დისციპლინის - საერთაშორისო სამართლის სისხლისსამართლებრივი ასპექტებისა და შიდა-სახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტების თანხვედრაში აისახება.*

საერთაშორისო სისხლის სამართალი, საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ დარგად ძირითადად XIX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მას საკმაოდ ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება საერთაშორისო სისხლის სამართლის ისეთ უძველეს ინსტიტუტს, როგორიცაა დამნაშავეთა გადაცემა - ექსტრადიცია.

ექსტრადიციის არსებობას მოწმობს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1296 წელს ხეთების ხელმწიფის, ხათუსილ მესამისა და ეგვიპტის ფარაონ რამზეს მეორეს შორის დადებული შეთანხმება, რომლის თანახმადაც, „მას, ვინც ეგვიპტიდან ხეთების ქვეყანაში გაიქცეოდა, ხეთების ხელმწიფე კი არ დაატუსაღებდა, არამედ რამზესის სახელმწიფოში დააბრუნებდა.“ ამ ტიპის შეთანხმებები გვხვდება ცალკეული ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების ურთიერთობებშიც.

შუა საუკუნეების საერთაშორისო ჩვეულებები და ხელშეკრულებები უკრძალავდნენ სახელმწიფოებს თავიანთი სისხლის სამართლის კანონებისა და იურისდიქციის გავრცელებას სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე. სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მიმნიჭებული საერთაშორისო ჩვეულებები. მნიშვნელოვნად იცვლება დამნაშავეთა ექსტრადიციის ინსტიტუტის შინაარსიც. ხდება თავშესაფრის უფლების დაკანონება, რაც, თავის მხრივ, პოლიტიკურ შეხედულებათა გამო პირთა გადაცემის დაუშვებლობას გულისხმობს.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების პერიოდში აქტიურად ხორციელდება სახელმწიფოთა ეროვნული სისხლის სამართლის სისტემების ფორმირება. ამასთან, სახელმწიფოთა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ინსტიტუტები და დანაშაულის სახეები ოდნავ თუ

*იხილეთ M.Charif Bassiouni, An appraisal of the Growth and Development of International Criminal Law, 45 Rev. Until DE DROIT PENAL 405 (1974)

განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს გარემოება უადვილებს სახელმწიფოებს ამოცანას, აღმოუჩინონ ერთმანეთს სამართლებრივი დახმარება სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით.

მეკობრეობის, მონებით ვაჭრობის, ნარკოტიკების უკანონოდ გავრცელებისა და იმ სხვა დანაშაულის გამოჩენამ, რომელიც რამდენიმე სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, სახელმწიფოთა შორის მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა წარმოშვა, რაც ეროვნული (შიდასახელმწიფოებრივი) სისხლის სამართლის ნორმების უნიფიკაციებაში გამოიხატა.

1889 წელს, ცნობილი კრიმინალისტებისა და კრიმინოლოგების (ლისტი-ბერლინი; პრინსი-ბრუსელი და ვან ჰამელი-ამსტერდამი) ინიციატივით, ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის საერთაშორისო კავშირი, რომელმაც სახელმწიფოებს მოუწოდა, განეცხადებინათ საერთაშორისო სისხლის სამართალი, შეესწავლათ და დაედგინათ საერთაშორისო დანაშაული. ამ კავშირის მიზანს, არა მხოლოდ საერთაშორისო დანაშაულთა დევნის მეთოდების დახვეწა წარმოადგენდა, არამედ საერთაშორისო დამნაშაევების გამომწვევი სამართლებრივი, ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური მიზეზების გამოკვლევა და შესწავლა იყო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, XIX საუკუნეში, სახელმწიფოები უკვე მჭიდროდ თანამშრომლობენ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთან ბრძოლაში. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ისეთ დანაშაულს, როგორიცაა დამონება და მონებით ვაჭრობა. ამ საკითხთან დაკავშირებით 1815 წელს ვენის კონგრესზე სპეციალური დეკლარაცია იქნა მიღებული, 1818 წელს კი, აახენის ცნობილმა კონგრესმა დაგმო შავკანიანებით ვაჭრობა და ეს ემდეგა დანაშაულად გამოაცხადა. 1841 წელს ინგლისს, საფრანგეთს, რუსეთს, ავსტრიასა და პრუსიას შორის დადებულმა „ლონდონის ხელშეკრულებამ“ მონებით ვაჭრობა მეკობრეობის მსგავს დანაშაულად მიიჩნია და ამ სახელმწიფოთა სამხედრო-საზღვაო ზომალდებს უფლება დართო, გაეჩერებინათ და გაეჩრიათ მონებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი ნებისმიერი გემი. გარდა ამისა, გაეთავისუფლებინათ ტყვეები და მართლმსაჯულებისათვის გადაეცათ დამნაშავენი.

1885 წლის ბერლინის კონფერენციაზე თექვსმეტმა სახელმწიფომ მოანერგა ხელი კონგოს გენერალურ აქტს, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებდა მონებით ვაჭრობის დანაშაულებრიობასა და დასჯადობას. ამ აქტით აიკრძალა მდინარე კონგოს აუზის გამოყენება მონების ბაზრად. 1890 წელს, ბრიუსელის კონფერენციაზე კიდევ ერთი გენერალური აქტი იქნა მიღებული, რომელიც 100 მუხლისაგან შედგებოდა და სახელმწიფოებს ავალდებულებდა ისეთი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შემუშავებას, რომელიც პასუხისმგებლობას დააწესებდა იძულებითი დამონებისათვის და მონების გადაზიდვისათვის. მონებით ვაჭრობას უკავშირდება აგრეთვე 1899 წელს, ლონდონში

გამართული საერთაშორისო კონგრესი, რომელზეც დაგმოილი იქნა ქალებით ვაჭრობა გარყვნილების მიზნით.

საერთაშორისო სისხლის სამართლის კონცეფციის ფორმირებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების მიღებას, რომლებიც ეხებოდა ყალბი ფულის მოჭრასა და გავრცელებას, მეკობრეობას, ტერორიზმს, ნარკოტიკებით ვაჭრობასა და საერთაშორისო მართლწესრიგის ხელშეყოფ სხვა დანაშაულს.

დღესდღეობით, საერთაშორისო სისხლის სამართლის კონცეფცია საყოველთაოდაა დოქტრინალურად აღიარებული და ასახულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებში.*

ისეთი დიდი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ გროციუსი, აიალა, ვატელი და ჯენტილი, საერთაშორისო სამართლის დანაშაულს**, „ქვეყნიერების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს“, ხოლო ამ დანაშაულის ჩამდენ პირებს, „კაცობრიობის მტრებს“ უწოდებდნენ.

საერთაშორისო დანაშაული გათვალისწინებულია, როგორც ხელშეკრულებითი, ასევე ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალით. საერთაშორისო ხელშეკრულებები, საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს წარმოშობს მხოლოდ ამ ხელშეკრულებებზე ხელის მოწერის სახელმწიფოებისა და მათი მოქალაქეებისათვის. საერთაშორისო ხელშეკრულებებში ასევე სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება აისახოს საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმა. ეს შეიძლება მოხდეს, როგორც ხელშეკრულების გაფორმების ე.წ. სანქსის სტადიაზე, ასევე მოგვიანებით.

საერთაშორისო ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი საყოველთაოდ სავალდებულო ხასიათისაა. უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება, მოგვიანებით, მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის სავალდებულო ქცევის წეს-ჩვეულებად შეიძლება იქცეს. ასეთი ტრანსფორმაციის მაგალითად გამოდგება ხმელეთზე ომის წარმოების კანონებისა და ჩვეულებების პატივისცემის შესახებ 1907 წლის პააგის N. IV კონვენცია, რომელიც ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენის თანახმად, 1939 წლისათვის უკვე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, და ამდენად, გერმანიაზეც, (როგორც კონვენციის არანაწევრ სახელმწიფოზე) ვრცელდებოდა. თავად ამ ხელშეკრულების სახელწოდება კი იმაზე მიუთითებს, რომ მისი გარკვეული ნაწილი, ფორმირების სტადიაშივე საერთაშორისო ჩვეულებად იყო მიჩნეული***.

* იხილეთ მაგალითად UN GARES. 46/152 (1991)

** რომის სამართალში საერთაშორისო სამართლის დანაშაულს *Delicti Jus gentium* ეწოდებოდა.

*** იხილეთ Richard R. Baxter, *Multilateral Treaties as Evidence of Customary International Law*, 41 Brit. Y.B. International Law 275 (1966)

საერთაშორისო ჩვეულებით სამართალზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდების 38-ე მუხლის შესაბამისად, ეს არის „სამართლებრივ ნორმად აღიარებული საყოველთაო პრაქტიკა“. ამრიგად, ჩვეულებითი სამართალი შედგება ორი ელემენტისაგან: 1) ქცევის ზოგადი პრაქტიკა (ის, თუ როგორ იქცევა ხალხი) და 2) საყოველთაო აღიარება, როგორც სამართალი (ის, რასაც ფიქრობს ხალხი). ამასთან, აუცილებელია ორივე ელემენტის არსებობა და თანხედრა. ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის დინამიკა, სწორედ ქცევისა და აღბათობის დინამიკურ პროცესში გამოიხატება. ტრადიციული შეხედულების თანახმად, ჩვეულება კაცობრიობის საერთო თანხმობას ეფუძნება. ბლექსტონი ამას ასე განმარტავს: „ჩვეულება წარმოიშვა კაცობრიობის საერთო თანხმობით“⁸.

ამგვარად, საერთაშორისო ჩვეულებითი და ხელშეკრულებითი სამართალი ურთიერთმომცველია და ერთად საერთაშორისო სამართალს შეადგენს, რომელიც ცივილიზებულ ხალხთა შორის დადგენილი ჰუმანურობის კანონებისა და საზოგადოებრივი შეგნების კარნახს ეფუძნება. რაც შეეხება „ცივილიზებული ერების მიერ აღიარებულ სამართლის ზოგად პრინციპებს“, როგორც საერთაშორისო სისხლის სამართლის წყაროს, უნდა ითქვას, რომ ისინი გვხვდება როგორც საერთაშორისო სამართალში, ისე სახელმწიფოთა ეროვნულ-სამართლებრივ სისტემებში. აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო სამართლის ისეთი მთავარი პრინციპი, როგორიცაა *pacta sunt servanda*, *a priori* საფუძვლად უდევს საერთაშორისო ჩვეულებით და ხელშეკრულებით სამართალს.

მეორე მხრივ, ეროვნული სამართლის ზოგად პრინციპებს, სამართლებრივ სისტემათა მიერ აღიარებული მრავალი სახელმწიფოსათვის საერთო სამართლებრივი პრაქტიკა ან დებულებები შეადგენს. გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტის (რომის სტატუტი) 21-ე მუხლის თანახმად, მსოფლიოს სამართლებრივი სისტემების გათვალისწინებით, ეროვნული კანონმდებლობიდან ამოკრეფილი სამართლის ზოგადი პრინციპებით, სასამართლო ხელმძღვანელობს სამართლის სხვა წყაროების უკმარისობის შემთხვევაში და მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სამართალს, საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და სტანდარტებს. ეროვნულ კანონმდებლობაში გამოხატული ისეთი ფუნდამენტური პრინციპი, როგორიცაა ლეგალურობის ანუ კანონიერების პრინციპი, ასახულია საერთაშორისო ჩვეულებითი და ხელშეკრულებითი სამართლის ნორმებში.

საერთაშორისო სამართლის ე.წ. დამატებით წყაროს პრეცედენტები, სასამართლო გადაწყვეტილებები წარმოადგენს. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდების 38-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივი ნორმების დასადგენად გამოიყენება სასამართლო გადაწყვეტილებები და სხვადასხვა ერების საჯარო სამართლის ყველაზე კვალიფიციურ სპეციალისტთა დოქტრინები.

⁸ იხილეთ IV W.Blackstone, Commentaries on the Law of England 66 (1765).

ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენმა, მაგალითად, დიდი ზეგავლენა იქონია საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპებისა და კონკრეტული ნორმების ფორმირებაზე. სწორედ ნიურნბერგის პრინციპების საფუძველზე გახდა შესაძლებელი იმ საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების მიღება, რომლებიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გენოციდის, აპართეიდის, ეკოციდის და სხვა საერთაშორისო დანაშაულისათვის.

რადგან საერთაშორისო დანაშაული საერთაშორისო სამართლიდან წარმოდგება და მის ნაწილს შეადგენს, ბუნებრივია, დაისმის კითხვა — რა არის ამ დანაშაულის ნამდვილი საგანი? 315 საერთაშორისო ინსტრუმენტის მიმოხილვა⁹ ცხადყოფს, რომ ისინი 24 კატეგორიის დანაშაულს მოიცავენ და მათ საგანს წარმოადგენს:

ა. მშვიდობის დაცვა

1. აგრესია;

ბ. ჰუმანიტარული დაცვა შეიარაღებული კონფლიქტებისას, შეიარაღებული კონფლიქტების რეგულირება და იარაღის კონტროლი

2. ომის (სამხედრო) დანაშაული;

3. იარაღის უკანონო გამოყენება;

4. დაქირავებულით გამოყენება;

გ. ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა

5. გენოციდი;

6. კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული;

7. აპართეიდი;

8. დამონება და მსგავსი დანაშაული;

9. წამება;

10. უკანონო ექსპერიმენტების ჩატარება ადამიანზე;

დ. ტერორისტული ძალადობისაგან დაცვა

11. მეკობრეობა;

12. თვითმფრინავის გატაცება და საბოტაჟი;

13. საერთაშორისო სამართლით დაცული პირების წინააღმდეგ ძალადობა და ძალის გამოყენების მუქარა;

14. სამოქალაქო პირების მძევლად აყვანა;

15. საეჭრო ხომალდებზე თავდასხმა და მათ ბორტზე მძევალთა აყვანა;

⁹ იხილეთ M.Chérif Bassiouni, International Crimes: Digest/Index of International Instruments 1915-1985 (1985).

ვ. სოციალური ინტერესების დაცვა

16. ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული;
17. საერთაშორისო ვაჭრობა პორნოგრაფიული გამოცემებით;

ვ. კულტურული ინტერესების დაცვა

18. ეროვნული საგანძურის განადგურება ან დატაცება;

ზ. გარემოს დაცვა

19. გარემოს დაბინძურება;
20. ბირთვული ნივთიერებების დატაცება;

თ. საკომუნიკაციო საშუალებების დაცვა

21. ელექტრონული ფოსტის უკანონო გამოყენება;
22. ნაყალქვემა სადენების დაზიანება;

ი. ეკონომიკური ინტერესების დაცვა

23. ფალსიფიკაცია, ფულის გაყალბება;
24. უცხო ქვეყნის ოფიციალურ პირების მოსყიდვა.

პროფესორი ბასიონი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ეს 24 დანაშაული, შეიძლება ამოცნობილი იქნეს ერთი ან რამდენიმე მახასიათებლით:

1. იმ აკრძალული ქმედების პირდაპირ გამოხატული აღიარება, რომელიც შეადგენს საერთაშორისო დანაშაულს, საერთაშორისო სამართალით გათვალისწინებულ დანაშაულს, ან დანაშაულს;
2. ქმედების დასჯადი ხასიათის არაპირდაპირ გამოხატული აღიარება, მისი აკრძალვის, პრევენციის, სისხლისსამართლებრივი დევნის, დასჯის ან მსგავსი ვალდებულებების წარმოშობის მეშვეობით;
3. აკრძალული ქმედების კრიმინალიზაცია;
4. სისხლისსამართლებრივი დევნის უფლება ან ვალდებულება;
5. აკრძალული ქმედების დასჯის უფლება ან ვალდებულება;
6. დასჯის ან ექსტრადიციის უფლება, ან ვალდებულება;
7. სისხლისსამართლებრივ დევნასა და სასჯელის აღსრულებაში თანამშრომლობის უფლება ან ვალდებულება;
8. სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის საფუძვლების დადგენა;
9. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ან საერთაშორისო ტრიბუნალის ჩამოყალიბების პრეროგატივებზე დაყრდნობა;
10. დაცვის საშუალებად ზემდგომის ბრძანების მოშველიების გამორიცხვა;

ამ დანაშაულთაგან მხოლოდ ზოგიერთი შეიძლება იყოს „სახელმწიფოებრივი ქმედების“ შედეგი, სხვები კი – არა.

გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი ნორმები უმეტესწილად ადამიანის ძირითადი უფლებების დასაცავადაა მოწოდებული, ვინაიდან, ადამიანის უფლებათა დაცვა და მათი დარღვევის კრიმინალიზაცია მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან.

თუ ზემოხსენებულ 24 დანაშაულს გავანალიზებთ, დავრწმუნდებით, რომ ზოგიერთი მათგანი, უშუალოდ ენებს კაცობრიობის მშვიდობასა და უსაფრთხოებას, არყვეს ადამიანის ცნობიერებას, მაშინ, როდესაც სხვები უარყოფითად მოქმედებენ მხოლოდ გარკვეულ საერთაშორისო ინტერესებზე. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს საერთაშორისო დანაშაულთა დაყოფას *stricto sensu* და *largo sensu*-დ. მაშასადამე, *stricto sensu* საერთაშორისო დანაშაული მოიცავს იმ დანაშაულს, რომელიც საფრთხეს უქმნის კაცობრიობის მშვიდობასა და უსაფრთხოებას, თრგუნავს ადამიანთა შეგნებას, ხოლო *largo sensu* საერთაშორისო დანაშაული, ხშირად ტრანსნაციონალურ დანაშაულად მოიხსენიება და ზიანს აყენებს უფრო ვიწრო საერთაშორისო ინტერესს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო დანაშაული საერთაშორისო სამართალს ეფუძნება და აისახება საერთაშორისო ხელშეკრულებებში ან ჩვეულებით საერთაშორისო სამართალში. საერთაშორისო დანაშაულისაგან განსხვავებით, ტრანსნაციონალური დანაშაული, როგორც ასეთი, არ საჭიროებს საერთაშორისო სამართალში უშუალოდ ასახვას. თუმცა საერთაშორისო ხელშეკრულება და ჩვეულება შეიძლება ეხებოდეს იურისდიქციის გავრცელების, სათანადო სასამართლო პროცედურის, სამართლებრივი თანამშრომლობის, სასჯელის მოხდისა და სხვა მსგავს საკითხებს. ტექნიკური თვალსაზრისით, ტრანსნაციონალური დანაშაული ისეთი დანაშაულია, რომელსაც აქვს ტრანსნაციონალური ელემენტი. საერთაშორისო დანაშაული კი ასეთ ელემენტს არ საჭიროებს. მაგალითად, ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, მათივე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გენოციდის განხორციელება საერთაშორისო დანაშაულია, მაშინაც კი, თუ არავითარი ტრანსნაციონალური ელემენტი არ არის სახეზე. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ისეთ საერთაშორისო დანაშაულზე, როგორიცაა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, აპართეიდი და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სხვა დანაშაული.

დანაშაული საერთაშორისო მნიშვნელობას მაშინ იძენს, როდესაც ხდება საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან ჩვეულებით მისი გათვალისწინება. ამრიგად, საერთაშორისო დანაშაული, საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან ჩვეულებით გათვალისწინებული დასჯადი ქმედებაა, რომელიც საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების დარღვევაში გამოიხატება.

დღესდღეობით, ყველა საერთაშორისო დანაშაული მრავალმხრივი

საერთაშორისო ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. საერთაშორისო დანაშაულის დადგენა, სახელმწიფოთაშორისი კონსენსუსის შედეგს წარმოადგენს. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ხელშეკრულებათა ორ ძირითად ტიპს. პირველ ტიპს მიეკუთვნება ისეთი ხელშეკრულება, რომელიც კატეგორიულად აცხადებს, რომ კონკრეტული აკრძალული ქმედება საერთაშორისო დანაშაულია. ხოლო ხელშეკრულების მეორე ტიპი, გარკვეულ ქმედებას განმარტავს, როგორც დანაშაულს და არა როგორც საერთაშორისო დანაშაულს, მაგრამ ამასთანავე, სახელმწიფოებს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის სისხლისსამართლებრივ დევნას ან გადაცემას (ექსტრადიციას) ავალდებულებს*.

* იხილეთ M. Cherif Bassiouni & Edward M. Wise, AUT DEDERE AUT JUDICARE: The Duty to Prosecute or Extradite (1995). (გასამართლების ან გადაცემის ხსენებულ ვალდებულებას, პუგო გროციუსის მიერ შემუშავებული ფორმულირება უდევს საფუძვლად "aut dedere... aut punire" (გაეცი, ან დასაჯე - Hugo Grotius, De Jure Belli AC PACIS, Bk. II, Chp. XXI, (1624)), რომელიც პროფესორმა ბასიონიმ გამოხატა შემდეგი მაქსიმით: "aut dedere aut judicare" (გაეცი, ან გაასამართლე), ვინაიდან მართლმსაჯულების მიზანს სამართლებრივი დევნა წარმოადგენს და არა დასაჯა.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობა

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი საერთაშორისო სისხლის სამართლის ერთ-ერთ განსაკუთრებულ პრინციპს წარმოადგენს. ეს იმპერატიული ხასიათის პრინციპი ასახულია ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის წესდებასა და განაჩენში, რომლის თანახმადაც, „ნებისმიერი, ვინც საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ დანაშაულს ჩაიდენს, პირადად აგებს პასუხს და დაისჯება ამ დანაშაულისათვის“. ტრიბუნალის ეს დებულება თავის მხრივ ემყარებოდა ვერსალის ხელშეკრულების 227-ე და 228-ე მუხლებს. ხელშეკრულების 227-ე მუხლი ითვალისწინებდა სპეციალური ტრიბუნალის შექმნას, რომელიც მსოფლიო ომში გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლი ხუთი მოკავშირე და მათ მიმხრობილი სახელმწიფოების წარმომადგენლებისგან უნდა დაკომპლექტებულიყო. ტრიბუნალს, საერთაშორისო მორალის უხეში დარღვევისა და საერთაშორისო ვალდებულებების დაუცველობისათვის, გერმანიის იმპერატორი, ვილჰელმი II უნდა გაესამართლებინა.

228-ე მუხლის თანახმად კი, გერმანიის ხელისუფლებამ ცნო მოკავშირეთა უფლება, საერთაშორისო ტრიბუნალისათვის გადაეცათ ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევისათვის ბრალდებული პირები. ამავე მუხლის შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის ის პრინციპი, რომელიც გარკვეულ შემთხვევაში იმუნიტეტს ანიჭებს და პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, არ გამოიყენება მათ მიერ საერთაშორისო სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, საერთაშორისო სამართლის დამნაშავეები პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად ვერ ისარგებლებენ თავიანთი თანამდებობრივი მდგომარებით. ამასვე ადასტურებს ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-7 მუხლი — „ბრალდებულთა თანამდებობრივი მდგომარეობა, იქნება ეს სახელმწიფოს მეთაურისა თუ სახელისუფლო მოხელის სხვა თანამდებობა, არ უნდა განიხილებოდეს პასუხისმგებლობისაგან მათი გათავისუფლების ან მათთვის სასჯელის შემსუბუქების საფუძვლად“.

საერთაშორისო სამართლის დანაშაულს სჩადიან არა აბსტრაქტული კატეგორიები, არამედ ადამიანები და მხოლოდ ცალკეულ დამნაშავეთა დასჯა ხდის შესაძლებელს, დაცული იქნეს საერთაშორისო სამართლის დებულებები. აქედან გამომდინარე კი, იმ პირს, რომელიც საერთაშორისო სამართლის დანაშაულს ჩაიდენს, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იმისდა მიუხედავად, დასჯადია თუ არა ეს ქმედება შიდასახელმწიფოებრივი სამართლით. ნიურნბერგის ტრიბუ-

ნალის წესდების არსიც, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ცალკეულ პირთა საერთაშორისო ვალდებულებები, აღემატება მათი ეროვნული მორჩილების ვალდებულებას.

ტრიბუნალის განაჩენის თანახმად, ის, ვინც ომის წარმოების წესებს არღვევს, არ შეიძლება დაუსჯელი დარჩეს იმ მოტივით, რომ იგი სახელმწიფოს განკარგულებებს ასრულებს, თუ სახელმწიფო ამგვარი მოქმედებების სანქციონირებისას სცილდება მისთვის საერთაშორისო სამართალით მინიჭებულ კომპეტენციებს.

ნიურნბერგის პროცესზე, დაცვის მხარე მიუთითებდა, რომ საერთაშორისო სამართალი, თითქოსდა მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოთა მოქმედებებს ცნობდა და არ ითვალისწინებდა ცალკეულ პირთა დასჯას, ვინაიდან სახელმწიფოს მოქმედების განხილვისას, მართებული არ იყო იმ პირთა პასუხისმგებლობა მიცემა, რომლებიც მხოლოდ პრაქტიკულად ახორციელებდნენ ამ მოქმედებებს და რომლებსაც სახელმწიფოს სუვერენულობის დოქტრინა იცავდა.

ტრიბუნალმა თავის განაჩენში უარყო ეს მოსაზრება იმ მოტივით, რომ საერთაშორისო სამართალი იმ დროისათვის უკვე ითვალისწინებდა, როგორც სახელმწიფოთა, ასევე ცალკეულ პირთა მოვალეობებსა და ვალდებულებებს. განაჩენში ტრიბუნალი იშველიებს *Ex parte Quirin**-ის საქმეს, რომელიც აშშ-ს უზენაეს სასამართლოში 1942 წელს განიხილებოდა. განსასჯელებს ბრალად ედებოდათ შეერთებული შტატების ტერიტორიაზე შეღწევა ჯაშუშობისა და დივერსიის მიზნით. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, სთოუნის თქმით, ომის წარმოების კანონები, რომლებსაც აღნიშნული სასამართლო თავისი დაარსების დღიდან იყენებდა, მოიცავს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც მტრული სახელმწიფოებისა და მათი ცალკეული წარმომადგენლების სტატუსს, უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს.

ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდების VI მუხლი, რომლის მიხედვითაც „ტრიბუნალი უფლებამოსილია გაასამართლოს და დასაჯოს მთავარი სამხედრო დამნაშავეები ინდივიდუალურად, ან როგორც ორგანიზაციის წევრები. ტრიბუნალის იურისდიქციაში შემავალი ნებისმიერი დანაშაული იწვევს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას“.

საერთაშორისო სამართლის კომისიას, ნიურნბერგის წესდებისა და განაჩენის პრინციპები შემდეგნაირად აქვს ჩამოყალიბებული:

1. ნებისმიერი პირი, რომელიც საერთაშორისო სამართალით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებას ჩაიდენს, პასუხს აგებს და დაისჯება ამგვარი ქმედებისათვის.

* *Ex parte Quirin*, 317 U.S.1, 27-30 (1942) International Criminal Law Cases and Materials. Carolina Academic Press 1996, P.202

2. ის ფაქტი, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართალი არ ითვალისწინებს სასჯელს საერთაშორისო სამართლის დანაშაულისათვის, არ წარმოადგენს პირის საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.
3. ის ფაქტი, რომ, საერთაშორისო სამართლის დანაშაულის ჩადენისას, ესა თუ ის პირი მოქმედებდა, როგორც სახელმწიფოს მეთაური ან როგორც სხვა პასუხისმგებელი სახელმწიფო მოხელე, არ ათავისუფლებს მას საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.
4. ომის, მშვიდობის წინააღმდეგ, ან კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში თანამონაწილეობა საერთაშორისო სამართლის დანაშაულია.

ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილ საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდების თაობაზე გაკეთებულ მოხსენებაში,* გაეროს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ „ყველა ის პირი, ვინც გვემხედება, ამზადდება ან აღასრულებდა საერთაშორისო პუნიტივარული სამართლის სერიოზულ დარღვევებს ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე, მონაწილეობდა ამ დარღვევების ჩადენაში და, ამდენად, პასუხს აგებს ინდივიდუალურად“.

ცალკეული პირები, რომლებიც მეთაურის რანგში მოქმედებენ, დაისჯებიან არა მხოლოდ იმ უკანონო ბრძანებებისათვის, რომლებიც ტრიბუნალის იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩადენას ითვალისწინებენ, არამედ იმისათვისაც, რომ ვერ შეძლეს თავიანთ ქვეშევრდომთა მიერ ჩადენილი დანაშაულის აღკვეთა. საუბარია იმ შემთხვევებზე, როდესაც მეთაურმა იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, რომ მის ხელქვეითებს განზრახული ჰქონდათ დანაშაულის ჩადენა, ან უკვე ჩადენილი ჰქონდათ დანაშაული, მეთაურმა კი არაფერი იღონა დანაშაულის აღსაკვეთად ან დამნაშავეთა დასასჯელად.

რაც შეეხება თვით უკანონო ბრძანების შესრულების ფაქტს, უნდა ითქვას, რომ იგი არ ჩაითვლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოშრიცხავ გარემოებად, თუმცა, შესაძლოა, გარკვეულ შემთხვევაში სასჯელის შემსუბუქების საფუძველად ჩაითვალოს. ამგვარად, ბრძანების არსებობის ფაქტი, სასჯელის შეფარდებისას, შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებად. ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოშრიცხავ გარემოებად გამოდგება პირის ასაკი ან მისი ფსიქიკური მდგომარეობა. ზოგჯერ, ასევე, ნორმის შესაბამისი მოქმედების შეუსრულებლობის სხვა შემთხვევები.

* გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება, რომელიც ეყრდნობა უშიშროების საბჭოს №808 რეზოლუციის II პარაგრაფს (1993); U.N.Doc 5/25704 (3 May, 1993)

აღსანიშნავია, რომ ნიურნბერგის ტრიბუნალის მსგავსად, ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილი საერთაშორისო ტრიბუნალი არ ცნობს ე.წ. „თანამდებობრივ იმუნიტეტს“.

საერთაშორისო სამართალი გარკვეულწილად ზღუდავს სახელმწიფოთა სუვერენიტეტს. მან ასევე შეიძლება შეზღუდოს სახელმწიფოს წინაშე ცალკეულ პირთა ვალდებულებები და მათთვის დაანესოს საერთაშორისო სამართლებრივი მოვალეობები, რომელთა შესრულება აუცილებელია სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის (პოზიტიური სამართლის) ან დირექტივების საწინააღმდეგოდაც კი.

ოდენ დანაშაულებრივ იმში მონაწილეობა არ წარმოადგენს ინდივიდუალური ბრალეულობისათვის საკმარის საფუძველს. ბრალეულობას არ იწვევს დანაშაულებრივ იმში შეგნებული მონაწილეობა. საუბარია იმ პირებზე, რომლებიც განუვლნი არიან შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის და უშუალოდ არ მონაწილეობენ დანაშაულებრივ ქმედებებში. ამ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა დაუშვებელია. უფრო მეტიც, რიგითი მებრძოლები უფლებამოსილი არიან საკუთარი სახელმწიფოს მიერ გაჩაღებული ომი სამართლიანად ჩათვალონ, ეინაიდან თითქმის არასოდეს ფლობენ ობიექტური დასკვნების გამოსატანად აუცილებელ ფაქტებს. აქედან გამომდინარე, თავისთავად დაუშვებელია მათი დანაშაულებად გამოცხადება მაშინაც კი, როდესაც თავად ომი დანაშაულებრივია.

თქვენი ყურადღება, გესურს, ორიოდ სიტყვით, საერთაშორისო სამართლის დანაშაულში თანამონაწილეობაზე შევაჩეროთ. იგი შეიძლება განისაზღვროს როგორც ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა ამგვარი დანაშაულის ჩადენაში. თანამონაწილეობის ძირითადი აუცილებელი ელემენტი ბრალეული ნადილია.

საერთაშორისო თანამეგობრობამ არაერთხელ სცადა, შეემუშავებინა დანაშაულში თანამონაწილეობის საერთაშორისო სამართლებრივი კრიტერიუმები. საერთაშორისო სამართალში თანამონაწილეობის ერთ-ერთი სპეციფიკური ფორმა შეთქმულებაა. თანამონაწილეობის ეს ფორმა აგრესიული ომების მომზადებასა და წარმოებას ახასიათებს. შეთქმულები, შესაძლოა, უშუალოდ არც კი იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, იმყოფებოდნენ სხვადასხვა სახელმწიფოში, მოქმედებდნენ იზოლირებულად. მაგრამ ამავე დროს, ისინი ახორციელებდნენ საერთო დანაშაულებივ გეგმას და დირექტივებს საერთო ცენტრიდან იღებენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მთელ რიგ საქმეებზე გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენები სწორედ იმ პირთათვის, რომლებიც საერთაშორისო დანაშაულში თანამონაწილეობაში იმხილებოდნენ.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ კუნძულ ბორკუმის საქმეს*, სადაც 1944 წელს, დატყვევებული ამერიკელი მფრინავები მოსახლეობამ ქვევითა და ხელკეტებით უმოწყალოდ ჩაქოლა. ამ ფაქტის მომსწრე ზოგიერთი გერმანელი გუმაგი, სამხედრო მეთაური, რომელთაც ტყვეთა ქუჩაში გამოყვანის ბრძანება გასცეს, ქალაქის ბურგომისტრი და ოთხი სამოქალაქო პირი დამნაშავედ იქნენ ცნობილნი სამხედრო დანაშაულში თანამონაწილეობისათვის.

ყურადღებას იმყრობს აგრეთვე ე.წ. ალამოს პროცესი**, რომელზეც გაირკვა, რომ ჭალაში ჩასაფრებულმა განსასჯელებმა წინასწარ იცოდნენ სამხედრო ტყვეები და სხვა ტუსალები რომ უნდა დაეხოცათ. ესე იგი, თუ ერთსა და იმავე დროს, ყველა წარმოდგენილი პირი საერთო დანაშაულებრივი ინიციატივით გამოდიოდა, თითოეული მათგანი ისახავდა საერთო მიზანს და, ამდენად, თანაბრად იყო დამნაშავე კანონის წინაშე.

ეს საქმეები გამოდგება ომის დანაშაულში თანამონაწილეობისათვის ბრალის ხარისხის დასადგენად. საუბარია ინდივიდუალურ ბრალზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ კონკრეტული პირი შეიძლება ცნონ დანაშაულებ, საერთაშორისო სამართლის დანაშაულში თანამონაწილეობისათვის.

დღესდღეობით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, აკრძალულია სასჯელის შეფარდება კოლექტიური ბრალის პრინციპის საფუძველზე, ან პირის დასჯა სხვათა მიერ ჩადენილი დანაშაულისა თუ გადაცდომისათვის. საკმარისია გავისხენოთ ფენევის 1949 წლის კონვენციის 33-ე მუხლი, ომის დროს სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ, რომლის თანახმადაც არც ერთი დაცული პირი არ შეიძლება დაისაჯოს იმ სამართალდარღვევისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია. აკრძალულია კოლექტიური სასჯელის გამოყენება, ისევე, როგორც დაშინებისა და ტერორის ნებისმიერი გამოვლინება. აგრეთვე, ჰააგის 1907 წლის IV კონვენცია, რომელიც ბმელეთზე ომის წარმოების ჩვეულებებისა და კანონებისადმი პატივისცემას შეეხება. აქვე დავძენთ, რომ კოლექტიური სასჯელის გამოყენების ნებისმიერი ფორმა ხელყოფს პიროვნების ღირსებას. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველი მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი, თავისი ღირსებითა და უფლებებით, თავისუფალი და თანასწორი იბადება. კოლექტიური სასჯელის შეფარდება ასევე ხელყოფს ადამიანის უფლებას, ცნონ მისი სამართალსუბიექტობა (დეკლარაციის VI მუხლი). პიროვნების

*Case No12-489, United States v. Kurt Goebl, et al. (Dachau, Germany) Report, Survey of the Trials of War Crimes Held at Dachau Germany. "The Simpson Report" to the Secretary of the Army) Sept.14, 1948

** The Alamo Trial, I.L.R.T.W.C. 35,43 (1947)

უფლებას, უდანაშაულოდ ითვლებოდეს მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დადგინდება სასამართლოს მიერ (დეკლარაციის მე-11 მუხლი). ეს კი, თავის მხრივ, იწვევს დეკლარაციის მე-5 მუხლის დარღვევას, რომლის შესაბამისადაც, არავის მიმართ არ უნდა გამოიყენებოდეს წაშენა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან მისი ღირსების შემლახავი მოპყრობა ან სასჯელი*. პიროვნების ღირსების დაცვის ნათელ მაგალითად გაეროს წესდების პრეამბულაც გამოდგება.

ბრალის ინდივიდუალიზაციის პრინციპს საერთაშორისო სამართალში სათანადო დაუდო ჰუგო გროციუსმა. გროციუსის თანახმად, „ის, ვისაც ბრალი არ მიუძღვის სამართალდარღვევაში, არ შეიძლება დაისაჯოს სხვის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის“. ამავე დროს იგი აღიარებს, რომ საზოგადოებას, გნებავთ, მის მმართველებს შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა ცალკეული სუბიექტის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის იმ შემთხვევაში, თუ მათ იცოდნენ ამის შესახებ და არ აღკვეთეს ეს დანაშაული მაშინაც კი, როდესაც მათ ხელეწიფებოდათ და უნდა აღეკვეთათ კიდევ იგი.**

* იხილეთ აგრეთვე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 2(1); 4; 5; 9(1); 22 და 26 მუხლები, ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი.

** Grotius, De Jure Belli Ac Pacis 523 (C.E.I.P.ed, Kelsey trans.1925)

სახელმწიფოთა პალდაზულებანი

დღესდღეობით აღიარებული საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი ერთმნიშვნელოვნად ავალდებულებს თითოეულ სახელმწიფოს, აღმოაჩინოს, დააკავოს და გაასამართლოს, ან მოახდინოს მის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მყოფი ყველა იმ პირის ექსტრადიციი, რომელსაც ბრალად ედება მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულის ჩადენა, როგორიცაა, მაგალითად, ომის დანაშაული, გენოციდი, ნეიტრალიტეტის დარღვევა და სხვა.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ თავის 29-ე სესიაზე განიხილა და მოინონა საერთაშორისო სისხლის სამართლის სფეროში სახელმწიფოთა თანამშრომლობის პრინციპთა პროექტი, რომელიც ეხებოდა ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენ პირთა აღმოჩენას, დაპატიმრებას, გადაცემასა და დასჯას. გენერალურმა ასამბლეამ, 3074-ე რეზოლუციით, საბოლოოდ ცხრა ასეთი პრინციპი გამოაცხადა.

როდესაც და სადაც არ უნდა იქნას ჩადენილი ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ის ყოველთვის გამოძიებას ექვემდებარება, ხოლო ის პირები, რომელთა მიმართაც არსებობს მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მათ ეს დანაშაული ჩაიდინეს, ძებნას, დაპატიმრებასა და სასამართლო პასუხისგებაში მიცემას ექვემდებარებიან; ხოლო დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში – დასჯას.

„ყოველი სახელმწიფო უფლებამოსილია გაასამართლოს საკუთარი მოქალაქეები საერთაშორისო დანაშაულისათვის.“

სახელმწიფოებმა ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლონ ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე, ომის დანაშაულისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის აღსაკვეთად და თავიდან ასაცილებლად. ამ მიზნის მისაღწევად, მათ ყველა აუცილებელი საშინაო და საერთაშორისო ზომა უნდა მიიღონ. იგულისხმება სპეციალური საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოების დაარსება, საერთაშორისო შეთანხმებების დადება თანამშრომლობის შესახებ და სხვა.

„სახელმწიფოები ერთმანეთს უნდა დაეხმარონ ასეთი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა გამოსავლენად, დასაპატიმრებლად და სასამართლო პასუხისგებაში მისაცემად, ხოლო დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, მათ დასასჯელად.“

იმ პირებმა, რომელთა მიმართაც არსებობს მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მათ ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჩაიდინეს, პასუხი უნდა აგონ სასამართლოს წინაშე და, მათი დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, როგორც წესი, უნდა დაისაჯონ იმ ქვეყანაში, სადაც დანაშაული იქნა ჩადენილი.

«სახელმწიფოები ვალდებული არ არიან, ითანამშრომლონ ერთ-მანეთთან იმ ინფორმაციისა და საგამოძიებო მასალების შეგროვებისა და გაცემის მიზნით, რომლებიც ხელს შეუწყობს დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა გასამართლებას».

«სახელმწიფოებს ეკრძალებათ იმ პირთათვის ტერიტორიული და პოლიტიკური თავშესაფრის მიცემა, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან ომის, მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში».

სახელმწიფოებმა არ უნდა მიიღონ არავითარი საკანონმდებლო აქტი ან რაიმე სხვა ზომა, რომელიც ეწინააღმდეგება მათ მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს ზემოხსენებულ დანაშაულთან საბრძოლველად».

სახელმწიფოთა თანამშრომლობა ზემოთქმული მიზნების მისაღწევად უნდა ხორციელდებოდეს გაეროს წესდების შესაბამისად».

აღსანიშნავია, რომ იმავე შინაარსის პრინციპებს აღიარებს ჟენევის სამართალიც*.

ჟენევის სამართალი მოწმობს, რომ სახელმწიფოთა ვალდებულება - მოძებნონ, სისხლის სამართლის წესით დევნონ ან მოახდინონ ომის, მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა ექსტრადიციისა - გამოწვევის არ ცნობს. ასეთ ვალდებულებას საერთაშორისო კუმანიტარულ სამართალში, «აბსოლუტური», გნებავთ, «უცილობელი» ვალდებულება ეწოდება.

«აბსოლუტური ვალდებულების» იგნორირების თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება უარის განცხადება იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის (სერბია და მონტენეგრო) მიერ სამი მაღალჩინოსანი ოფიცრის დაპატიმრებასა და ტრიბუნალისათვის გადაცემაზე.

მიღე მრკვიჩს, მიროსლავ რადიჩსა და ვესელინ სლვინკანს ბრალად ედებოდათ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და ომის დანაშაულის ჩადენა, რაც 1991 წლის ნოემბერში, ქალაქ ვუკოვარის დაცემის შემდეგ 260 სამოქალაქო პირისა და სხვა უიარაღო პირების მკვლელობაში გამოიხატებოდა.

იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც არ ახორციელებენ საერთაშორისო დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა სისხლისსამართლებრივ დევნას, სხვადასხვაგვარი საერთაშორისო სანქცია გამოიყენება.

1976 წელს, საერთაშორისო სამართლის კომისიამ შეიმუშავა კონვენციის პროექტი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, რომლითაც სახელმწიფოს საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და საერთაშორისო დანაშაულის ცნება განსაზღვრა.**

სახელმწიფოებრივი ქმედება, რომელიც საერთაშორისო ვალდებულებების შინაარსის მიუხედავად, მის დარღვევას იწვევს, საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა.

*იხილეთ ჟენევის 1949 წლის სამოქალაქო კონვენციის 146-ე მუხლი

** I.L.C.Rep. 175 (1976)

საერთაშორისო თანამეგობრობის ფუნდამენტური ინტერესების დასაცავად აუცილებელი ვალდებულებების დარღვევით გამოწვეული სახელმწიფოს საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც თვით ამ თანამეგობრობის მიერ დანაშაულადაა მიჩნეული, საერთაშორისო დანაშაულია.

საერთაშორისო დანაშაული *inter alia* შეიძლება გამოიწვიოს:

- საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისათვის აუცილებელი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევამ;
- ერთა თვითგამორკვევის უფლების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი საერთაშორისო ვალდებულებების უზემმა დარღვევამ;
- ადამიანის კეთილდღეობისათვის აუცილებელი ფართომასშტაბიანი საერთაშორისო ვალდებულებების უზემმა დარღვევამ.
- გარემოს დაცვისათვის აუცილებელი საერთაშორისო ვალდებულებების უზემმა დარღვევამ;

სახელმწიფოს მიერ ჩადენილი საერთაშორისო დანაშაული ყველა სხვა სახელმწიფოს ავალდებულებს:

- არაკანონიერად ცნონ ასეთი დანაშაულის შედეგები, ან დანაშაულით გამოწვეული მდგომარეობა;
- არ შეუწყონ ხელი საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენ სახელმწიფოს, ან არ დაეხმარონ მას დანაშაულის შედეგების შენარჩუნებაში;
- დახმარება გაუწიონ ერთმანეთს დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაში.

2000 წლის აგვისტოში, საერთაშორისო სამართლის კომისიამ უარყო განსხვავება სისხლისსამართლებრივ და დელიქტურ პასუხისმგებლობას შორის და სახელმწიფოს საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, სამართალდარღვევის ცალკეულ კატეგორიად მიიჩნია. გადანყდა, რომ სახელმწიფოებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ, როგორც კატეგორიული საერთაშორისო ნორმების (*jus cogens*), ისე საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების (*erga omnes*) დარღვევისათვის.

იურისდიქციის განმსაზღვრელი პრინციპები საერთაშორისო სამართალში

საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს იურისდიქცია დამოკიდებულია ამ სახელმწიფოს ბუნებრივი და მიზნობრივი ინტერესებიდან გამომდინარე, განახორციელოს კონკრეტული უფლებამოსილება და შეუთავსოს იგი სხვა სახელმწიფოთა იურისდიქციულ ინტერესებს.

ყველაფერი ის, რაც სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხდება, ამ სახელმწიფოს ძირითად საზრუნავს წარმოადგენს (ტერიტორიული პრინციპი). სახელმწიფოს მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე უფლებამოსილების გავრცელება მის მოქალაქეებზე (მოქალაქეობის პრინციპი). სახელმწიფოების ინტერესებში შედის საკუთარი მოქალაქეების დაცვა (პასიური მოქალაქეობის პრინციპი). გარდა ამისა, სახელმწიფოები ამკარა ინტერესს ავლენენ იმ ქმედებებისაგან თავის დასაცავად, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მათი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ხორციელდება მათდამი მტრულად განწყობილი პირების მიერ და საფრთხეს უქმნიან მათ არსებობასა თუ სათანადო ფუნქციონირებას (დაცვის პრინციპი). და ბოლოს, ზოგიერთი ქმედება იმდენად საყოველთაოდაა დაგმოვნილი, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს ინტერესებში შედის მათთან საბრძოლველად საკუთარი იურისდიქციის გამოყენება (უნივერსალობის პრინციპი).

სახელმწიფოთა უფლებამოსილება უნივერსალური იურისდიქცია

საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოებს უნივერსალური იურისდიქციის განხორციელების უფლებამოსილებას ანიჭებს.

უნივერსალობის პრინციპი შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოებს, გამოიყენონ სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო სამართლებრივი სანქციები საერთაშორისო სამართლის ნორმათა დარღვევისათვის.

უნივერსალობის პრინციპი აღიარებს, რომ ზოგიერთი დანაშაული იმდენად საზარელი და დასაგმობია, რომ დამნაშავის შემპყრობ ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს, სისხლისსამართლებრივი წესით დევნოს და დასაჯოს ასეთი დამნაშავე მსოფლიო თანამეგობრობის სახელით, მისი მოქალაქეობის ან დანაშაულის ჩადენის ადგილის, ან თუნდაც, მსხვერპლის მოქალაქეობის მიუხედავად.*

* M. Bassiouni, *II International Criminal Law*, Ch.6 at 298 (ed. 1986)

იურისდიქციის განმსაზღვრელი პრინციპები

უნივერსალური იურისდიქცია ხორციელდება საერთაშორისო თანამეგობრობის სახელით ამ თანამეგობრობისავე საკეთილდღეოდ იმ პირთა მიმართ, რომლებიც არიან *hostes humani generis* ადამიანის მოდ-კის მტრები.

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შესაბამისად უნივერსალური იურისდიქცია, როგორც წესი, ვრცელდება მეკობრეობაზე, გენოციდზე, ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე.

არსებობს უნივერსალური იურისდიქციის შედარებით ახალი ნაირსახეობა, რომელსაც „ხელშეკრულებით - უნივერსალური“ ეწოდება. ამგვარი იურისდიქცია მხოლოდ იმ სახელმწიფოებს ანიჭებს უფლებამოსილებას, განახორციელონ უნივერსალური იურისდიქცია, რომლებიც მრავალმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე ახალ საერთაშორისო სამართლის დანაშაულს წერგავენ.

ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოთა იურისდიქცია ვრცელდება მხოლოდ ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებზე, ვიდრე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანაშაული საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შემადგენელი ნაწილი გახდება. ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ უნივერსალურ იურისდიქციას „კონსენსუალური იურისდიქცია“ ეწოდება.

ეგრეთ ნოდებულ იუნისის საქმეში (United States v. Yunis, 681 F.Supp. 896, 900-901 (D.D.C. 1988)) დადასტურდა, რომ ისეთ დანაშაულზე, როგორიცაა მძევლად აყვანა და თვითმფრინავის გატაცება, ასევე ვრცელდება უნივერსალური იურისდიქცია. სამი ხელშეკრულება, რომელიც თვითმფრინავის გატაცებას გმობს, არის ტოკოს, პაგისა* და მონრეალის** კონვენცია.

პაგისა და მონრეალის კონვენციები, უნივერსალობის პრინციპზე დაყრდნობით, სახელმწიფოებს ავალდებულებს, დანაშაულზე საკუთარი იურისდიქციის გასაგრცელებლად ყველა აუცილებელ ზომას მიმართონ იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე მათ ტერიტორიაზე იმყოფება. (პაგის კონვენციის 4.2 მუხლი და ჟენევის კონვენციის 5.2 მუხლი). გარდა ამისა, აღნიშნული კონვენციების მე-7 მუხლი მიუთითებს, რომ კონვენციის წევრი სახელმწიფო, დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის საკუთარ ტერიტორიაზე აღმოჩენის შემთხვევაში, გადასცემს მას კომპეტენტურ ორგანოებს სისხლისსამართლებრივი დევნისათვის, დანაშაულის ჩადენის ადგილის მიუხედავად. კონვენციების ეს დებულება ცხადყოფს საერთაშორისო თანამეგობრობის სურვილს, დაისაჯოს ამგვარი დანაშაული, მიუხედავად იმისა, თუ სად იქნა იგი ჩადენილი.

რაც შეეხება მძევლად აყვანას, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა მძევლად აყვანის წინააღმდეგ მიღებულ კონვენ-

* პაგის 1970 წლის 16 დეკემბრის კონვენცია თვითმფრინავის გატაცების აკრძალვის შესახებ.

** მონრეალის 1971 წლის 23 სექტემბრის კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა აღკვეთის შესახებ.

ციაში* გმობს და დანაშაულად აცხადებს ასეთ ქმედებებს.

ეს სელშეკრულება ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, სისხლის სამართლის წესით დევნონ მათ ტერიტორიაზე მყოფი, დანაშაულში ეჭვმიტანილი ნებისმიერი პირი. (კონვენციის 5-ე მუხლი).

საერთაშორისო სამართლის გამოჩენილი მკვლევარები მძევლად აყვანასა და თვითმფრინავის გატაცებას „საზარელი დანაშაულის“ ისეთ კატეგორიას მიაკუთვნებენ,** რომლებზეც უნივერსალური იურისდიქცია უნდა გავრცელდეს.

ტერიტორიულობის პრინციპზე დაყრდნობის იურისდიქცია

სახელმწიფოს ტერიტორიული უფლებამოსილება ვრცელდება როგორც შორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად. ტერიტორიული პრინციპი ორი კომპონენტისაგან შედგება: სუბიექტური, ანუ „ჩვეულებრივი“ ტერიტორიული პრინციპი და ობიექტური, ანუ „ზემოქმედებით“ ტერიტორიული პრინციპი.

სუბიექტური ტერიტორიული პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფო სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას ახორციელებს იმ დასჯად ქმედებათა მიმართ, რომლებიც დაინიშნა ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მაგრამ დასრულდა მის ფარგლებს გარეთ.

ობიექტური ტერიტორიული პრინციპის თანახმად კი, სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია ვრცელდება სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ დაწყებულ იმ დასჯად ქმედებებზე, რომლებიც დასრულდა მოცემულ სახელმწიფოში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ დაწყებულმა დანაშაულებრივმა ქმედებამ, დანაშაულებრივი შედეგი სწორად ამ სახელმწიფოში უნდა გამოიწვიოს.

ამგვარად, დანაშაულის ჩადენის ადგილი განისაზღვრება არა მხოლოდ ქმედების ჩადენის ადგილით, არამედ ორივე — როგორც ქმედების ჩადენის, ასევე შედეგის დადგომის ადგილით. — ე.წ. „სუყველგანობის“ თეორია.

ამგვარი „სუყველგანობის“ თეორია წარმოიშვა „მოქმედების“ თეორიისა და „შედეგის“ თეორიის სინთეზის საშუალებით.***

* 1979 წლის 17 დეკემბრის მძევლად აყვანის წაწაღმდეგ საერთაშორისო კონვენცია (G.A.RES. 146. (XXXIV 1979))

** იხ. Bazyle, Capturing the Terrorist in the Wild Blue Yonder, 8 Whittier L.Rev. 685, 687 (1986). Blakesley, United States Jurisdiction over Extraterritorial Crime, 73 J. of crim. L. & Criminology 1109, 1140 (1982)

*** იხ. მერაბ ტურავა, „საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპები და საერთაშორისო პუბლიკატარული სამართლის იმპლემენტაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“.

აქტიური პასონალურობის, ანუ მოქალაქეობის პრინციპი

იურისდიქციის აქტიური პერსონალურობის, ანუ მოქალაქეობის პრინციპი ემყარება ფიზიკურ პირთა მოქალაქეობას. იგი საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს, განახორციელონ სისხლის სამართლის იურისდიქცია ნებისმიერი დასჯადი ქმედების მიმართ, რომელიც მათმა მოქალაქეებმა ჩაიდინეს საზღვარგარეთ. ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფოები თავიანთ სისხლის სამართლის იურისდიქციას ახორციელებენ აგრეთვე მათ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ, მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ საზღვარგარეთ ჩადენილ ქმედებებზე.*

აქედან გამომდინარე, თუ, მაგალითად, საქართველოს მოქალაქემ ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა მოქალაქეობის არმქონე პირმა უცხოეთში ჩაიდინა დანაშაული, ხოლო შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, საქართველო არ გადასცემს ამ პირს უცხო სახელმწიფოს და მის მიმართ სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას თავად განახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოები თავიანთ სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას ახორციელებენ მაშინაც, როდესაც მათი მოქალაქეები იმავდროულად არიან იმ სახელმწიფოს მოქალაქეები, სადაც დანაშაული იქნა ჩადენილი.**

საგულისხმოა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო, მოქალაქეობის პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის იურისდიქციას ახორციელებს არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ ზოგიერთი დასჯადი ქმედების მიმართ.

მოქალაქეობის პრინციპი საშუალებას აძლევს სახელმწიფოს მართლმსაჯულების ორგანოებს, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლო პროცესზე მონაწილე გამოიძახონ საზღვარგარეთ მყოფი თავიანთი მოქალაქე ან მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი.***

დაცვის პრინციპი

ყოველი სახელმწიფო უფლებამოსილია, ეროვნული ინტერესების დასაცავად მიმართოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ნებისმიერ საშუალებას. სწორად ეს სუვერენული ინტერესი გახლავთ დაცვის ან უსაფრთხოების პრინციპის საფუძველი.

გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავს იკავებს

* იხ. R v. Sawoniuk (1999); აგრეთვე გაერთიანებული სამეფოს 1991 წლის ომის დანაშაულთა აქტის 1(2) მუხლი; აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 5-ე მუხლი.

** იხ. Coumras v. Superior Court (1948); Kawakita v. United States (1952)

*** Blackmer v. United States (1932) 284 U.S. 421, 52 S.Ct. 252, 76 L. Ed. 375

თავის საერთაშორისო ურთიერთობაში ძალით მუქარისა ან მისი გამოყენებისაგან, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან გაერთიანებული ერების მიზნებთან შეუთავსებელი რაიმე სხვა სახით მოქმედებისაგან^{*}. ამ მუხლის ნებისმიერი დარღვევა საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, გამოიყენოს დაცვის პრინციპი და გააერცულოს თავისი იურისდიქცია სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა მიმართ, დანაშაულის ჩადენის ადგილისა და დამნაშავეს მოქალაქეობის მიუხედავად.

დაცვის პრინციპმა რიგ შემთხვევაში შეიძლება გარკვეული სირთულეები წარმოქმნას, თუ სახელმწიფოთა კანონმდებლობა, დაცვის პრინციპზე დაყრდნობით, სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს ექსპანსიურად ან მეტად სუბიექტურად შეაფასებს.

დაცვის პრინციპის გამოყენების კლასიკური მაგალითია სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის გაერცულება ისეთი დანაშაულის მიმართ, როგორიცაა ჯაშუშობა და სახელმწიფო ლაღატი, ვინაიდან, ტრადიციულად, სწორედ ეს დანაშაული აღიქმება სახელმწიფოთა სამართალ უსაფრთხოებისათვის ყველაზე საშიშ გამოწვევად. ჯერ კიდევ 1920 წელს Re Urdos^{**}-ის საქმეში საფრანგეთის სასამართლომ დამნაშავედ ცნო ესპანეთის მოქალაქე საფრანგეთის წინააღმდეგ ბარსელონაში ჩადენილი ჯაშუშობისათვის. საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს პალატამ დაადგინა, რომ კაპიტან ურიოსის მიერ საზღვარგარეთ ჩადენილი ქმედებისათვის მისი საფრანგეთში დაპატიმრება, გასამართლება და სასჯელის მისჯა მართებული იყო.

საქმეში Joyce v. DPP^{***} ლორდთა პალატამ მიიჩნია, რომ უცხოელი, რომელმაც ფაქტების გაყალბებით შეძლო ბრიტანული პასპორტის მიღება, ტახტის ერთგული უნდა ყოფილიყო და მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტური პროპაგანდისათვის მისი მუშაობა სხვა არაფერი იყო, თუ არა სახელმწიფო ლაღატი.

ამ საქმეზე დაყრდნობით, იერუსალიმის საოლქო სასამართლომ ე.წ. აიხმანის საქმეში^{***} დაცვის პრინციპი *inter alia* მოიშველია. ადოლფ აიხმანი პასუხისმგებელი იყო შიტლერის „საბოლოო გადაწყვეტის“ გეგმის განხორციელებაზე, რომელიც მიზნად ისახავდა ებრაელთა საბოლოო განადგურებას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აიხმანი არგენტინაში იმალებოდა. არგენტინიდან იგი ისრაელის სპეცსამსახურებმა გაიტაცეს, რათა ისრაელში მართლმსაჯულებისათვის გადაეცათ.

* 15 January, 1920; 1 Annual Digest 107 (1919-1922)

** (1946) AC 347 (H.L.) – იურისდიქციის გაერცულებას საფუძვლად დაედო აგრეთვე ატორი პერსონალურობის პრინციპი. იხილეთ აგრეთვე: Lauterpacht, 9 Cambridge L.J. 330-348 (1947)

*** AG of the Government of Israel v. Eichmann (1961) 36 ILR 5

აიხმანს ბრალად ედებოდა ომის დანაშაულის, ებრაელი ხალხის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა. ეს ბრალდებები ეფუძნებოდა 1951 წლის კანონს ნაცისტებისა და ნაცისტების მხარდამჭერთა დასჯის შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს, რომლის სასიცოცხლო ინტერესებს და, საბოლოოდ, მის არსებობასაც ემუქრება საფრთხე, აქვს იურისდიქციის გაერცულების უფლება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაცვის პრინციპის გამოყენების შემთხვევაში, არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება ბრალდებულის მოქალაქეობას^{*}.

პასიური პერსონალურობის ან მსხვერპლის პრინციპი

პასიური პერსონალურობის პრინციპი შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოებს, განახორციელონ თავიანთი სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია მათი მოქალაქეების წინააღმდეგ უცხოეთში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისათვის. ეს პრინციპი აღიარებს, რომ ყოველ სახელმწიფოს აქვს ლეგიტიმური ინტერესი, დაიცვას თავისი მოქალაქე ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოგზაურობისას, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ლოცუს დელიკტი სახელმწიფო უგულებელყოფს, უარს აცხადებს, ან არ ძალუძს, განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა. პასიური პერსონალურობის პრინციპი, იურისდიქციის გაერცულების დამატებითი ფორმა გახლავთ^{**}.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც სახელმწიფოები თავგამოდებით იცავდნენ თავიანთ სუვერენიტეტს, რომელიმე ექსტრატერიტორიული პრინციპის გამოყენება ძლიერ წინააღმდეგობას აწყდებოდა. პასიური პერსონალურობის პრინციპის საფუძველზე, იურისდიქციის გაერცულებას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ მის გამოყენებას საფუძვლად ედო მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და არა საერთაშორისო ხელშეკრულება. ისეთი ტრანსნაციონალური დანაშაულის გამოჩენამ, როგორსაც, მაგალითად, ტერორიზმი წარმოადგენდა, წარმოშვა ამ პრინციპის საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინების აუცილებლობა. მძევლების აყვანის წინააღმდეგ მიმართული 1979 წლის 17 დეკემბრის საერთაშორისო კონვენციის მე-5 მუხლის 1 (a და d) პუნქტის თანახმად, კონვენციის წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან, განახორციელონ ექსტრატერიტორიული იურისდიქცია მაშინ, როდესაც მძევალს მათი მოქალაქეა და, თუ ეს სახელმწიფო ხელსაყრელად მიიჩნევს ამგვარი იურისდიქციის განხორციელებას. ასეთ

* იხილეთ Rex v. Neumann 1949 (3) S.A. 1238; Paust (1996), p149.

** იხილეთ Shearer (1994), p211.

შემთხვევაში საერთაშორისო თანამეგობრობას მართებულად მიაჩნია სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის გავრცელება, პასიური პერსონალურობის პრინციპზე დაყრდნობით*.

მიჩნეულია, რომ პასიური პერსონალურობის პრინციპი, იურისდიქციის გავრცელების დამატებითი ფორმაა.**

*იხილეთ M.Bassiouni, II International Criminal Law, 4-ე თვი, გვ.120

**United States v. Yunis, 681 F.Supp. 896, 900-901 (D.D.C.1988)

მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული JUS AD BELLUM

არისტოტელე, ციცერონი, წმინდა ავგუსტინე და წმინდა თომა აკვინელი თავიანთ ნაშრომებში ცდილობდნენ, ჩამოეყალიბებინათ ომის ლეგიტიმურობის ფილოსოფიური განმარტებები, რათა ერთმენეთისაგან განესხვავებინათ სამართლიანი და უსამართლო ომი.* რომაელები მიიჩნევდნენ, რომ ომის გამართლება შესაძლებელი იყო ტერიტორიისა და ღირსების დაცვის შემთხვევაში. ესპანელ თეოლოგს, საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფუძემდებელს, ფრანცისკუს დე ვიქტორიას (1480-1546) მიაჩნდა, რომ კანონიერი ომი მორალური თვალსაზრისით გამართლებული უნდა ყოფილიყო. ომის მორალური გამართლება კი დასაშვები იყო თავდაცვისა და უსამართლობის გამოსწორების შემთხვევაში. ვიქტორიას ნაშრომები შეიცავს აგრესიის განსაზღვრის, თავდაცვითი ომისათვის დასაშვები პარამეტრების, პროპორციულობის იდეის, მილიტარიზმის შეზღუდვისა და სახელმწიფოთა მეთაურების პასუხისმგებლობის საფუძვლებს.**

საერთაშორისო სამართლის „მამად“ წოდებული ჰუგო გროციუსი (1583-1645), თავის III წიგნში ომისა და მშვიდობის კანონების შესახებ, წერდა, რომ თვით ომშიც კი სავალდებულოა სამართლიანობისა და პატიოსნების დაცვა. დანაშაულებრივი ომის მწარმოებლებმა პირადად უნდა აგონ პასუხი ამგვარი აგრესიისათვის. იკრძალებოდა ომის გამოცხადება იმ მხარისათვის, რომელიც მორიგებაზე თანახმა იყო. აქვე გროციუსი ციცერონის ცნობილ გამოხატულებას იშველიებს, რომლის თანახმადაც, ადამიანები ყოველგვარ დავას არგუმენტებით აგვარებენ, ხოლო ძალდატანება კი მხეცებს ახასიათებს.

1648 წლის ვესტფალის ზავის საფუძველზე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომელიც ათავისუფლებს სუვერენულ სახელმწიფოებს გარეშე ძალის შემოქმედებისაგან, რაც მათ ანიჭებს აბსოლუტურ უფლებას, აწარმოონ ომი თავიანთი ეროვნული ინტერესების დასაცავად.

1919 წლის ვერსალის ხელშეკრულება, რომელიც ერთა ლიგის ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა, შეეცადა პროცედურულად შეეზღუდა

* იხილეთ W.BELLIS, The Legal Position of War: Changes in its Practice and Theory from Plato to Vattel (1937), აგრეთვე Q.Wright, A Study of War (1964)

** The Reflectiones in Moral Theology of the Very Celebrated Spanish Theologian, Franciscus de Victoria, The Classics of International Law (1917)

სახელმწიფოთა ომში ჩაბმის შესაძლებლობები. სახელმწიფოებს მოეთხოვებოდათ, წარმოშობილ უთანხმოებათა მოგვარება არბიტრაჟის ან სასამართლო განხილვის მეშვეობით, კონკრეტული სადავო საქმე სახელმწიფოებს გადასასინჯად აგრეთვე ერთა ლიგის საბჭოსათვის უნდა გადაეცათ და დალოდებოდნენ გადაწყვეტილებას. (ერთა ლიგის შეთანხმების მე-12 მუხლი). მსოფლიო თანამეგობრობის მცდელობამ, ომისგან ეხსნა დედაძინა, მეორე მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად, კრაზი განიცადა.

გაეროს წესდების შემდგენლები შეთანხმდნენ აკრძალათ სახელმწიფოების მიერ სამხედრო ძალის გამოყენება. გამოწვევის თავდაცვითი მიზნები წარმოადგენს. გაეროს უპირველესი მიზანია: „დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება და ამ მიზნით განახორციელოს ეფექტური კოლექტიური ღონისძიებები მშვიდობისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად, აგრესიის აქტების ან მშვიდობის სხვაგვარი დარღვევების ჩასახშობად და მშვიდობიანი საშუალებებით, სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, მოაგვაროს ან გადაწყვიტოს სადავო სიტუაციები, რომლებსაც შეუძლიათ მშვიდობის ხელყოფა გამოიწვიონ“; (გაეროს წესდების პირველი მუხლი)

გაეროს წესდების მე-2 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად — „გაერთიანებული ერების ყველა წევრი თავის საერთაშორისო დავას წყვეტს მშვიდობიანი საშუალებებით და იმგვარად, რომ საფრთხე არ შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიანობას“.

წესდების 33-ე მუხლის შესაბამისად:

1. დავის ყოველი მონაწილე, რომლის გაგრძელებასაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას, უწინარეს ყოვლისა, უნდა შეეცადოს, დავა გადაწყვიტოს მოლაპარაკების, გამოკვლევის, შუამავლობის, შერიგების, არბიტრაჟის, სასამართლო გარჩევის, რეგიონალური ორგანოებისადმი მიმართვის ან შეთანხმების გზით თუ სხვა მშვიდობიანი საშუალებებით, რომლებსაც თვითონ აირჩევს.
2. უშიშროების საბჭო, როცა იგი ამას აუცილებლად მიიჩნევს, მხარეებისაგან მოითხოვს დავის ასეთი საშუალებებით გადაწყვეტას. დავის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად აწარმოონ მოლაპარაკებები.*

დავითა გადასაწყვეტად მხარეებმა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს უნდა მიმართონ, ამ სასამართლოს წესდების

* იხილეთ North Sea Continental Shelf cases 1969 ICJ Rep 3

დებულებათა შესაბამისად (გაეროს წესდების 36.3 მუხლი). სასამართლო, თავის მხრივ, განიხილავს გაეროს წევრ სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილ საქმეებს, გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო არ ფლობს საგაღმდეგო იურისდიქციას და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების საშუალებებს. ეს უკანასკნელი ფუნქცია უშიშროების საბჭოს პრეროგატივა გახლავთ.

აგრესიული ძალის გამოყენების ამკრძალავი ძირითადი დებულებანი წესდების 2.4-ე მუხლშია მოცემული, რომლის თანახმადაც „გაეროს ყველა წევრი სახელმწიფო თავს იკავებს ძალით მუქარისა ან მისი გამოყენებისაგან, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული ბელ-შეუხებლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ასევე გაეროს მიზნებთან შეუთავსებელი რაიმე სხვა სახით“.

ძალის გამოყენების ყველაზე საშიშ ფორმად საერთაშორისო სამართალში აგრესია გვევლინება. იგი მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია და საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. აგრესიის ცნების განსაზღვრად გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სპეციალური კომიტეტი შექმნა, რომელმაც ოცნლიანი მუშაობის შედეგად, 1974 წელს შეიმუშავა ამ დანაშაულის ცნება, რასაც გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, აგრესიის განმსაზღვრელი რეზოლუციის მიღება მოჰყვა.* რეზოლუციის თანახმად, აგრესია არის ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის გამოყენება, ან ამგვარი ძალის გამოყენება გაერთიანებული ერების წესდებებთან შეუთავსებელი რაიმე სხვა სახით.

ტერმინში - „სახელმწიფო“, მოიაზრება ნებისმიერი სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი აღიარებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, ან არის თუ არა იგი გაეროს წევრი სახელმწიფო. ეს ტერმინი ასევე შეიძლება გულისხმობდეს სახელმწიფოთა ჯგუფს. ომის გამოცხადების მიუხედავად, აგრესიად ჩაითვლება ნებისმიერი შემდეგი ქმედება:

- ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა ან თავდასხმა მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან ტერიტორიის ნებისმიერი სახით, თუნდაც დროებითი ოკუპაცია, რაც გამოწვეულია ამგვარი შეჭრით ან თავდასხმით, ან ძალის გამოყენებით მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის ნებისმიერი სახის ანექსიით;

* Resolution on the Definition of Agression (14 December 1974) U.N.G.A. RES. 3314, 29 U.N. GAOR, Supp. No 31, at 142, U.N. DOC. A/9631 (1975)

- ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვა ან ამ მიზნით სხვა სახის იარაღის გამოყენება;
- ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ მეორე სახელმწიფოს ნავსადგურების ან სანაპიროების ბლოკადა;
- ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების თავდასხმა მეორე სახელმწიფოს სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო ძალებზე ან საზღვაო და საჰაერო ფლოტზე;
- ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხელშეკრულებით მყოფი მეორე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამოყენება ხელშეკრულების პირობების სანაპირომდეგოდ ან სახელმწიფოს ტერიტორიაზე მეორე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყოფნის გაგრძელება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ;
- ერთი სახელმწიფოს მიერ თავისი ტერიტორიის სხვა სახელმწიფოს განკარგულებაში გადაცემა მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის განსახორციელებლად;
- ერთი სახელმწიფოს მიერ, ან მისი სახელით, შეიარაღებული ბანდების, ჯგუფების, უკანონო ფორმირებებისა ან დაქირავებულების შეგზავნა შეიარაღებული ძალების ფუნქციის განსახორციელებლად მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ (ე.წ. „ირიბი აგრესია“).

აღსანიშნავია, რომ ეს ქმედებები ამომწურავი არ არის და უშიშროების საბჭოს, გაეროს წესდების შესაბამისად, შეუძლია აგრესიად მიიჩნიოს სხვა მსავსე ქმედებანიც. არ შეიძლება აგრესიის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ რაიმე სხვა მიზეზით გამართლება. დაუშვებელია აგრესიის შედეგად მოპოვებული ტერიტორიისა თუ რაიმე სხვა სპეციალური სარგებლის ან უპირატესობის კანონიერად მიჩნევა.

აგრესიის ამგვარი განსაზღვრება არ შეიძლება ზღუდავდეს იმ ერთა თვითგამორკვევის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლებას, რომლებსაც ეს უფლება იძულებით ჩამოერთვათ. აგრესიის განსაზღვრება ასევე არ უნდა ზღუდავდეს ამ ერთა უფლებას, გაეროს წესდებისა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ არსებული საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების დეკლარაციის საფუძველზე, იბრძოლონ აღნიშნული უფლებებისათვის, ითხოვონ და მიიღონ დახმარება.

ძალის გამოყენების აკრძალვის თვალსაჩინო მაგალითია ე.წ. Corfu Channel Case (1949 ICJ Rep4). სადაც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ, გაეროს წესდების 2.4 მუხლის დარღვევად მიიჩნია

ალბანეთის ტერიტორიულ წყლებში ბრიტანეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის მიერ ჩატარებული ნალმების კრეფის ოპერაცია.

ე.წ. ნიკარაგუის საქმეზე Nicaragua v. United States (1986 ICJ Rep14), მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაასკვნა, რომ ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს სამინაო თუ საგარეო პოლიტიკის ძალისმიერი ხელყოფა საერთაშორისო სამართლის დარღვევად ჩაითვლება, ვინაიდან გაეროს წესდების 2.4 მუხლი, რომელიც კრძალავს ძალის გამოყენებას, საერთაშორისო სამართლის კომისიამ საერთაშორისო ხელშეკრულებითი სამართლის კოდიფიცირებაზე მუშაობისას მიიჩნია, რომ იგი თავისთავად წარმოადგენს საერთაშორისო სამართალში jus cogens-ის პრინციპის გამოხატვის თვალსაჩინო მაგალითს.*

გამონაკლისები გაეროს წესდების 2.4 მუხლიდან

გაეროს წესდების 2.4 მუხლი ჩვეულებრივ jus cogens-ის ხასიათის ნორმად აღიქმებული (Nicaragua Case (1986)), რომელიც კრძალავს ნებისმიერი სახის აგრესიულ სამხედრო აქტივობას. იგი უპირატესი ხასიათის მქონე ნორმაა და მისგან შესაძლო გამონაკლისებიც შესაბამისად ამავე ხასიათისა უნდა იყოს. გაეროს წესდების 2.4 მუხლიდან არსებული გამონაკლისები ამავე წესდებაშივეა მოცემული. ესენია:

• თავდაცვის უფლება, მუხლი V I;

• უშიშროების საბჭოს მიერ სანქცირებული ქმედებები, თავი V I I;

• რეგიონალურ ორგანოთა ქმედებები, თავი V I I I.

თავდაცვა

ორგანიზაციის წევრზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, სრულიადაც არ ზღუდავს „ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის განუყრელ უფლებას, ვიდრე უშიშროების საბჭო არ მიიღებს მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად საჭირო აუცილებელ ზომებს...“ (წესდების V I -ე მუხლი). ამ მუხლის ზედმიწევნით კითხვისას შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ იგი სახელმწიფოებს მხოლოდ დროებით აძლევს თავდაცვის უფლების გამოყენების საშუალებას და აგრესიული ქმედებების აღმკვეთი ძირითადი ფუნქციით უშიშროების საბჭოს აღჭურავს.

ხსენებული V I -ე მუხლი არაერთხელ გამხდარა აზრთა სხვადასხვა-

* იხილეთ ILC Yearbook, 1966-II, p.247

ობისა და ცხარე დებატების მიზეზი. გაეხსენოთ ფოლკლენდის კუნძულების ინციდენტი, როდესაც არგენტინის მიერ ამ კუნძულების დაკავებას ბრიტანეთის საპასუხო მოქმედება მოჰყვა, უშიშროების საბჭომ, მხარეებს მოუწოდა ტერიტორიული დავა მშვიდობიანი და დიპლომატიური გზით მოეგვარებინათ (უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 502).

არგენტინის ხელისუფლების მცდელობას – ინციდენტი უშიშროების საბჭოს ექსკლუზიური მონაწილეობით გადაეწყვიტა და თავიდან აეცილებინა ბრიტანეთის მიერ 51-ე მუხლით გათვალისწინებული თავდაცვის უფლების გამოყენება, ამ უკანასკნელის პროტესტი მოჰყვა. მარგარეტ ტეტჩერმა განაცხადა, რომ გაეროს წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უშიშროების საბჭო ეფექტურ ქმედებებს განახორციელებს, რაც უშიშროების საბჭოს 502-ე რეზოლუციით უთუოდ არ მიღწეულა.

მსგავს არგუმენტს ეყრდნობოდნენ მოკავშირეები სპარსეთის ყურეში სამხედრო მოქმედებების წარმოებისას (საუბარია ერაყის აგრესიისაგან ქუვეითის დაცვაზე) და მიიჩნევდნენ, რომ მათი უფლება კოლექტიურ თავდაცვაზე, არ უნდა შეზღუდულიყო უშიშროების საბჭოს მიერ.

გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის თანახმად, თავდაცვის უფლება წარმოადგენს სახელმწიფოთა განუყოფელ და თანდაყოლილ უფლებას თავდაცვაზე და ამ უფლების გამოყენება ძალის გამოყენების შესახებ არსებულ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს ექვემდებარება (Nicaragua Case (1986)). საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შესაბამისად კი, სახელმწიფო თავდაცვის მიზნით სამხედრო ძალას მიმართავს მაშინ, როდესაც სახეზეა გადაუდებელი, უსათუო (როდესაც ყველა სხვა საშუალება ამონურულია) და დაუყოვნებელი თავდაცვის აუცილებლობა. თავდაცვა მოსალოდნელი თუ არსებული საფრთხის პროპორციული უნდა იყოს. ამგვარად, გაეროს წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებული თავდაცვის უფლება გამოიყენება აგრეთვე ისეთ ვითარებაში, როდესაც მოსალოდნელი საფრთხე გარდაუვალია და საფრთხის თავიდან აცილების ყველა სხვა ალტერნატიული საშუალება ამონურულია. საერთაშორისო სამართლის ზოგიერთი ცნობილი მკვლევარი ურთიანეთისგან განასხვავებს ე.წ. წინასწარ (anticipatory) და ე.წ. დამამტკიცებელ (interceptive) თავდაცვას და მიუთითებს, რომ წინასწარი თავდაცვა უკანონოა, ეინადან არ არსებობს „საფრთხის გარდაუვალობა“, ბოლო დამამტკიცებელი თავდაცვის პროპორციული გამოყენება კანონიერად ჩაითვლება, მაშინ თუ სახეზეა „მოსალოდნელი და გარდაუვალი“ საფრთხე.

ასეთ ვითარებაში, სახეზე არა გვაქვს საერთაშორისო მართლსაწილზე ნააღმდეგო ქმედების ერთ-ერთი ელემენტი – ობიექტური მხარე – რაც ძალის გამოყენების ვალდებულების შეუსრულებლობაში მდგომარეობს. ამრიგად, არავითარ მართლსაწილზე ნააღმდეგო ქმედებაზე არ არის საუბარი.

კოლექტიური თავდაცვა

გაეროს წესდების 51-ე მუხლი უფლებას აძლევს სახელმწიფოებს, არა მხოლოდ თავად დაიცვან საკუთარი თავი, არამედ სხვა სახელმწიფოებთან ერთად მიმართონ კოლექტიურ თავდაცვას და ერთმანეთს აღმოუჩინონ სამხედრო დახმარება. კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენება დამოკიდებულია დაზარალებული სახელმწიფოს განცხადებაზე, მასზე განხორციელებული თავდასხმის შესახებ, რასაც თან ერთვის დახმარების მოთხოვნა. კოლექტიურ თავდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობენ მხოლოდ ის სახელმწიფოები, რომლებსაც მიმართეს სამხედრო დახმარების აღმოჩენის თხოვნით. ე.წ. ნიკარაგუის საქმეში (Nicaragua case 1986) დადგინდა, რომ არსებობს განსხვავება თავდაცვის უფლების გამოყენებასა და ადვოკატური სამხედრო უკუქმედებებს შორის. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ მცირე-მასშტაბიანი სასაზღვრო ინციდენტები, მართალია, წარმოადგენს გაეროს წესდების 2.4 მუხლის დარღვევას, მაგრამ არ წარმოშობს წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებულ თავდაცვის უფლებას. ამგვარი ინციდენტები უფლებას ანიჭებს სახელმწიფოებს, მიმართონ მხოლოდ პროპორციულ კონტრქმედებებს, რაც შეიძლება გამოიხატოს სამხედრო ძალის გამოყენებაში. მხოლოდ მძიმე შედეგის გამომწვევი ფართომასშტაბიანი ინტერვენცია შეიძლება გახდეს 51-ე მუხლით გათვალისწინებული თავდაცვის უფლების გამოყენების საფუძველი, რაც შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოებს, მიმართონ კოლექტიურ თავდაცვით ღონისძიებებს.

სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სრულად ეთანხმება გაეროს წესდების უმთავრეს მიზანს – მინიმუმადე დაიყვანოს საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში ძალის გამოყენების ინციდენტები და თავიდან აიცილოს სახელმწიფოთა შორის შეიარაღებულ დაპირისპირებათა ესკალაცია.

უშიშროების საბჭოს უფლებამოსილება

გაეროს წესდება უშიშროების საბჭოს ძირითად ფუნქციად საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას მიიჩნევს (გაეროს წესდების 24-ე მუხლი). ამ ფუნქციის განსახორციელებლად უშიშროების საბჭო ქმედით ზომებს მიმართავს გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ესა თუ ის სიტუაცია საფრთხეს უქმნის ან არღვევს საერთაშორისო მშვიდობას. წარსულში უშიშროების საბჭომ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დარღვევად მიიჩნია 1950 წლის კორეის, 1982 წლის ფოლკლენდის, 1987 წლის ირან-ერაყისა და 1990 წლის ქუვეითის ინციდენტები.

გაეროს უშიშროების საბჭო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად მაშინ, როდესაც:

ა) ამგვარი საფრთხე გამოწვეულია ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოზე თავდასხმით. მაგალითად, ერაყის თავდასხმა ქუვეითზე დაგმოხილ იქნა უშიშროების საბჭოს მიერ 660-ე რეზოლუციით (SC Res 660). მომდევნო რეზოლუციებით ერაყს ეკონომიკური სანქციები შეეფარდა, რასაც საბოლოოდ უშიშროების საბჭოს მხრიდან, ერაყის წინააღმდეგ მოკავშირეთა მიერ ძალის გამოყენების სანქცირება მოჰყვა.

ბ) ძალის გამოყენების სანქცირება აუცილებელია ჰუმანიტარული დახმარების აღმოსაჩენად სამოქალაქო კონფლიქტების მიმდინარეობისას. (იხილეთ უშიშროების საბჭოს 770-ე რეზოლუცია იუგოსლავიის კონფლიქტის შესახებ (SC Res 770)).

გ) ძალის გამოყენების სანქცირება განპირობებულია სამოქალაქო მოსახლეობის ტანჯვისაგან დახსნით. ასეთი ჰუმანიტარული ინტერვენცია განხორციელდა სომალისა და რუანდაში. (იხილეთ უშიშროების საბჭოს 794-ე რეზოლუცია (SC Res 794); და 978-ე რეზოლუცია (SC Res 978)).

დ) ძალის გამოყენებისა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების სანქცირება, დემოკრატიული ხელისუფლების აღდგენის აუცილებლობითაა ნაკარნახები. (იხილეთ უშიშროების საბჭოს 841-ე რეზოლუცია, რომელიც ე.წ. ჰაიტის ინციდენტს უკავშირდება (SC Res 841)).

ამგვარად, გაეროს წესდების V II თავის საფუძველზე, უშიშროების საბჭო უფლებამოსილია, შეიმუშაოს სავალდებულო რეკომენდაციები და დაინტერესებულ მხარეებს მოთხოვოს იმ დროებითი ღონისძიებების შესრულება, რომლებსაც იგი აუცილებლად ან სასურველად ჩათვლის. ასეთებია მაგალითად, მოთხოვნები ცეცხლის შეწყვეტის ან უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების გაყვანის თაობაზე.

უშიშროების საბჭო ასევე უფლებამოსილია, მოუწოდოს გაეროს წევრ სახელმწიფოებს შეიარაღებული ძალების გამოყენების გარდა, მიმართონ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სანქციებს, რაც შეიძლება გამოიხატოს ეკონომიკურ ურთიერთობათა, სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო, საფოსტო, სატელეგრაფო, რადიო თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებათა სრულ ან ნაწილობრივ შეწყვეტაში, აგრეთვე, დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტაში.

რეგიონალური ორგანიზაციები

რეგიონალური ორგანიზაცია სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც მოიცავს ცალკეული გეოგრაფიული რეგიონების სახელმწიფოებს. სავალდებულო არ არის, რომ რეგიონალური ორგანიზაცია მოიცავდეს მთელ კონტინენტს ან რეგიონს. იგი შეიძლება აერთიანებდეს რამდენიმე კონტინენტზე ან კონტინენტის ნაწილში მდებარე სახელმწიფოებს. ამგვარი ორგანიზაციები უნდა მოქმედებდნენ გაეროს წესდების შესაბამისად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების V III თავის შესაბამისად, რეგიონალურ ორგანიზაციებს ძალის გამოყენების უფლება ეძლევათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეიარაღებული ძალების გამოყენება ნებადართულია გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ და შეესაბამება გაეროს მიზნებსა და ამოცანებს. ყოფილ იუგოსლავიაში, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოქმედებები ზუსტად იყო განსაზღვრული უშიშროების საბჭოს მიერ. როგორც აღინიშნა, მართალია, რეგიონალური ორგანიზაციების მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენება ნებადართული უნდა იყოს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამგვარი ნებართვა, შესაძლოა, არ იყოს ზედმიწევნით ჩამოყალიბებული და, შეიძლება, თვით ძალის გამოყენების შედეგად იქნეს გაცემული. რეგიონალური ორგანიზაციის მიერ, ძალის გამოყენების ამგვარი შესაძლებლობა ხშირად კრიტიკის საგანი ხდება. მაგალითისათვის გავიხსენოთ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის (OAS) მიერ 1960 წელს დომინიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ განხორციელებული საეჭვო ქმედებები და 1962 წლის ე.წ. კუბის კარანტინი, რაც დაგმოხილ იქნა უშიშროების საბჭოს წევრთა მიერ. ასეთი სახის ქმედებები უკანონოდ ჩაითვლება.

საერთაშორისო სამართლის ნორმათა დარღვევად ჩაითვალა ასევე აღმოსავლეთ კარიბის ქვეყნების ორგანიზაციის (Organisation of Eastern Caribbean States) მიერ განხორციელებული სამშვიდობო ოპერაცია, რომელიც სინამდვილეში გრენადის შემარცხენ რეჟიმის შეცვლას ისახავდა მიზნად. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ უკანონოდ ცნო ეს ოპერაცია თავის რეზოლუციაში 38/7 (GA Res 38/7). ყველა ეს ზემოთ ნახსენები ქმედება, ეწინააღმდეგებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს, რომელთა დაკმაყოფილება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეგიონალური ორგანიზაციების ძალისმიერი მოქმედების აუცილებელი კრიტერიუმი გახლავთ.

მშვიდობის შენარჩუნებისა და ომის აკრძალვის მიზნით დადებულ მრავალმხრივ ხელშეკრულებათა შორის განსაკუთრებით საგულისხმოა:

1. ჰააგის 1899 და 1907 წლების კონვენციები საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ;
2. 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულება, რომელიც გმობს აგრესიულ ომს;
3. 1928 წლის კელოგ-ბრაიანის პარიზის პაქტი, რომელიც უარს აცხადებს ომზე, როგორც ეროვნული პოლიტიკის საშუალებაზე;
4. 1945 წლის ლონდონის წესდება, რომელიც დანაშაულად აცხადებს აგრესიულ ომს;
5. 1945 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, რომელიც კრძალავს აგრესიულ ომს.

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

თანამედროვე ტერმინმა - „კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“, განსაზღვრება ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებაში პოვა. ამ წესდების მე-6 მუხლის (C) პუნქტში ვკითხულობთ: „კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული: კერძოდ კი მკვლელობა, განადგურება, დამონება, დეპორტაცია ან სხვა არაადამიანური ქმედება, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, ომამდე ან ომის დროს, ან პოლიტიკური, რასობრივი თუ რელიგიური მოტივებით დევნა, დაკავშირებული ტრიბუნალის იურისდიქციაში შემავალ წებისმიერ დანაშაულთან ან მის ჩადენასთან, მიუხედავად იმისა, ითვლებოდა თუ არა ეს ქმედებები იმ ქვეყნის საშინაო კანონმდებლობის დარღვევად, რომელშიც ის იქნა ჩადენილი“.

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნიურნბერგისეული ფორმულირება, დანაშაულის ორ ტიპს მოიცავს. ეს გახლავთ „მკვლელობის, ან სხვა არაადამიანური ქმედებების“ და „აკრძალული მოტივებით დევნის“ ტიპები. აღსანიშნავია, რომ ეს ორი კატეგორია ურთიერთმომცველია, რადგან „დევნა“, ამ შემთხვევაში თავისთავად ითვალისწინებს მკვლელობას, დამონებას, დეპორტაციას და სხვა ქმედებებს, რომლებიც „არაადამიანურად“ შეიძლება დახასიათდეს.

აღნიშნული დანაშაულის „აკრძალული მოტივებით დევნის“ ტიპი, საბოლოოდ გენოციდის დანაშაულად ჩამოყალიბდა, რომელიც თავდაპირველად კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ერთ-ერთ გამოვლინებად მოიაზრებოდა.

მიჩნეულია, რომ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დეკლარირება პირველად 1915 წლის 28 მაისს მოხდა საფრანგეთის, რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა მიერ მიღებული დეკლარაციით, რომელიც თურქეთში სომხური მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას ეხებოდა. ამ მოვლენებს, ე.წ. „სამთა დეკლარაციამ“ კაცობრიობისა და ცივილიზაციის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად შეაფასა, რომლისათვისაც პასუხისმგებლობა თურქეთის მთავრობის ყველა წევრსა და ამ მოვლენების მონაწილე მის ქვეშევრდომს უნდა დაკისრებოდა.*

მანამდე კი, ტერმინს - „კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“, დამონებისა და მონებით ვაჭრობის დანაშაულის აღსანიშნავად ხმარობდნენ. აბრაამ ლინკოლნი, მაგალითად, მონებით მოვაჭრეებს, „ადამიანთა რასის წინაშე დამნაშავეებს“ უწოდებდა.

* აღნიშნული ქმედებისათვის საბოლოოდ პასუხი არავის უგია. Egan Schwelb, „Crimes against Humanity“, 23 Brit.Y.B.intel. 1946.

ასევე, კაცობრიობის წინაშე დამნაშავედ (criminal envers l'humanité) მოიხსენიებდა რობესპიერი ლუი XVI-ს.

მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული გათვალისწინებულია რუანდისა და ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების წესდებებით, მისი ყველაზე უფრო ზუსტი და დეტალური განსაზღვრება მოცემულია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის სტატუტის მე-7 მუხლში. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ რომის სტატუტი გახლავთ სახელმწიფოთა შორის დადებული ის უმნიშვნელოვანესი და მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნებას და დანაშაულის ეს კატეგორია, ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის სიბრტყიდან, საერთაშორისო ხელშეკრულებითი სამართლის სიბრტყეზე გადმოაქვს*. აღნიშნული სტატუტის მე-7 მუხლის თანახმად, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ნიშნავს ნებისმიერ შეგნებულ ქმედებას, რომელიც ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმების ფარგლებში, ნებისმიერი სამოქალაქო პირის მიმართაა ჩადენილი და გამოიხატება მკვლელობით; განადგურებით; დამონებით; მოსახლეობის დეპორტაციით, ან იძულებითი გადაადგილებით; საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმების დარღვევით დაპატიმრებით, ან ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის სხვა უხეში მეთოდების გამოყენებით; ნაშვებით; გაუპატიურებით, სექსუალური დამონებით, პროსტიტუციის იძულებით, იძულებითი დარსხულებით, იძულებითი სტერილიზებით ან სექსუალური სიმძიმის სექსუალური ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმით განხორციელებით; სტატუტის ამ მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ ქმედებასთან, ან სასამართლოს განსჯად ნებისმიერ დანაშაულთან დაკავშირებით, ნებისმიერი იდენტიფიცირებადი ჯგუფის ან ერთობის პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, გენდერული ან საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აკრძალული სხვა მოტივებით დევნით; პირთა იძულებითი გაქრობით; აპართეიდის დანაშაულით; ანალოგიური ხასიათის სხვა არაადამიანური ქმედებებით, რომლებიც ვამიზნულია ძლიერი ტანჯვის გამოსაწვევად, ან ფსიქიკური თუ ფიზიკური ჯანმრთელობისათვის სერიოზული ზიანის მისაყენებლად.

მოდით, განვიხილოთ ზოგიერთი ზემოხსენებული დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც ითვალისწინებს, როგორც დანაშაულებრივი ქმედების ობიექტურ, ასევე სუბიექტურ შემადგენლობას.

* იხილეთ აგრეთვე ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე ხანდაზმულობის პრინციპის გამოყენებლობის შესახებ 1968 წლის კონვენცია.

1. მკვლელობა

ამ დანაშაულში იგულისხმება ნებისმიერი სახის მკვლელობა; ე.ი. განზრახ და გაუფრთხილებელი მკვლელობა. განზრახ მკვლელობასა და სიცოცხლის გაუფრთხილებლად მოსპობაზე საუბრისას, გასათვალისწინებელია ის შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, სამხედრო მეთაურს ეკისრება პასუხისმგებლობა, მისი ქვეშევრდომების მიერ ჩადენილი მკვლელობისათვის. ასეთ ვითარებაში, მეთაურმა იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი ძალები, კონკრეტულ დანაშაულს სჩადიოდნენ, ან განზრახული ჰქონდათ დანაშაულის ჩადენა. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, როდესაც უფროსმა იცოდა და შეგნებულად უგულვებელყოფდა ინფორმაციას, რომელიც აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ ხელქვეითები სჩადიოდნენ, ან განზრახული ჰქონდათ ამ დანაშაულის ჩადენა. გარდა ამისა, უფროსმა, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, არ მიიღო ყველა საჭირო და გონივრული ზომა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ან აღსაკვეთად (იხილეთ რომის სტატუტის 28-ე მუხლი).

2. განადგურება

განადგურების ძირითადი არსი მრავალჯერად მკვლელობებში მდგომარეობს და ითვალისწინებს ცხოვრების ისეთი პირობების განზრახ შექმნას, რომელიც inter alia გულისხმობს საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების ხელმისაწვდომობის აღკვეთას, რაც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს მოსახლეობის ნაწილის ამოწყვეტას.

3. დამონება

დამონება ნიშნავს საკუთრების უფლების მთლიან ან ნაწილობრივ განხორციელებას ადამიანის მიმართ, მათ შორის ადამიანებით, განსაკუთრებით კი ქალებითა და ბავშვებით, ვაჭრობას. დამონების ამგვარი ცნება, პირველად 1926 წლის 25 სექტემბრის მონობის განმსაზღვრელ კონვენციაში გვხვდება.

4. მოსახლეობის დაცორტაცია ან იძულებითი გადაადგილება

დებორტაცია, ან იძულებითი გადაადგილება, გამოიხატება საერთაშორისო სამართლით დაუშვებელი საფუძვლით სამოქალაქო პირთა კანონიერი საცხოვრებელი ადგილიდან გასახლებაში, ან სხვა იძულებითი ქმედებით.

დებორტაცია თავადვე წარმოადგენს დანაშაულს და მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა მიზნითაა იგი განხორციელებული. სწორედ ეს ქმედებები უდევს საფუძვლად ეთნიკურ წმენდებს. „დებორტაცია“ ზალხის საზღვარგარეთ გასახლებას ნიშნავს; მაშინ, როდესაც „იძულებითი გადაადგილება“ შესაძლებელია ერთი სახელმწიფოს ტერიტორიულ საზღვრებშივე.

5. საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმების დარღვევით დაპატიმრება ან ფიზიკური თავისუფლების სხვაგვარად აღკვეთა

ეს დანაშაული გულისხმობს თვითნებურ, არაპარტოზომიერ დაპატიმრებაში გამოხატულ ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევას.

6. წამება

წამება ნიშნავს კონტროლს დაქვემდებარებული ან პატიმრობაში მყოფი პირისათვის განზრახ მძიმე ფიზიკური, ან სულიერი ტკივილისა თუ ტანჯვის მიყენებას. ამასთან, წამება არ მოიცავს კანონიერი სანქციებისათვის დამახასიათებელ, მათგან განუყოფელ, ან მათი აღსრულებისას შემთხვევით წარმოშობილ ტკივილსა თუ ტანჯვას.

წამების საწინააღმდეგო გაეროს კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, წამებად ჩაითვლება „ნებისმიერი ქმედება, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ფიზიკური, ან მორალური ტკივილი თუ ტანჯვა, მისგან ან მესამე პირისაგან, ცნობებისა თუ აღიარების მიღების მიზნით, რათა დაისაჯოს მის მიერ, ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის; ან იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენაშიცაა იგი ეჭვმიტანილი მისი, ან მესამე პირის დაშინების თუ იძულების, ან რაიმე სხვა მიზნით, რაც ემყარება ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას, როდესაც ასეთ ტკივილს ან ტანჯვას ადგილი აქვს სახელმწიფო თანამდებობის პირის ან სხვა პირის მხრიდან, რომელიც ოფიციალურ რანგში გამოდის, ან როდესაც ადგილი აქვს მათი მხრიდან წაქეზებას ან მდუმარე თანხმობას“. წამებად არ ჩაითვლება ტკივილი და ტანჯვა, რომელიც კანონიერი სანქციების გამოყენების შედეგს წარმოადგენს, თან სდევს

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

მის გამოყენებას, ან შემთხვევითა, თუკი ის გამოყენებულია იმ ხარისხით, რომელიც არ ეწინააღმდეგება პატიმრებთან მოპყრობის მიზნობრივ სტანდარტებს.

საზოგადო, წამების, სულ ცოტა, 15 სახეს გამოარჩევენ. მათი განსხვავების საფუძველი ადამიანის ფიზიოლოგია, გამოყენებული მეთოდები თუ ინსტრუმენტები და შედეგები გახლავთ. წამების სახეებია:

1. გაუპატიურებით წამება;
2. წამება აკრძალვის საშუალებით;
3. იძულებითი პოზები;
4. ელექტრონული განმუხტვის გამოყენება;
5. ცემა;
6. დასახიჩრება (ნაჩხვლეტები, ჭრილობები და ა.შ.);
7. იძულებითი ინექციები;
8. ჩამოკიდება, გადაგდება, გაჭიმვა, დაბორბლა;
9. მედიკამენტების ან არათერაპიული საშუალებების გამოყენება;
10. დანვა;
11. წყალში ჩაძირვა (ე.წ. „წყალქვეშა წაღი“);
12. ნერვულ სისტემაზე ზმით, ან სინათლით ზემოქმედება;
13. ფსიქოლოგიური წამება;
14. იძულებითი მუქარით, დოკუმენტებზე ხელის მოწერა;
15. შეურაცხყოფა, ან ზოგადად სასტიკი მოპყრობა.

7. გაუპატიურება

გაუპატიურება კონკრეტული დანაშაულია, რომელსაც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მოიცავს. ეს დანაშაული გათვალისწინებულია რუანდისა და ყოფილი იუგოსლავიის ad hoc შექმნილი სისხლის სამართლის ტრიბუნალების წესდებებით. გაუპატიურება, როგორც „წელი სიკვდილის“ პროცესი, შეიძლება შეფასდეს, როგორც, გარკვეული/ჯგუფებისათვის (ეთნიკური, ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური) ცხოვრების ისეთი პირობების განზრახ შექმნა, რომელიც მიზნად ისახავს მის ფიზიკურ განადგურებას. ამგვარი ქმედება კი, თავის მხრივ, გენოციდად შეიძლება შეფასდეს. (იხილეთ კაიაშემას საქმე. Kayishema Judgment (21 May 1999) case No ICTR-95-1-T)

გაუპატიურების პრაქტიკა და მისი მრავალფეროვნება იუგოსლავიის კონფლიქტში იყო ფართომასშტაბიანი და განზრახი. ადამიანის უფლებათა გაეროს კომისიის სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გაუპატიურების მიზანს, ხშირად ეთნიკური წმენდა წარმოადგენს, რაც მთელი ეთნიკური ჯგუფის დამცირებაში და შეძრწუნებაში გამოიხატება*.

* იხილეთ Karadzic Decision, case Nos IT-95-5-R61 and IT-95-18-R61 (ICTY 11 July, 1996)

ფართომასშტაბიან და დისკრიმინაციულ გაუპატიურებებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე რუანდაში განხორციელებული გენოციდისას.

ორივე ამ ტრიბუნალმა, გაუპატიურება განსაზღვრა, როგორც იძულებითი გარემოებისას ჩადენილი, პიროვნების სექსუალური ხასიათის ფიზიკური ხელყოფა. (Akayesu Judgment (2 september 1998) case No ICTR-96-4T)

აკაეზუს განაჩენში, გაუპატიურება შეფასდა, როგორც პიროვნების ღირსების წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიული ქმედება, რომლის ძირითადი ელემენტები არ შეიძლება განისაზღვროს, მხოლოდ სხეულის სხვადასხვა ორგანოს მექანიკური აღწერით.

გაუპატიურების ამ კონცეპტუალურ და მოქნილ განსაზღვრებას ეწინააღმდეგება ე.წ. ფურუნძიას საქმეზე (ICTR.Furundzija Judgment (10 December 1998)) გამოტანილი განაჩენი. განაჩენში დეტალურად იქნა განხილული სხეულის სხვადასხვა ორგანო და დადგინდა, რომ გაუპატიურებაში იგულისხმება არა მხოლოდ ეგვინასა და ანუსზე ასოთი ზემოქმედება, არამედ ორალური შეღწევაც.

„იძულებითი ორსულობა“ ნიშნავს იძულებით დაორსულებულისათვის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთას, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლის, ან საერთაშორისო სამართლის სხვა სერიოზული დარღვევის ჩადენის მიზნით.

8. დევნა

„დევნა“ ნიშნავს, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების სანაღმდეგოდ, პირის ძირითად უფლებათა განზრახ უხეშ ხელყოფას, რომელიმე ჯგუფისა ან ერთობისადმი კუთვნილების მოტივით. ნიურნბერგის ტრიბუნალმა ასეთ ქმედებებად მიიჩნია პოლიტიკური ოპონენტების მკვლელობა ნაცისტების მიერ, ებრაელთა დაბოცვა და მათი საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსება, აგრეთვე ისეთი კანონების შემოღება, რომლებიც ებრაელების ეკონომიკური ცხოვრებისაგან ჩამოცილებას ითვალისწინებდა.

ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის სასამართლო პალატის მიერ 2001 წლის 31 ივლისს, (No IT-95-9/1-S) ტოდოროვიჩის საქმეზე (Prosecutor v. Stevan Todrovich) გამოტანილ განაჩენში დადგინდა, რომ დევნაში გამოხატული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, დისკრიმინაციული განზრახვით მოქმედებას გულისხმობს და თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სხვა დანაშაულებრივ ქმედებებსაც შეიძლება შეიცავდეს.

ვინაიდან დისკრიმინაციული განზრახვით მოქმედება, დევნაში გამოხატული დანაშაულის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია,

სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად.

9. პირთა იძულებითი გაუჩინარება

პირთა იძულებითი გაუჩინარება ნიშნავს პირთა დაპატიმრებას, დაკავებას, ან მოტაცებას სახელმწიფოს ან პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ, ან მათი ნებართვით, მზარდაჭერითა თუ დღეობით თანხმობით, რის შემდეგაც მათ უარი განაცხადეს თავისუფლების ასეთი აღკვეთის აღიარებაზე, ან ამ პირთა ბედისა თუ ადგილსამყოფელის შეტყობინებაზე, ამ პირთათვის კანონით გათვალისწინებული დაცვის ხანგრძლივად ჩამორთმევის მიზნით. ამგვარი ტერმინოლოგია გამოყენებულია გაეროს 1992 წლის, პირთა იძულებითი გაუჩინარებისაგან დაცვის დეკლარაციაში (G.A. Res. 47/133, U.N. Doc. A/47/49/vol.I (1992)) იმ განსხვავებით, რომ მასში არაფერია ნათქვამი „პოლიტიკური ორგანიზაციების“ შესახებ.

1941 წლის 7 სექტემბერს, შიტლერმა გასცა უმოწყალო დირექტივა (NACHT UND NEBEL ERLAS)*, რომლის თანახმადაც, ფაშისტების მონიწილედგე ყველა პირი, რომელსაც ადგილზე არ ანადგურებდნენ, საიდუმლოდ გაჰყავდათ გერმანიაში, სადაც ისინი უკვალოდ ქრებოდნენ. ინფორმაციას ასეთი პირების შესახებ, მათ ნათესავებს არ აწვდიდნენ, რათა მათი მუდმივი შფოთვა და წუხილი გამოეწვიათ.

10. აპართეიდის დანაშაული

„აპართეიდი“ ნიშნავს ინსტიტუციონალიზებული რეჟიმის მიერ, ამ რეჟიმის შენარჩუნების მიზნით, არაადამიანური ქმედებების განხორციელებას, რაც გამოიხატება ერთი რასობრივი ჯგუფის, სხვა რასობრივ ჯგუფზე, ან ჯგუფებზე სისტემატური ზეწოლითა და ბატონობით. აღსანიშნავია, რომ თავად აპართეიდის 1973 წლის კონვენცია და მასში გამოყენებული ტერმინოლოგია, მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა ე.წ. გენოციდის კონვენციას. აპართეიდი რასობრივი დისკრიმინაციის ყველაზე სასტიკი ფორმაა, რომელიც გამოიხატება რასობრივი ნიშნით გამოჩეული გარკვეული ჯგუფებისათვის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ჩამორთმევაში. სამხრეთაფრიკულ აპართეიდს ბოლო მოეღო 1994 წელს, როდესაც პრეზიდენტმა დე კლერმა პირველად ჩაატარა თავისუფალი არჩევნები.

* დირექტივა „ნეფი და ნაილი“

11. ანალოგიური ხასიათის სხვა არაადამიანური ძმადებაები, რომლებიც გაიზნულია ძლიერი ტანჯვის გამოსაწვევად ან ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის სერიოზული ზიანის მისაყენებლად

„სხვა არაადამიანურ ქმედებებზე“ საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი ზემოაღნიშნულ დანაშაულთა მსგავსი ხასიათისანი არიან და განზრახ ჩადენილი უნდა იქნენ ჩადენილი. ამგვარი ქმედებები, მაგალითად, პირის დასაბიჩრება და სხეულის მძიმე დაზიანება, აგრეთვე, ადამიანებზე უკანონო ექსპერიმენტების ჩატარება და ინტენსიური ფიზიკური ძალადობა.

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ერთ-ერთი ელემენტი - „თავდასხმა“ - გულისხმობს სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ ზემოხსენებულ ქმედებათა მრავალჯერად ჩადენას ამგვარი თავდასხმის განსახორციელებლად, სახელმწიფოს, ან ორგანიზაციული პოლიტიკის გატარებისა თუ მისი ხელშეწყობის მიზნით.

„თავდასხმა“, როგორც ქმედებათა „მრავალჯერადი“ ჩადენა, „ფართომასშტაბიან თავდასხმებს“, ანუ ფართოდ გავრცელებულ თავდასხმებს გულისხმობს, ხოლო „თავდასხმების სისტემატურობაში“ ორგანიზაციული პოლიტიკა მოიაზრება.

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს, როგორც ომის, ასევე მშვიდობიანობის დროს. „ომში“, ორივე სახის - საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტები იგულისხმება.

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დანაშაულის ჩადენი პირი პასუხს აგებს სისხლისსამართლებრივი წესით და დაისჯება იმისდა მიუხედავად, თუ სად ან როდის იქნა ჩადენილი ეს დანაშაული.

1973 წლის 3 დეკემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, 3074 (XXV III) ომის დანაშაულისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში ბრალეულ პირთა გამოვლინების, დაპატიმრების, გადაცემისა და დასჯის საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპების შესახებ. რეზოლუციის პირველი მუხლის შესაბამისად:

„ომის დანაშაული და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, როდის და სადაც არ უნდა იყოს ჩადენილი, ექვემდებარება გამოძიებას, ის პირნი კი, რომელთა მიმართაც არის ასეთი დანაშაულის ჩადენის დამამტკიცებელი საბუთები, ექვემდებარებიან ძებნას, დაპატიმრებას, სასამართლო პასუხისგებაში მიცემასა და, დამნაშავედ მათი ცნობის შემთხვევაში, დასჯას“.

მეორე მუხლის თანახმად, ყოველ სახელმწიფოს უფლება აქვს თავისი მოქალაქეები გაასამართლოს ომის დანაშაულის თუ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის.

მესამე მუხლი, სახელმწიფოებს ავალდებულებს ამ დანაშაულთა აღსაკვეთად და თავიდან ასაცილებლად, ერთმანეთთან ორმხრივ ან მრავალმხრივ საფუძველზე თანამშრომლობას.

რეზოლუციის მეშვიდე მუხლი კი იუწყება, რომ 1967 წლის 14 დეკემბრის ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ დეკლარაციის შესაბამისად, სახელმწიფოები არ აძლევენ თავშესაფარს არც ერთ პირს, რომლის მიმართაც არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ მან ჩაიდინა ომის, მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

გენოციდი

გენოციდზე საუბარი, პირველ რიგში ალბათ 1948 წლის 9 ოქტომბრის გენოციდის დანაშაულის პრევენციისა და დასჯის შესახებ მიღებული კონვენციიდან უნდა დაიწყოს, რომელიც ძალაში 1951 წლის იანვარს შევიდა*. ორმოცდაათწლიან პერიოდში ამ კონვენციას ას ორმოცამდე სახელმწიფო შეუერთდა, რაც არცთუ ისე სახარბიელო სტატისტიკა გახლავთ. მაგალითად, 1969 წელს მიღებულ საერთაშორისო კონვენციას, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 153 წევრი სახელმწიფო აყავს, ხოლო 1949 წლის 12 წლის ჟენევის „სამოქალაქო კონვენციას“, 187 სახელმწიფოა შეერთებული. ამის მიზეზად მიჩნეულია სახელმწიფოთათვის „გენოციდის კონვენციის“ მიერ, მათზე დაკისრებული ვალდებულების ის მძიმე ტვირთი, რაც სახელმწიფო მეთაურთა ჩათვლით, გენოციდში ეჭვმიტანილ პირთა სისხლისსამართლებრივ დევნასა და ექსტრადიციას გულისხმობს.

გენოციდის კონვენციას საფუძვლად უდევს გაეროს განზრახვა, დაგმოს და დასაჯოს გენოციდი, როგორც საერთაშორისო სამართლის დანაშაული, რომელიც მოიცავს ადამიანთა ჯგუფებისათვის არსებობის უფლების მოსპობას/არსებობის უფლების მოსპობა შემადგენელია შეგნებული კაცობრიობისათვის, იგი ეწინააღმდეგება საერთაშორისო მორალის წესებს, აგრეთვე გაერთიანებული ერების მიზნებსა და სულისკვეთებას. ამ კონვენციის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ ის პრინციპები, რომლებსაც კონვენცია ეფუძნება, ცივილიზებულ ერთა მიერ ყოველი სახელმწიფოსათვის სავალდებულო პრინციპებადაა მიჩნეული.

გარდა თავად გენოციდის კონვენციისა, გენოციდის, სამართლის სხვა წყაროებიც განსაზღვრავენ. კონვენციას წინ უსწრებდა 1948 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ რეზოლუციის მიღება, რომელიც გენოციდს საერთაშორისო სამართლის დანაშაულად ცნობდა და ფიზიკურ პირებს, მისი ჩადენის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის გარდუვალობის შესახებ ამცნობდა.**

აღსანიშნავია, რომ სწორედ გენოციდის კონვენციამ, და არა ნიურნბერგის წესდებამ აღიარა პირველად, რომ შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში ჩადენილი ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა, საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს და შესაბამისად, საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.

გენოციდის დანაშაულის პრევენციისა და გენოციდისათვის დასჯის

* Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide, 78 U.N.T.S.

** GA Res.96 (I)

შესახებ 1948 წლის 9 დეკემბერს მიღებული კონვენციის I მუხლის შესაბამისად — ხელშეკრული მხარეები ადასტურებენ, რომ გენოციდი, მიუხედავად იმისა, მშვიდობიანობის დროს იქნა ჩადენილი, თუ ომისაშინების დროს, არის დანაშაული, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და რომ სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ მიიღონ ზომები მის ასაცდენად და მის ჩამდენთა დასასჯელად.

1993 წელს №827 რეზოლუციის საფუძველზე გაეროს უშიშროების საბჭომ ყოფილი იუგოსლავიისათვის დააარსა ad hoc ტრიბუნალი, რომლის იურისდიქციაც გაეროცელდა გენოციდის დანაშაულზე. გენოციდი, ამ ტრიბუნალის წესდებაში, გენოციდის კონვენციის მსგავსად არის განმარტებული.*

ამას მოჰყვა უშიშროების საბჭოს 1994 წლის რეზოლუცია, რომელიც ad hoc ტრიბუნალის შექმნას ახლა რუანდისათვის ითვალისწინებდა.**

რუანდისათვის შექმნილმა ad hoc ტრიბუნალმა თავისი განაჩენი პირველად 1998 წლის 2 სექტემბერს გამოიტანა ე.წ. აკაეზუს საქმეზე (Prosecutor v. Akayesu (Case No. ICTR-96-4-T)). ხოლო ე.წ. კამბანდასა და სერაშუგოს საქმეებზე გამოიტანო განაჩენებში, რუანდისათვის შექმნილმა ტრიბუნალმა, გენოციდს „დანაშაულთა დანაშაული“ უწოდა. (Prosecutor v. Kambanda (case No. ICTR-97-23-S) 4 September 1998, para 16; Prosecutor v. Serashugo (Case No. ICTR-98-39-5) 2 february, 1999, para 15.)

„გენოციდი“, ბერძნულ-ლათინური ტერმინი გახლავთ. იგი ბერძნული *genos*-იდან და ლათინური *caedere*-დან წარმოდგება. სიტყვა *genos* ბერძნულად რასას, ერს ან ტომს აღნიშნავს, ხოლო ლათინური სიტყვა *caedere* კი - მოკლას, მკვლელობას გულისხმობს. ეს ტერმინი საერთაშორისო სამართალში საერთაშორისო სამართლის ცნობილმა მკვლევარმა, რაფაელ ლემკინმა დაამკვიდრა.***

გენოციდის კონვენციის I მუხლის თანახმად, „გენოციდად ითვლება, რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის, როგორც ასეთის, მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობის განზრახვით ჩადენილი შემდეგი ქმედება:

ა) ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობა;

ბ) ასეთი ჯგუფის წევრთათვის სერიოზული ფიზიკური ან ფსიქიკური

* UN Doc. S/RES/827; იხილეთ აგრეთვე Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Bosnia and Herzegovina v. Yugoslavia (Serbia and Montenegro)), Requests for the Judication of Provisional Measures, 8 April 1993, (ICJ Reports 16; “...”), Further Requests... 13 September 1993, 1993 ICJ Reports 325.

** UN Doc. S/RES/955

*** იხილეთ William A. Schabas “Genocide in International Law” CAMBRIDGE UNIVERSITY PRESS 2000. p 24

ზიანის მიყენება;

- ე) ამ ჯგუფთაგან რომელიმესათვის მიზანმიმართულად ცხოვრების ისეთი პირობების შექმნა, რომელიც მათი სრული ან ნაწილობრივი ფიზიკური განადგურებისკენაა მიმართული;
- მ) ასეთ ჯგუფში შობადობის შესამცირებლად სამედიცინო ზომების მიღება;
- ე) ბავშვების ერთი ჯგუფიდან მეორეში იძულებით გადაადგილება^{*}

კონვენციის III მუხლის შესაბამისად, დასჯადი ქმედებაა:

- ა) გენოციდი;
- ბ) შეთქმულება გენოციდის ჩადენის მიზნით;
- ც) პირდაპირი და საჯარო წაქეზება გენოციდის ჩასადენად;
- მ) გენოციდის ჩადენის მცდელობა;
- ე) გენოციდში თანამონაწილეობა.

ჯგუფები

რეალურ ლემკინი თავის ნაშრომში, "Axis Rule in Occupied Europe" („ღერძის მმართველობა ოკუპირებულ ევროპაში"), „ჯგუფს" განმარტავს, როგორც ერთობას, რომელიც სამართლებრივ დაცვას საჭიროებს. ლემკინი გენოციდისაგან „დაცული ჯგუფების" სინონიმად ხშირად „უმცირესობათა ჯგუფებს" ხმარობს.

გენოციდის მეორე მკვლევარი, ნეჰემია რობინსონი, გენოციდის კონვენციის მისეულ განმარტებაში ტერმინს - „ჯგუფები" მოკლე და კონკრეტულ ფორმულირებას გეთავაზობს: „ჯგუფებს ინდივიდები შეადგენენ".* გენოციდის კონვენციის შექმნის პროცესში ტერმინი - „ჯგუფები", არსებითად არ განმარტებულა. მიუხედავად ამისა, სიტყვა „ჯგუფები", ადამიანის უფლებათა სამართლის დარგის სხვა დოკუმენტებშიც მრავლად გვხვდება.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლის II პუნქტში ნათქვამია: „... განათლება ხელს უნდა უწყობდეს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი და რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას...". ამ დეკლარაციის 30-ე მუხლში ნახსენებია „... ნებისმიერი სახელმწიფო, პირთა ჯგუფი თუ ცალკეული პირები...". რაც, ფიქტობით, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ჯგუფი ორი ან მეტი პირის ერთობას გულისხმობს.*

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 27-

ე მუხლში საუბარია პირთა ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა ჯგუფებისადმი კუთვნილებაზე.**

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლის პირველ პუნქტში ნახსენებია „... ყველა ერი და ყველა რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები...".

1966 წლის 7 მარტს, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ მიღებული საერთაშორისო კონვენციის მე-2 (2) მუხლში ასევე საუბარია „რასობრივ ჯგუფებზე". ამავე კონვენციის მე-4 (4) მუხლი, ეხება „ნებისმიერი რასის ან სხვა კანის ფერის თუ ეთნიკური წარმომავლობის პირთა ჯგუფებს...". ზოლო დოკუმენტის მე-7 მუხლი, „რასობრივ თუ ეთნიკურ ჯგუფებს" ეხება.

„ჯგუფებზე" საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საუბარია არა მხოლოდ „უმცირესობათა ჯგუფებზე", არამედ იმ ჯგუფებზეც, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ. გენოციდის კონვენციის ავტორებს მშვენივრად ესმოდათ, რომ ამა თუ იმ ტერიტორიის ოკუპირებისას, გენოციდის მსხვერპლნი, ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ესა თუ ის ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი, შესაძლოა, მთლიანად მოსახლეობის უმრავლესობაც კი ყოფილიყო. ამის მაგალითია, 1972 წელს ბურუნდში, ჰუტუს ტომის წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდი. ჰუტუს ტომი ბურუნდის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდა.***

ყურადღებია ის გარემოება, რომ გენოციდის კონვენციაში ჩამოთვლილი ოთხი ჯგუფიდან, რომელიმე ერთი ჯგუფისადმი პირთა კუთვნილების ზედმიწევნით ობიექტურად დადგენა, ხშირად ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. ამაში ნათლად დავრწმუნდებით, თუ 1994 წელს, რუანდაში ჰუტუების მიერ, ტუტსების წინააღმდეგ განხორციელებულ გენოციდს გავიხსენებთ.

საქმე ის გახლავთ, რომ ტუტსები ნილოსელი მწყემსების შთამომავლებად ითვლებიან, მაშინ როდესაც, რუანდელი ჰუტუები სამხრეთ და ცენტრალურ აფრიკაში მცხოვრები ბანტუებისაგან წარმოდგებიან. ისტორია მოწმობს, რომ ეს ორი ტომი ერთმანეთისაგან ეკონომიკურადაც განსხვავდება. ტუტსები მესაქონლეობით არიან დაკავებული, ჰუტუები კი მიწათმოქმედებით. მათ შორის გენეტიკური სხვაობაც არსებობს. ტიპური ტუტსი მალალი და თხელია; მას კარგად გამოკვეთილი ცხვირი აქვს; ტიპური ჰუტუ კი შედარებით დაბალი და ბრტყელცხვირია.

* იხილეთ აგრეთვე 1966 წლის 16 დეკემბრის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის V მუხლი.

** იხილეთ აგრეთვე ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის 17 (მ) და 29 (1)(მ) მუხლები.

*** იხილეთ René Lemarchand and David Martin, "Selective Genocide in Burundi", London, Minority Rights Group, 1974.

* Nehemiah Robinson, "The Genocide Convention: A Commentary", 1950, p. 58.

ამ ნიშნებით, ტუტსებისა და ჰუტუების უმრავლესობა ერთმანეთისაგან არ განსხვავდება, ვინაიდან, ხშირია შერეული ქორწინება. გარდა ამისა, ისინი ერთ ენაზე მეტყველებენ და ერთი და იმავე აღმსარებლობისანი არიან. ბელგიელ კოლონიზატორებს ისე უჭირდათ ერთმანეთისგან მათი განსხვავება, რომ გადაწყვიტეს, საიდენტიფიკაციო ბარათების სისტემა შემოეღოთ და მათი „ეთნიკური წარმომავლობა“, ერთ ოჯახზე ნახიროს რაოდენობის მიხედვით განესაზღვრათ.*

ნაცისტები, მაგალითად, ობიექტურ კრიტერიუმებზე დამყარებული დეტალური წესების მეშვეობით ასხვავებდნენ ებრაელებს არაებრაელებისაგან. ამგვარად, კონვენციით დაცული ჯგუფების მნიშვნელობის განსაზღვრა, სუბიექტურობის ხარისხზეც მიგვანიშნებს. დანაშაუვთავე თავად ანიჭებს გენოციდის კონვენციით დაცული ჯგუფის წევრის სტატუსს ინდივიდუალურ მსხვერპლს.

რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის სასამართლო პალატა, კაიაშემას და რუჟინდანას საქმეზე (Prosecutor v. Kayishema and Ruzindana (Case No. ICTR-95-1-T), Judgment, 21 May 1999) ამ საკითხს განსაკუთრებით სუბიექტურად მიუდგა და ეთნიკური ჯგუფი განმარტა, როგორც „დანაშაულის ჩამდენთა ჩათვლით სხვათა მიერ ასეთ ჯგუფად იდენტიფიცირებად ჯგუფად“.

ეს მოსაზრება იმთავითვე მცდარი აღმოჩნდა და განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ გენოციდის დანაშაულის განმსაზღვრელი მთავარი ელემენტი, დამნაშაულის განზრახვაა. მისი უკმარისობა კი შესაძლებელს ხდის, ყოველ შემთხვევაში, თეორიულად მაინც, გენოციდი ჩადენილ იქნეს იმ ჯგუფის მიმართ, რომელიც სინამდვილეში ობიექტურად არ არსებობს.

სუბიექტური მიდგომის სისუსტე ჯგუფების განსაზღვრად იმაშიც მდგომარეობს, რომ კანონი ვერ დაუშვებს დანაშაულის განსაზღვრას მხოლოდ დამნაშაულის მიერ. ამგვარად, აუცილებელია დადგინდეს ხსენებული ოთხი ჯგუფის ობიექტურად არსებობის ფაქტი.

არსებობს კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება. ტერმინი „ჯგუფი“, ნახსენებია არა მხოლოდ გენოციდის კონვენციის იმ ნაწილში, რომელიც დანაშაულის სუბიექტურ მხარეს განსაზღვრავს, არამედ იქაც, სადაც ჩამოთვლილია თავად გენოციდის დასჯადი ქმედებები, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ კონკრეტული ქმედებები მიმართული უნდა იყოს „ჯგუფის წევრების წინააღმდეგ“. კონვენციაში ჩამოთვლილი ოთხი ტიპის „ჯგუფი“ არა მხოლოდ ურთიერთმეცველი, არამედ ურთიერთგანსაზღვრელიცაა.

მოდით, ახლა გენოციდის კონვენციის II მუხლის იმ ზუთ პუნქტს დავუბრუნდეთ, რომლებიც გენოციდის აქტებს შეადგენენ და ერთად, გენოციდის დანაშაულის ობიექტურ მხარედ გვევლინებიან.

* William A. Schabas "Genocide in International Law" CAMBRIDGE UNIVERSITY PRESS, 2000, p.109.

დანაშაულის განსაზღვრებიდან გამომდინარე, დანაშაულებრივი ქმედებები შეიძლება ასევე მოიცავდნენ დანაშაულებრივ ქმედებს. გენოციდის კონვენციაში განსაზღვრული ზუთი ქმედებიდან, სამი დანაშაულებრივი შედეგის დადგომას მოითხოვს. ესენია: ა) ჯგუფის წევრების მკვლელობა; ბ) ჯგუფის წევრთათვის სერიოზული ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენება და ე) ბავშვის ერთი ჯგუფიდან, მეორეში იძულებით გადაადგილება; ც) ჯგუფისათვის ისეთი პირობების განზრახ შექმნა, რომელიც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას და ძ) ისეთი ზომების გატარება, რომელთა მიზანია ჯგუფის შიგნით შობადობისათვის ხელის შეშლა, შედეგის დადგომას არ მოითხოვს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამ შემთხვევაში, როდესაც შედეგი დანაშაულის ელემენტს წარმოადგენს, ბრალდებულის მიმართ შეიძლება გაგრძელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის ჩადენის მცდელობისათვის მაშინაც კი, როდესაც თავად შედეგი არ დასტურდება. ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს აგრეთვე, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის (f) ნაწილი, რომლის თანახმადაც „სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩამდენი პირი, ამ წესდების შესაბამისად, სისხლის სამართლის წესით აგებს პასუხს და დაისჯება, თუ იგი აღნიშნული დანაშაულის ჩადენას ეცდებოდა ისეთი ქმედებით, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის ჩადენისაკენ მიმართულ მნიშვნელოვან ღონისძიებას, თუ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი პირის მიზნებისაგან დაპოუქიდებული შიზენების გამო. ამასთან, პირი, რომელიც უარს იტყვის დანაშაულის ჩადენის მცდელობაზე ან სხვაგვარად შეუშლის ხელს მის ბოლომდე მიყვანას, არ დაისჯება დანაშაულის მცდელობისათვის ამ წესდებით, თუ იგი სრულად და ნებაყოფლობით აიღებს ხელს დანაშაულებრივ განზრახვაზე“.

მართალია, ტერმინი „აქტები“, გნებავთ, „ქმედებები“, გენოციდის კონვენციის III მუხლშიც გვხვდება, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მათ სხვა დატვირთვა აქვთ და დანაშაულის უშუალო ამსრულებელთა გარდა, პასუხისმგებლობას დანაშაულის თანამონაწილეთათვისაც აწესებს.

რაც შეეხება გენოციდის სუბიექტურ მხარეს, აღსანიშნავია, რომ იგი უნდა განხორციელდეს გაზრახ ან შეგნებულად. განზრახვაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ საუბარი სპეციფიკურ, ანუ პირდაპირ, განზრახვაზეა. ასეთი განზრახვის უკმარისობის შემთხვევაში საქმე გენოციდის დანაშაულთან კი არა გვაქვს, არამედ დევნაში გამოხატული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან.*

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტის მე-6 მუხლში, განზრახვა შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „...ეროვნული,

* იხილეთ Report of the International Law Commission on the Work of Its Forty-Eighth Session, 6 May - 26 July 1996.

ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის, როგორც ასეთის, სრული ან ნაწილობრივი განადგურებისაკენ მიმართული განზრახ ქმედება..* „შეგნებულად“, ნიშნავს იმის გაცნობიერებას, რომ არსებობს გარემოება, ან შედეგი დადგება მოვლენების ჩვეული განვითარების შემთხვევაში.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად:

„პირს აქვს განზრახვა:

ა) ქმედების მიმართ, თუ ის აპირებს ამ ქმედების ჩადენას;

ბ) შედეგის მიმართ, თუ ის აპირებს გამოიწვიოს ეს შედეგი ან მისთვის ცნობილია, რომ იგი დადგება მოვლენების ჩვეული განვითარების შემთხვევაში“

გენოციდის დანაშაულზე საუბრისას, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს განზრახვა და მოტივი, ვინაიდან, გენოციდის ჩადენის მოტივი შეიძლება იყოს, მაგალითად, პოლიტიკური უპირატესობის, ან გარკვეული ძალაუფლების მოპოვება, აგრეთვე, ეკონომიკური სარგებელის მიღება და ა.შ. მართალია, გენოციდის კონვენციაში არ არის საუბარი გენოციდის ჩადენისას რაიმე გეგმის არსებობის აუცილებლობაზე, საერთაშორისო ტრიბუნალების პრაქტიკამ ცხადყო დანაშაულის განსაზღვრისას ასეთი გეგმის არსებობის დადასტურების საჭიროება. ელესიკის საქმეზე გამოტანილ განაჩენში, მოსამართლე კლოდ ჟორდამ აღნიშნა, რომ თეორიულად, გენოციდის ჩადენა შესაძლებელია ცალკეული პირის მიერ, ყოველგვარი წინასწარი გეგმის ან პროექტის არსებობის გარეშე, მაგრამ პრაქტიკაში, ასეთი სიტუაციის არსებობა წარმოუდგენელია*.

გენოციდის დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით**. გენოციდის ხუთივე აქტი მიმართული უნდა იყოს ორი ან მეტი პირის წინააღმდეგ.

* იხილეთ Prosecutor v. Jelesic (Case No. IT-95-10-T), Judgment, 14 December 1999; ICTY)

** იხილეთ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტის 28-ე მუხლი. აგრეთვე, იხილეთ Prosecutor v. Kambanda, Case No. ICTR 97-23-S) 4 September 1998.

ომის დანაშაული JUS IN BELLO

ომის დანაშაული ომის კანონებისა და წესების სერიოზული დარღვევა გახლავთ. ომის კანონებისა და წესების ერთობლიობა, შეიარაღებული კონფლიქტების სამართლისა და ჰუმანიტარული სამართლის სახელწოდებითაა ცნობილი.* საზოგადოდ, ერთმანეთისგან განაცალკევებენ ე.წ. ჰააგისა და ჟენევის სამართალს. ჰააგის სამართალში მოიაზრება 1899 წლის და 1907 წლის ჰააგის N. IV კონვენცია, რომელიც შეეხება ხმელეთზე ომის წარმოების წესებსა და ჩვეულებებს, რაც, თავის მხრივ, ბრძოლის მეთოდებისა და საშუალებების რეგულირებას გულისხმობს. ჟენევის სამართალი კი 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციებსა და 1977 წლის დამატებითი ოქმებს მოიცავს, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტების მიმდინარეობისას ადამიანთა დაცვას გულისხმობს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჰააგისა და ჟენევის სამართალი იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათ შორის რაიმე ზუსტად განმსაზღვრელი ზოლის გავლება, როგორც წესი, შეუძლებელია, რამდენადაც შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის მიზანი, საბოლოო ჯამში ადამიანის ღირსების, პიროვნებისა თუ ქონების დაცვა და უსარგებლო ზიანისა ან ტანჯვის თავიდან აცილება გახლავთ. მაგალითად, ჰააგის 1907 წლის N. IV კონვენცია, შეიცავს ფიზიკურ პირთა დამცავ ნორმებს, ჟენევის კანონმდებლობა (განსაკუთრებით 1977 წლის I დამატებითი ოქმი) კი ითვალისწინებს იმ ნორმებს, რომლებიც უკავშირდება სამიზნეების შერჩევისა და ბრძოლის მეთოდების გამოყენებას.

შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის მიზანი საბოლოო ჯამში ადამიანური ღირსების, პიროვნებისა თუ ქონების დაცვა და უსარგებლო ზიანის თავიდან აცილება გახლავთ.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წყაროები

წარსულში ომის სამართლად წოდებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, სამართლის განსაკუთრებული დარგია, რომელიც არეგულირებს შეიარაღებულ კონფლიქტებს. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიზანს ომის შედეგების შემცირება წარმოადგენს, ერთი მხრივ, საბრძოლო ოპერაციების მეთოდების და საშუალებების შეზღუდვის მეშვეობით, მეორე მხრივ კი, მეომარი მხარეების დავალებულებით – შეიბრალონ ის პირები, რომლებიც არ მონაწილეობენ, ან

* იხილეთ International Criminal Law – cases and materials. (Carolina Academic Press – 1996). Chapter 9, p.967

აღარ მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებებში.

საერთაშორისო სისხლის სამართალი და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და ჩვეულებებს ეყრდნობიან, რომლებიც მუდმივ გაელენას ახდენენ ერთმანეთზე. ამრიგად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარგის რომელიმე კონკრეტული საკითხის განხილვისას, მართებული იქნებოდა აღგვენიშნა, საერთაშორისო ხელშეკრულებითი თუ ჩვეულებითი სამართლის რომელ კონკრეტულ წყაროს ვიშველიებთ. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, განსხვავება კონვენციურ და ჩვეულებით სამართლის წყაროებს შორის არ არის მკაფიოდ განსაზღვრული მით უფრო მაშინ, როდესაც ესა თუ ის ინსტრუმენტი, (მაგალითად, საერთაშორისო კონვენცია) მოწოდებულია ასახოს დადგენილი წეს-ჩვეულება. თავად ჩვეულება კი ამა თუ იმ ხელშეკრულების ინტერპრეტაციის საუცხოო საშუალებაა.

აღსანიშნავია, რომ 1949 წლის ჟენევის კონვენციები, მათი საერთო მე-3 მუხლი, ჟენევის კონვენციების 1977 წლის I დამატებითი ოქმის 11-ე და მ-ე მუხლები, სხვა დებულებებთან ერთად განასაზღვრებენ საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს. ამგვარად, ჟენევის სამართალი, ისევე როგორც ჰააგის სამართალი, ომის კანონებისა და ჩვეულებების იმ ნაწილს შეადგენს, რომელთა დარღვევა, ჩვეულებრივ, „ომის დაშაულად“ იწოდება. ამრიგად, ომის დანაშაული საერთაშორისო სამართალით გათვალისწინებული დასჯადი ქმედებაა, რომელიც არღვევს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნებისმიერი სახის დარღვევა კი არ წარმოადგენს ომის დანაშაულს, არამედ ისეთი, რომლისთვისაც საერთაშორისო სამართალი ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

ჟენევის კონვენციები ეფუძნება პიროვნების და მისი ღირსების პატივისცემის პრინციპებს. იმ პირებს, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, ან მწყობრიდან არიან გამოსული ავადმყოფობის, დაჭრის, ტყვედ ჩაყვარების, ან სხვა რაიმე მიზეზით, სათანადო პატივი უნდა მიეცეთ და დაცული იქნან ომის შედეგებისაგან. განსაცდელში მყოფთ კი უნდა აღმოუჩინონ სათანადო დახმარება და მოვლა-პატრონობა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. გარდა ამისა, მებრძოლ მხარეებს ევალებათ, თავი შეიკავონ სამოქალაქო პირებსა და სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმისაგან. მათ უნდა უზრუნველყონ სამხედრო ოპერაციების ჩატარება საყოველთაოდ აღიარებული წესებისა და ჰუმანიტარული პრინციპების შესაბამისად.

მოდით, განვიხილოთ, თუ როგორ არის ეს წესები ჩამოყალიბებული 1949 წლის ჟენევის კონვენციებსა და 1977 წლის მათ დამატებით ოქმებში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ კონვენციები და I დამატებითი ოქმი, გამოიყენება გამოცხადებული ომის, ან ნებისმიერი სხვა შეიარა-

ღებული კონფლიქტის შემთხვევაში, რომელიც წარმოიშვა ამ კონვენციებისა და დამატებითი ოქმის ხელმოწერით ან მტკ მხარეს შორის იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთ-ერთი ამ მხარეთაგანი, არ ცნობს ომის მდგომარეობას. ეს დოკუმენტები ასევე გამოიყენება ისეთი შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ამა თუ იმ ხალხის ბრძოლას კოლონიური ბატონობისა და უცხოური ოკუპაციის, აგრეთვე რასისტული რეჟიმებისაგან თავის გასათავისუფლებლად. (ჟენევის კონვენციების საერთო მუხლის 2 და I დამატებითი ოქმის მუხლი 1)

საერთაშორისო ხასიათის არმქონე მწვავე შეიარაღებულ კონფლიქტებს, არეგულირებს 1977 წლის II დამატებითი ოქმი და 1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლი, რომელიც ომის მსხვერპლთა დაცვას შეეხება. ამ მუხლის თანახმად, „საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელიც ხდება ერთ-ერთი მალაქი ხელშეშემკრელი მხარის ტერიტორიაზე, კონფლიქტის მონაწილე მხარეები ვალდებული არიან, როგორც მინიმუმ, დაიცვან შემდეგი წესები:

1. პირები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებაში, შეიარაღებული ძალების იმ წარმომადგენელთა ჩათვლით, რომლებმაც იარაღი დაყარეს; ასევე იმათი ჩათვლით, ვინც საომარ მოქმედებას გამოუთიშა ავადმყოფობის, დაჭრის, დაკავების, ან სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო, ნებისმიერ გარემოებაში უნდა სარგებლობდნენ პუშანური მოპყრობით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, რასის, ეθνოს ფერის, რელიგიის ან რწმენის, სქესის, წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობისა თუ სხვა ანალოგიური კრიტერიუმების გამო. ამ მიზნით, აკრძალულია და ყოველთვის და ყველგან აკრძალება შემდეგი ქმედება ზემოხსენებულ პირთა მიმართ:

ა) სიცოცხლის ხელყოფა და ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევა; კერძოდ კი, ყოველგვარი მკვლელობა, დასახინჩრება, სასტიკი მოპყრობა, ნაშევა და ნვალება;

ბ) მძევლად აყვანა;

გ) ადამიანური ღირსების შელახვა; კერძოდ კი, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა;

დ) მსჯავრის დადება და სასჯელის მიყენება წინასწარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, რომელსაც ცივილიზებულ ხალხთა მიერ აღიარებული აუცილებელი სამართლებრივი გარანტიების არსებობის შემთხვევაში, სათანადო წესით დაფუძნებული სასამართლო გამოიტანს...

კონვენციებისა და დამატებითი ოქმის გამოყენება შეწყდება საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ; ხოლო ოკუპირებულ ტერიტორიებზე — ოკუპაციის დასრულების შემდეგ, მაგრამ არა იმ პირთა მიმართ, რომლებიც აღნიშნული ვადების გასვლის შემდეგაც კი რჩებიან კონვენ-

ციებისა და ოქმის შესაბამისი დებულებების დაცვის ქვეშ, მათ საბოლოო გათავისუფლებამდე, რეპარაციამდე ან მონყობამდე (ჟენევის კონვენციები I, მუხლი 1; II, მუხლი 5; IV მუხლი 6; I დამატებითი ოქმი, მუხლი 3). იმ სიტუაციებში, რომელთაც არ ითვალისწინებს ჟენევის ოთხი კონვენცია, I დამატებითი ოქმი თუ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულება, სამოქალაქო პირები, ისევე როგორც საბრძოლო მოქმედებების უშუალო მონაწილეები, ანუ კომბატანტები, საერთაშორისო სამართლის იმ პრინციპების დაცვის ქვეშ რჩებიან, რომლებიც ცივილიზებულ ხალხთა შორის დამკვიდრებული ჩვეულებებიდან გამომდინარეობს.* (ჟენევის კონვენციები I, მუხლი 63; II, მუხლი 62; III, მუხლი 142; IV, მუხლი 18; I დამატებითი ოქმი, მუხლი 1.)

რეპრესალიების დაუშვებლობა

დაუშვებელია რეპრესალიებისა** და კანონდარღვევების გამოყენება მეორე მხარის მიერ კანონის დარღვევის საპასუხოდ დაჭრილთა, ავადმყოფთა და გემის დაღუპვის მსხვერპლთა, სამედიცინო დანესებულებებისა და მათი პერსონალის, სამოქალაქო თავდაცვის დანესებულებებისა და მათი პერსონალის, სამხედრო ტყვეების, სამოქალაქო ქონებისა და კულტურული ფასეულობების, აგრეთვე გარემოსა და იმ ნაგებობების მიმართ, რომელთა ნგრევამ, შესაძლოა, სერიოზული დანაკარგები გამოიწვიოს სამოქალაქო მოსახლეობაში და მნიშვნელოვნად დააზიანოს გარემო (ჟენევის კონვენციები I, მუხლი 46; II მუხლი 47; III მუხლი 13; IV მუხლი 33; I დამატებითი ოქმი, მუხლი 20, 51-56).

*იხილეთ „მარტენის დათქმა“, რომელიც უკავშირდება 1899 წელს ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე რუსი პროდუსორის ფიოდორ მარტენის მიერ „ხმელეთზე ომის წარმოების კანონებისა და ჩვეულებების შესახებ კონვენციის“ კრებულში შესატანად შეთავაზებულ დებულებას. დათქმა ვრცელდება ყველა იმ სიტუაციაზე, რომელიც არ არის მოწესრიგებული საერთაშორისო სამართლით.

** რეპრესალიები — თავისი უფლებების აღსადგენად დაზარალებული სახელმწიფოს მიერ ზიანის მიმყენებელი სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული მართლზომიერი იძულების ცალმხრივი აქტი, ძალის ან ძალით მუქარის გამოყენებლად. რეპრესალიების სახით განხორციელებული კონტრაზომების ინტენსივობა მათი გამოწვევი სამართალდარღვევის პროპორციული უნდა იყოს. რეპრესალიების განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმების მოქმედების შეჩერება, დარღვეული ხელშეკრულების შეჩერება ან შეწყვეტა. ამგვარი ზომების გამოყენება არ შეეხება იმპერატიული ხასიათის ნორმებსა და საერთაშორისო პუბლიკარული სამართლის ნორმებს. საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის მეხამოცე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების შეჩერება ან შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ არსებითი ხასიათის სამართალდარღვევების შემთხვევაში.

უშუაგათა განუსხვისება

იმდენად, რამდენადაც ჟენევის კონვენციების მიზანი ომის მსხვერპლთა დაცვის უზრუნველყოფაა, აუცილებელია, შეძლებისდაგვარად გამოირიცხოს ყოველგვარი ზენოლა კონვენციების მფარველობის ქვეშ მყოფ პირებზე, რაც მიზნად ისახავს მათ მიერ საკუთარი უფლებების უარყოფას. სწორედ ამიტომ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებენ ზემოაღნიშნული პირები სრულად, ან ნაწილობრივ თქვან უარი კონვენციებითა და I დამატებითი ოქმით მათთვის მინიჭებულ უფლებებზე. განუსხვისებადობის პრინციპი მოქმედებს ყოველი იმ უფლების მიმართ, რომელიც ომის მსხვერპლთა დაცვას უზრუნველყოფს (ჟენევის კონვენციები I მუხლი 7; II მუხლი 7; III მუხლი 7; IV მუხლი 8; I დამატებითი ოქმი, მუხლი 1.)

როგორც არაერთხელ აღინიშნა, საერთაშორისო სისხლის სამართალი ჟენევის კონვენციებისა და მათი დამატებითი ოქმების სერიოზულ დარღვევას ომის დანაშაულად მიიჩნევს. კონკრეტულად კი, ჟენევის კონვენციების დებულებით დაცული პირებისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ შემდეგ ქმედებებს:

1. განზრახ მკვლელობა;
2. წაშება ან არაადამიანური მოპყრობა, ბიოლოგიური ცდების ჩატარების ჩათვლით;
3. მძიმე ტანჯვის განზრახ მიყენება; სხეულის, ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება;
4. ქონების ფართომასშტაბიანი უკანონო და უშიშეო განადგურება ან მითვისება, როცა ეს სამხედრო აუცილებლობით არ არის განპირობებული;
5. სამხედრო ტყვის ან სხვა დაცული პირის იძულება — იმსახუროს მტრული სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში;
6. სამხედრო ტყვისათვის ან სხვა დაცული პირისათვის ნორმალური და სამართლიანი სამართალწარმოების უფლების განზრახ ჩამორთმევა;
7. უკანონო დეპორტაცია ან გადაადგილება, უკანონო დატუსაღება;
8. მძევლების აყვანა;
9. სამოქალაქო მოსახლეობაზე ან ცალკეულ სამოქალაქო პირებზე განზრახ თავდასხმა, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ სამხედრო მოქმედებებში;
10. სამოქალაქო ობიექტებზე, ანუ არასამხედრო სამიზნეებზე განზრახ თავდასხმა;
11. პუბლიკატული დახმარების ან სამშვიდობო მისიების პერსონალზე, ნაგებობებზე, მასალებზე, ერთეულებზე და სატრანსპორტო საშუალებებზე განზრახ თავდასხმა, სანამ ისინი სამოქალაქო პირებისა და სამოქალაქო

- ობიექტებისათვის შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლით მინიჭებული დაცვის უფლებით სარგებლობენ;
12. შეტყევის განზრახ ნამოწყება იმ შეგნებით, რომ იგი ადამიანთა შემთხვევით დაღუპვას ან სამოქალაქო პირების დაშავებას, ან ობიექტების დაზიანებას გამოიწვევს. ასევე გამოიწვევს გარემოს ისეთ ფართომასშტაბიან, ხანგრძლივ და მნიშვნელოვან დაზიანებას, რომელიც ამკარად აღემატება სრული სამხედრო უპირატესობის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებს;
 13. დაუცველ და არასამხედრო სამიზნე ქალაქებზე, სოფლებზე, საცხოვრებლებსა და შენობებზე ნებისმიერი საშუალებებით თავდასხმა, ან მათი დაბომბვა;
 14. იმ მებრძოლის მოკვლა ან დაჭრა, რომელიც განიარაღდა, ან აღარ გააჩნია დაცვის საშუალება და უპირობოდ დანებდა;
 15. პარლამენტორის დროშის, მტრის ან გაეროს დროშის, სამხედრო ნიშნების, უნიფორმის, ნითელი ჯვრისა და ნითელი ნახევარმთვარის ემბლემის ბოროტად გამოყენება;
 16. დამპყრობელი სახელმწიფოს მიერ საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილების ოკუპირებულ ტერიტორიაზე პირდაპირი თუ ირრბი გადაყვანა, ან ოკუპირებული ტერიტორიის მთელი მოსახლეობის, ან მოსახლეობის ნაწილის დეპორტაცია ან გადაადგილება ამ ტერიტორიის ფარგლებშივე, ან მის ფარგლებს გარეთ;
 17. რელიგიური, საგანმანათლებლო, ხელოვნების, სამეცნიერო თუ საქველმოქმედო მიზნებისათვის განკუთვნილ შენობებზე, ასევე, ისტორიულ ძეგლებზე, პოსპიტალებზე, ავადმყოფებისა და დაჭრილების განთავსების ადგილებზე თავდასხმების განზრახ განხორციელება, თუკი ისინი სამხედრო სამიზნეებს არ წარმოადგენენ. (ჟენევის კონვენციები I მუხლი 50; II მუხლი 51; III მუხლი 130; IV მუხლი 147; I დამატებითი ოქმი, მუხლი 11, 85)

სამხედრო მეთაურები ვალდებული არიან, ყველაფერი ილწონ იმისათვის, რომ არ დაუშვან და აღკვეთონ ჟენევის კონვენციებისა და ოქმის დებულებათა დარღვევა.

ჟენევის კონვენციების და მათი დამატებითი ოქმების წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, შეიმუშაონ ისეთი კანონმდებლობა, რომელიც აუცილებელია იმ პირთა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად, რომლებმაც საგარეოდ ჩადინეს ჟენევის სამართლის დებულებათა სერიოზული დარღვევა, ან ასეთი დარღვევის ჩადენის ბრძანება გასცეს. კონვენციებისა და ოქმების ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია, აღკვეთოს ნებისმიერი ის ქმედება, რომელიც კონვენციებს ეწინააღმდეგება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი არ წარმო-

ადგენენ კონვენციების დებულებათა სერიოზულ დარღვევას. (ჟენევის კონვენციები I მუხლი 49; II მუხლი 50; III მუხლი 129; IV მუხლი 146)

ჟენევის მეორე კონვენცია თითქმის პირველის მსგავსია. ძირითადი სხვაობა მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ II კონვენცია იმ დაჭრილ, ავადმყოფ და ზომაღდის დაღუპვის შედეგად დაზარალებულ პირებს შეეხება, რომლებიც სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში შედიან. ზოლო კონვენცია შეეხება დაჭრილთა და ავადმყოფთა პირობების გაუმჯობესებას სახმელეთო ჯარების რიგებიდან. ყველა სხვა შემთხვევაში, ამ ორი კონვენციის ძირითადი პრინციპები იდენტურია (კონვენცია I მუხლი 13; კონვენცია II მუხლი 13).

კონვენციების I დამატებითი ოქმის თანახმად, დაცვის უფლება ვრცელდება ყველა დაჭრილ, ავადმყოფ და ზომაღდის დაღუპვის შედეგად დაზარალებულ პირზე, მისი სამოქალაქო თუ სამხედრო სტატუსის მიუხედავად (I დამატებითი ოქმი, მუხლი 8, 34).

რაც შეეხება ტერმინოლოგიას, უნდა ითქვას, რომ „დაჭრილები“ და „ავადმყოფები“ ეწოდებათ იმ პირებს, რომლებსაც სამედიცინო დახმარება ან მოვლა ესაჭიროებათ და რომლებიც თავს იკავებენ ნებისმიერი მტრული მოქმედებისაგან. ზოლო ტერმინი – „ზომაღდის დაღუპვის შედეგად დაზარალებული პირები“ – მოიცავს იმ კატეგორიის პირებს, რომლებსაც ზღვაზე ან სხვა წყლებში საფრთხე ემუქრებათ თავს დატყევილი უბედურების შედეგად და რომლებიც ასევე იკავებენ თავს რაიმე მტრული მოქმედებისაგან (I დამატებითი ოქმი, მუხლი 8).

ყველა დაჭრილი, ავადმყოფი და ზომაღდის კატასტროფის შედეგად დაზარალებული პირი, განურჩევლად სარგებლობს პატივისცემისა და დაცვის უფლებით (I დამატებითი ოქმი, მუხლი 10).

ნებისმიერ დროს, განსაკუთრებით კი ბრძოლის დასრულების შემდეგ, კონფლიქტში ჩაბმულმა მხარეებმა ყველაფერი უნდა ილწონ დაჭრილთა, ავადმყოფთა და დაღუპული ზომაღდის მსხვერპლთა მოსაძებნად და ბრძოლის ველიდან გასაყვანად, მათი სათანადო მოვლის მიზნით. ასევე, იმ მიზნით, რომ არ დაუშვან მათი გაძარცვა ან მათ მიმართ ცუდად მოპყრობა (ჟენევის კონვენციები I მუხლი 15; II მუხლი 18; IV მუხლი 16).

რაც შეეხება დაღუპულებს, მათი დაკრძალვა, კრემაცია ან ზღვისათვის მიბარება, შეძლებისდაგვარად ინდივიდუალურად უნდა მოხდეს. (ჟენევის კონვენციები I მუხლი 17; II მუხლი 20). ზოლო აქტიური სამხედრო მოქმედებების დასრულებისთანავე კონფლიქტში ჩაბმული თითოეული მხარე ვალდებულია, აწარმოოს მონიაალმდეგე მხარის მიერ უგზო-უკულოდ დაკარგულად გამოცხადებულ პირთა ძებნა (I დამატებითი ოქმი, მუხლი 33).

აღსანიშნავია, რომ კომპატანტების ქცევისა და სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის ნესები ძირითადად გათვალისწინებულია 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის III კონვენციაში და I დამატებითი ოქმის შესამე თავში. მოდიოთ, თავდაპირველად შევეხოთ სამხედრო ტყვეთა სტატუსს.

სამხედრო ტყვეთა სტატუსს განსაზღვრავს ჟენევის III კონვენციის მე-4 და I დამატებითი ოქმის 43-ე, 44-ე მუხლები. ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი კომბატანტია, (ე.ი. მას უფლება აქვს უშუალო მონაწილეობა მიიღოს საბრძოლო მოქმედებებში), ხოლო მონაწილედგის მიერ შეპყრობილი ნებისმიერი კომბატანტი სამხედრო ტყვეა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე გარემოება.

იმისათვის, რომ ესა თუ ის პირი ცნობილი იქნეს კომბატანტად, ტყვედ ჩაევადნის შემთხვევაში კი შესაბამისად მიენიჭოს სამხედრო ტყვის სტატუსი, აუცილებელია, კონფლიქტის მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალები, რომლის შემადგენლობაშიც იგი შედის, იყოს ორგანიზებული და იმ პირის მეთაურობას ექვემდებარებოდეს, რომელიც პასუხს აგებს მისი ხელქვეითების ქმედებებზე. ჩავარდა ამისა, ასეთი შეიარაღებული ძალები, უნდა ემორჩილებოდნენ შინაგან დისციპლინირებულ სისტემას, რომელიც *inter alia* უზრუნველყოფს შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის ნორმათა დაცვას. კომბატანტები ვალდებული არიან, განსხვავდებოდნენ სამოქალაქო პირებისაგან უნიფორმითა თუ სხვა ნიშნებით თავდასხმისას ან თავდასხმის ოპერაციის მზადებისას, რაც შეეხება იარაღის ტარებას, კომბატანტებმა დაუფარავად უნდა ატარონ იარაღი, როგორც ყოველი სამხედრო შეტაკებისას, ისე ამგვარი შეტაკებისათვის მზადების დროს.

გარდა კომბატანტებისა, ტყვედ ჩაევადნის შემთხვევაში, სამხედრო ტყვის სტატუსით სარგებლობის უფლება აქვთ იმ კატეგორიის პირებს, რომლებიც არ წარმოადგენენ კომბატანტებს ამ სიტყვის მნიშვნელობის ვიწრო გაგებით. ასეთები არიან:

- პირები, რომლებიც მონაწილეობენ სპონტანურ მასობრივ გამოსვლებში, რაც დაკავშირებულია მონაწილედგის მოახლოებასთან. ამ პირებმა დაუფარავად უნდა ატარონ იარაღი და პატივი სცენ ომის წესჩვეულებებს;
- პირები, რომლებიც უშუალოდ არ არიან შეიარაღებული ძალების წევრები, მაგრამ უფლება აქვთ, მიჰყვნენ ამ ძალებს;
- სავაჭრო ფლოტის ხომალდებისა და სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟის წევრები;
- პირები, რომლებიც სამოქალაქო თავდაცვითი ორგანიზაციის წევრები არიან და იმავდროულად, შეიარაღებული ძალების რიგებს განეკუთვნებიან.

ჯამშეშება და დაქირავებულებს სამხედრო ტყვის სტატუსი არ მიენიჭებათ (I დამატებითი ოქმი, მუხლი 46, 47);

დაუშვებელია 15 წლამდე ბავშვების სამხედრო სამსახურში განწევვა (I დამატებითი ოქმი, მუხლი 77).

კომბატანტების ძეგლის მარცხულირებალი ნორმები

როგორც უკვე აღინიშნა, ზუსტად არის რეგლამენტირებული დაპირისპირებულ მხარეთა მიერ ბრძოლის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება. მაგალითად, აკრძალულია ისეთი იარაღის, ტყვეების, საბრძოლო მასალისა და მეთოდების გამოყენება, რომელთაც გადაჭარბებული ან გაუმართლებელი ზიანი მოსდევს, განსაკუთრებით კი ისეთებისა, რომელთა მიზანსაც ბუნებრივი გარემოს მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი დაზიანების გამოწვევა წარმოადგენს. ასევე აკრძალულია სამოქალაქო მოსახლეობის ე.წ. „ცოცხალ ფარად“ გამოყენება. დაუშვებელია მონაწილედგის ვერაგულად მოკლა, დაჭრა, ან დატყვევება, აგრეთვე, საყოველთაოდ აღიარებული ემბლემებისა თუ მონაწილედგის ეროვნული სიმბოლოების განზრახ ბოროტად გამოყენება (I დამატებითი ოქმი, მუხლი 35, 37, 38, 39, 51).

აკრძალულია იმის განცხადება, რომ შეწყალება არ იქნება. მწყობრიდან გამოსული მონაწილედგე (*hors de combat*), ტყვედ დანებებული, ან ამის მოსურნე პირი, აგრეთვე ის პირი, რომელმაც თვითმფრინავის კატასტროფისას, იგი პარაშუტით დატოვა, თავდასხმის ობიექტი არ უნდა გახდეს (I დამატებითი ოქმი, მუხლი 40, 41, 42).

სამხედრო ტყვეთა დაცვა

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სამხედრო ტყვეები სრულად ინარჩუნებენ თავიანთ სამოქალაქო უფლებასთანადაც. რაც შეეხება მათ მოვალეობებს, ისინი გამომდინარეობენ ომის კანონებისა და სამხედრო დისციპლინის ნორმებიდან (ჟენევის III კონვენცია, მუხლი 14).

დაუშვებელია ტყვეთაგან ინფორმაციის მიღების მიზნით მათი ფიზიკური თუ მორალური წამება, ან მათზე იძულების რაიმე სხვა ფორმის გამოყენება. თუმცა დაკითხვისას ყოველი სამხედრო ტყვე ვალდებულია, განაცხადოს თავისი სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი და სამხედრო ნოდება (ჟენევის III კონვენცია, მუხლი 17).

ტყვეთა ცხოვრებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე პასუხისმგებელია ის მხარე, რომლის ტყვეობაშიც ისინი იმყოფებიან. ქალები და ბავშვები თხუთმეტ წლამდე განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ. ისინი დაცულნი არიან ყოველგვარი უხამსი ან შეურაცხმყოფელი მოპყრობისაგან (I დამატებითი ოქმი, მუხლი 76, 77).

სამხედრო ტყვეთა განთავსების, კვების, სამოსელის, ჰიგიენისა და სამედიცინო დახმარების პირობები დაწვრილებით არის განზილული ჟენევის III კონვენციის 25-31-ე მუხლებში.

სამხედრო ტყვეები სრული რელიგიური თავისუფლებით სარგებლობენ (ჟენევის III კონვენცია, მუხლი 34, 35).

სამხედრო ტყვეთა ბანაკი ამ ბანაკზე უშუალოდ პასუხისმგებელ ოფიცერს ემორჩილება. ოფიცერი და ბანაკის პერსონალი კარგად უნდა იცნობდნენ ჯენევის III კონვენციის დებულებებს და პასუხს უნდა აგებდნენ მათ შესრულებაზე.

სამხედრო ტყვეებს უფლება აქვთ, ატარონ წარწინების ნიშნები. ტყვეთა გაქცევის შემთხვევაში, მათ წინააღმდეგ იარაღის გამოყენება მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, გამაფრთხილებელი ზომების ამონურვისას არის დასაშვები. დისციპლინის ეს და სხვა საკითხები კონვენციის 39-42-ე მუხლებშია განხილული, ხოლო მათი შრომის პირობებს კონვენციის 47-49-ე მუხლები ითვალისწინებს.

სამოქალაქო პირებისა და სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა პერიარაღებული კონფლიქტების დროს

შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა, სამოქალაქო მოსახლეობისა და ქონების დაცვის მიზნით, ყოველთვის უნდა განასხვავონ ერთმანეთისგან სამოქალაქო პირები და კომბატანტები. მათ ასევე უნდა განასხვავონ სამოქალაქო და სამხედრო ობიექტები. სამხედრო ოპერაციები მიმართული უნდა იყოს მხოლოდ სამხედრო სამიზნეების წინააღმდეგ. ეს არის ის ძირითადი პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა ჯენევის IV კონვენცია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ. (ე.წ. ჯენევის სამოქალაქო კონვენცია) და I დამატებითი ოქმის მეოთხე თავი, რომელიც სწორედ სამოქალაქო პირთა დაცვას ითვალისწინებს.

ნებისმიერი პირი, რომელიც არ მიეკუთვნება შეიარაღებულ ძალებს, სამოქალაქო პირად ითვლება. სამოქალაქო პირთა ქრთმობიობა კი სამოქალაქო მოსახლეობას შეადგენს.

სამოქალაქო ყველა ის ობიექტი, რომელიც არ არის სამხედრო. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ობიექტები, რომლებიც თავიანთი დანიშნულების, ადგილმდებარეობის, ან გამოყენების მიხედვით სამხედრო მნიშვნელობის მქონე არ არიან და რომელთა სრული თუ ნაწილობრივი განადგურება, ხელში ჩაგდება ან ნეიტრალიზება, არსებულ ვითარებაში, სამხედრო უპირატესობის მომტანი არ არის. ამრიგად, ნებისმიერი მოწყობილობა, სტრატეგიული დანიშნულების საკომუნიკაციო საშუალება, არმიისათვის განკუთვნილი სასურსათო ტრანსპორტი, კომბატანტების მიერ დაკავებული სამოქალაქო შენობა-ნაგებობა, სამხედრო ობიექტს წარმოადგენს (I დამატებითი ოქმი, მუხლი 50, 51).

სამოქალაქო პირებზე და ობიექტებზე თავდასხმის აკრძალვა მოიცავს ძალადობის ნებისმიერი გამოვლინების აკრძალვას, თავდაცვის პირობებშიც კი. აკრძალულია თავდასხმა ან ძალადობრივი მუქარა, რომლის მიზანსაც სამოქალაქო მოსახლეობის ტერორიზება წარმოადგენს. დაუმტკიცებელია, ე.წ. „განურჩეველი თავდასხმა“, როდესაც ბრძოლის წარმართვის მეთოდები და საშუალებები არ არის, ან არ შეიძლება იყოს მიმართული სამხედრო

ობიექტის წინააღმდეგ. „განურჩეველ თავდასხმაში“ იგულისხმება აგრეთვე სამოქალაქო მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში განლაგებული ცალკეული სამხედრო ობიექტების ერთ ობიექტად მიჩნევა. სამოქალაქო მოსახლეობის გადაადგილება, არ უნდა იქნეს გამოყენებული სამხედრო ობიექტებზე თავდასხმისაგან დასაცავად, ან სამხედრო მოქმედების შესანიშნავად, ასევე სამხედრო მოქმედების დასაბამარებლად თუ დასაბრკოლებლად (I დამატებითი ოქმი, მუხლი 49, 51, 52).

ჯენევის სამოქალაქო კონვენციის მე-17 მუხლი, დაპირისპირებულ მხარეთა შორის ისეთი შეთანხმებების მიღწევის შესაძლებლობას ითვალისწინებს, რომლებიც გამიზნულია ალყაშემორტყმული ზონებიდან დაჭრილთა და ავადმყოფთა, ინვალიდთა, მოხუცებულთა, ბავშვთა და ორსულთა გამოსაყვანად, აგრეთვე, ასეთ ზონებში სანიტარული პერსონალისა და სასულიერო პირთა შესაშვებად.

აკრძალულია სამოქალაქო მოსახლეობაში განგებ მიმშოლის გამოწვევა, რაც გამოიხატება მოსახლეობის გადარჩენისათვის აუცილებელი საშუალებების განადგურებაში (I დამატებითი ოქმი, მუხლი 54).

კულტურული ფასეულობანი, რომელთაც ასევე იცავს შეიარაღებული კონფლიქტებისას კულტურული ფასეულობების დაცვის, ჰააგის 1954 წლის 14 მაისის კონვენცია, განსაკუთრებულ დაცვას ექვემდებარება (I დამატებითი ოქმი, მუხლი 53).

ჯენევის IV კონვენცია და I დამატებითი ოქმი ითვალისწინებს ისეთი განსაკუთრებული ზონების შექმნის შესაძლებლობას, როგორებიცაა სანიტარული, უსაფრთხო, ნეიტრალური, დაუცველი და დემილიტარიზებული ზონები. (დანერჩეული იხილეთ კონვენციის 14, 15 და დამატებითი ოქმის 59, 60 მუხლები). რაც შეეხება სიფრთხილის ღონისძიებათა და სამოქალაქო თავდაცვის საკითხებს, ისინი გათვალისწინებულია I დამატებითი ოქმის 57, 58, 61-67 მუხლებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმ დებულებათა კვინტესენციას, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტებისას გამოიყენება:

1. მწყობრიდან გამოსულ პირებსა (hors de combat) და მათ, ვინც უშუალოდ არ მონაწილეობს სამხედრო მოქმედებებში, აქვთ სიცოცხლისადმი პატივისცემისა და ფიზიკური თუ მორალური ხელშეუხებლობის უფლება. ნებისმიერ ვითარებაში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მათ უფლება აქვთ, იყონ დაცულნი და მოეპყრან ჰუმანურად.
2. აკრძალულია იმ პირის მოკვლა ან დასახიჩრება, რომელიც ტყვედ ბარდება, ან მწყობრიდან არის გამოსული (hors de combat).
3. დაჭრილები და ავადმყოფები სათანადო მოვლით უნდა უზრუნველყოს კონფლიქტის იმ მხარემ, რომლის განკარგულებაშიც ისინი იმყოფებიან. დაცვას ექვემდებარება სამედიცინო პერსონალი, დანესებულილები, სატრანსპორტო საშუალებები და მოწყობილობა. პატივი

- უნდა ეცეს წითელი ჯვრის ემბლემას.
4. დატყვევებულ მებრძოლებსა და მონაწილე მებრძოლებს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მყოფ სამოქალაქო პირებს აქვთ სიცოცხლის, პირადი უფლებებისა და მონაწილად მიტოვების უფლება. ისინი დაცული უნდა იქნან ძალადობისა და რეპრესიებისაგან. მათ უფლება აქვთ, მიიღონ დახმარება, მიმონერა იქონიონ ოჯახის წევრებთან.
 5. თითოეულს აქვს ძირითადი სამართლებრივი გარანტიებით სარგებლობის უფლება. არაეინ უნდა ანაზონ ან დასაჯონ. ასევე დაუშვებელია სასტიკი ან დამამცირებელი მოპყრობა.
 6. შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარეები და მათი შეიარაღებული ძალები, შეზღუდულნი არიან ბრძოლის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებაში. დაუშვებელია ისეთი იარაღისა და ბრძოლის მეთოდების გამოყენება, რომლებსაც თავიანთი ზასიათიდან გამოშინარი, შეუძლიათ არასაჭიროებისამებრ გამოიწვიონ შეპირობებული დანაკარგი ან გადაჭარბებული ტანჯვა.
 7. კონფლიქტის მონაწილე მხარეები ყოველთვის უნდა ეცადონ, სამოქალაქო პირები განასხვავონ მებრძოლებისაგან და შეძლებისდაგვარად გაუფრთხილდნენ სამოქალაქო მოსახლეობასა თუ ქონებას. სამოქალაქო მოსახლეობა და ცალკეული პირები არ უნდა წარმოადგენდნენ თავდასხმის ობიექტებს. თავდასხმა დასაშვებია მხოლოდ სამხედრო სამიზნეობაზე.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვა ყოველთვის უფრო სუსტი იყო, ვიდრე საერთაშორისო კონფლიქტების მსხვერპლისა. XX საუკუნის 90-იან წლებამდე, საერთაშორისო სისხლის სამართლის მკვლევარები და თვით საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტიც კი, მიიჩნევდნენ, რომ არასაერთაშორისო კონფლიქტების მარეგულირებელი პუბლიცარული სამართლის ნორმების დარღვევა არ იწვევდა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.* დღესდღეობით არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტები უფრო ხშირია, ვიდრე საერთაშორისო; და აბსურდულია, ამგვარ ომებში ჩადენილი გაუპატიურება, სამოქალაქო პირთა მკვლელობა, ან, ვთქვათ, ქიმიური იარაღის გამოყენება არ მივიჩნიოთ საერთაშორისო სამართალდაღვევად.** ამგვარად, ომის დანაშაულის ცნება თანაბრად გრცელდება როგორც საერთაშორისო, ასევე საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებულ კონფლიქტებზე.

*იხ. D. Plattner, The Penal repression of Violations of International Humanitarian Law Applicable in Non-International Armed Conflicts. International review of the Red Cross 409 (1990) p. 414

**იხ. C. F. ICTX, Prosecutor v. Tadić, Appeals Chamber, case no. IT-94-I-AR72 (1995) p. 64

ტერორიზმი

ტერმინს - „ტერორიზმი“ - ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვებით. იგი სხვადასხვა კონტექსტში იხმარება. ხშირად გვეხმის ისეთი გამოთქვები, როგორცაა მაგალითად, „დატერორება“, „პოლიტიკური ტერორიზმი“, „ტერორის განცდა“ და სხვა. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სამართალი ვერ იძლევა „ტერორიზმის“ ცალკეულ ტერმინოლოგიურ განმარტებას. შეიძლება ითქვას, რომ ტერორიზმი, როგორც თანამედროვე ფენომენი, სათავეს შუა საუკუნეებიდან იღებს. 900 წლის წინათ, სპარსელ ასასინებს მიაჩნდათ, რომ სიკვდილისათვის მზად მყოფ ადამიანთა მცირერიცხოვან ჯგუფს, შეეძლო მასზე გაცილებით დიდი და ძლიერი მონაწილედგის დამარცხება. მტერზე თავდასხმის ამგვარი უნარი შესაძლებლობას იძლევა მუდმივი შიშის ქვეშ ამყოფო მონაწილედგე. XIX საუკუნეში რუსი ანარქისტები, მათ მიერ განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმებს „ქცევით პროპაგანდას“ უწოდებდნენ. მათი ქმედებები გათვლილი იყო ფართო საზოგადოებაზე ზემოქმედებისათვის და არა მხოლოდ ტერორისტული აქტების უშუალო მსხვერპლთა წინააღმდეგ.

იმ სინამდვილიდან გამომდინარე, რომელშიც დღესდღეობით გვინევს ცხოვრება, შეუძლებელია ტერორიზმის, როგორც ბრძოლის ერთგვარი დანაშაულებრივი საშუალების მთლიანად აღმოფხვრა.

ტერორიზმის კოდინაცირება XX საუკუნეში, პირველად ერთა ლიგამ სცადა, რომელმაც 1937 წელს შეიმუშავა კონვენცია ტერორიზმის პრევენციისა და დასჯის შესახებ. სწორედ ეს კონვენცია ითვალისწინებდა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ჩამოყალიბებას. ამ კონვენციის ამოქმედებისათვის საჭირო იყო მისი რატიფიცირება სამი სახელმწიფოს მიერ. რადგან კონვენციას მხოლოდ ინდოეთი შეუერთდა, მისი ძალაში შესვლა ვერ მოხერხდა. ამ კონვენციის 1.2 მუხლი ტერორიზმს განმარტავდა, როგორც „სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს, ან გათვლილია იმაზე, რომ ცალკეულ პირებს, პირთა ჯგუფებს ან თავად მოსახლეობას, ჩაუსახოს ტერორის შიშის განცდა“. ტერორიზმის ამგვარი განმარტება უარყოფილ იქნა სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ.

ტერორიზმის რეგულირების პროცესი საერთაშორისო სამართალში 60-70-იან წლებში გახშირებული ტერორისტული აქტების პარალელურად მიმდინარეობდა. ეს აქტები ძირითადად სამოქალაქო ავიაციაზე თავდასხმებითა და თვითმფრინავების გატაცებებით გამოიზატა. უნდა ითქვას, რომ ამ ტერორისტულმა აქტებმა, სამი საერთაშორისო ხელშეკრულების მიღება გამოიწვია. ეს ხელშეკრულებებია:

* მას, ვინც იცის, როგორ მოკვდეს, სიკვდილის არ ეშინია.

- 1963 წლის ტოკიოს კონვენცია თვითმფრინავის ბორტზე ჩადენილი დანაშაულისა და ზოგიერთი სხვა ქმედების შესახებ;
- 1970 წლის ჰააგის კონვენცია თვითმფრინავის უკანონო გატაცების აღკვეთის შესახებ;
- 1971 წლის მონრეალის კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის შესახებ.

ჰააგის კონვენციის მიზანია, „ფრენისას“ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების თავიდან აცილება და დასჯა. „ფრენისას“ არ იგულისხმება თვითმფრინავის მხოლოდ ჰაერში ყოფნა. იგი იწყება კარის დახურვისა და ჩატივრთვის დამთავრების მომენტიდან, ზოლო მთავრდება საჰაერო ზომადის ნებისმიერი კარის გახსნით. ამ პერიოდში, თვითმფრინავში მყოფი ნებისმიერი პირი, რომელიც უკანონოდ, ძალის გამოყენებით, ან ძალის გამოყენების მუქარითა თუ დაშინების სხვა ფორმის მეშვეობით, ხელთ იგდებს საჰაერო ზომადის, ან მასზე კონტროლს, კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენ პირად ჩაითვლება. დამნაშავედ ჩაითვლება აგრეთვე ის პირი, რომელიც ეცდებოდა, ჩაიდინოს ერთ-ერთი ზემოხსენებული ქმედება, ან სხვებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს ამგვარი ქმედებების განხორციელებაში.

სახელმწიფოები თავიანთ იურისდიქციას ავრცელებენ ამგვარ დანაშაულზე იმ შემთხვევაში თუ იგი განხორციელდა ამ სახელმწიფოში რეგისტრირებულ საჰაერო ზომადზე, ან, თუ საჰაერო ზომადი დაეშვა ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, დამნაშავე პირთან ერთად; ან, თუ დანაშაული ჩადენილია საჰაერო ზომადზე, რომელიც ეკიპაჟის გარეშე გადაეცა ისეთი მეიჯარეს, რომლის საქმიანობის ძირითადი ადგილი მოცემულ სახელმწიფოშია; ან, თუ ამგვარი რამ არ არსებობს, არენდატორის მუდმივი ადგილსამყოფელი ამ სახელმწიფოშია. კონვენციის ნეერმა სახელმწიფოებმა, ყველაფერი უნდა ილაონონ მათ ტერიტორიაზე მყოფი დამნაშავეს შესაპყრობად და გასასამართლებლად, თუ იგი არ მოახდენს მის ექსტრადიციას.

მონრეალის კონვენცია, ითვალისწინებს დასჯას ისეთი მართლსაწინააღმდეგო და განზრახ ქმედებისათვის, როგორიცაა:

- საჰაერო ზომადში ისეთი მოწყობილობის ან ნივთიერების შეტანა, რომელსაც შეუძლია მისი განადგურება ან დაზიანება გამოიწვიოს;
- აერონავიგაციური მოწყობილობების განადგურება ან დაზიანება, ან მათ ექსპლუატაციაში ჩარევა, თუ ასეთი ქმედება ემუქრება საჰაერო ზომადის უსაფრთხოებას ფრენის დროს;
- ყალბი ცნობების მიწოდება, რითაც საფრთხე ექმნება ჰაერში მყოფ ზომადს.

დანაშაულად ითვლება ზემოხსენებული დანაშაულის ჩადენის მცდელობა, ან ამგვარ დანაშაულში თანამონაწილეობა. მონრეალის კონვენცია ითვალისწინებს დამნაშავეს შეპყრობის, დასჯის ან გადაცემის ისეთივე წესებს, როგორსაც ჰააგის კონვენცია.

ტერორიზმის ცალკეული დეფინიციის უქონლობამ მსოფლიო თანამეგობრობა აიძულა, თითოეული დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც „ტერორისტულ აქტად“ ითვლება, თემატურად განეხილა. სწორედ ამგვარი თემატური მიდგომა გამოიყენება ტერორიზმის საწინააღმდეგო სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების დადებისას. ერთადერთი ანტი-ტერორისტული კონვენცია, რომელიც წმინდად თემატურად არ მიუღდა ტერორიზმის პრობლემას, გახლავთ 1976 წლის ევროპის კონვენცია ტერორიზმის აღკვეთის შესახებ. მართალია, ეს კონვენციაც ვერ გვთავაზობს ცალკეულ განსაზღვრებას ტერორიზმის შესახებ, მაგრამ იგი მოიცავს აქამდე არსებულ ყველა ანტიტერორისტულ კონვენციასა და მათ მიერ გათვალისწინებულ ქმედებებს. გარდა ამისა, ევროპული კონვენცია ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, რათა აქ ჩამოთვლილი ქმედებები არ მიიჩნიონ პოლიტიკურ დანაშაულად. ქმედებების დეპოლიტიზაცია ექსტრადიციის ერთ-ერთი მთავარი პირობაა, ვინაიდან ამ კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, სახელმწიფოს შეუძლია, არ გადასცეს ბრალდებული პირი მეორე სახელმწიფოს, თუ იგი ვარაუდობს, რომ ამ პირის მიმართ განხორციელებულ სისხლის სამართლებრივ დევნას, შეიძლება საფუძვლად ედოს მისი პოლიტიკური მრწამსი. ამგვარი დებულებების მიზანია, თავშესაფრის კონცეფციის დაცვა გახლავთ.

უკანასკნელი ოცდაათი წელიწადია, რაც ამერიკელები ტერორიზმს განიხილავენ, როგორც „არასამხედრო სამიზნეების წინააღმდეგ, სუბნაციონალური ჯგუფების ან სახელმწიფოს ფარული აგენტების მიერ ჩადენილ, წინასწარ განზრახულ, პოლიტიკურად მოტივირებულ ძალადობრივ ქმედებას, რომელიც საზოგადოებაზე ზემოქმედებისათვისაა გაშიზნული“. „საერთაშორისო ტერორიზმი“ კი, ტერორიზმში ორი ან მეტი სახელმწიფოს მოქალაქის ან ტერიტორიის ჩაბმას გულისხმობს.

ტერორიზმის ზოგადი ცნების სანაცვლოდ, მსოფლიო თანამეგობრობამ უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში მთელი რიგი ხელშეკრულებები

- ძალადობის გამოყენება საჰაერო ზომადზე მყოფი პირის მიმართ, თუ ასეთი ქმედება ემუქრება ფრენის პროცესში მყოფი ზომადის უსაფრთხოებას;
- ექსპლუატაციაში მყოფი საჰაერო ზომადის განადგურება, ან მისთვის ისეთი ზიანის მიყენება, რომელსაც იგი მწყობრიდან გამოჰყავს, ან საფრთხეს უქმნის მას ფრენის დროს;

*იხილეთ აგრეთვე 1998 Terrorist Bombings Convention, Art 12; 2000 Terrorist Finance Convention, Art15.

შეიმუშავა, რომლებიც საერთაშორისო ხასიათის ცალკეულ დანაშაულებრივ ქმედებებს, მათი მოტივაციისა და მნიშვნელობის მიუხედავად, „ტერორისტულ აქტებად“ მიიჩნევენ. საერთაშორისო ანტიტერორისტული შეთანხმებები ნევრ სახელმწიფოებს ავალდებულებულებს ცალკეული ქმედებების კრიმინალიზაციას, დამანაშავეთა სისხლისსამართლებრივ დევნას ან ექსტრადიციას და ამ ქმედებების აღკვეთის მიზნით, ერთმანეთთან მჭიდრო და ეფექტურ თანამშრომლობას.

ერთ-ერთი ასეთი საერთაშორისო დოკუმენტია 1991 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია ტერორიზმის შესახებ*, რომელიც მოიცავს საპაერო ხომალდის გატაცების, საპაერო ხომალდებზე დივერსიის, ოკეანეში, საზღვაო ხომალდებზე და ფიქსირებულ პლატფორმებზე თავდასხმის, აეროპორტებზე თავდასხმის, ოფიციალურ და დიპლომატიურ პირებზე ძალადობის განხორციელების, მძევლების აყვანის, ბირთვული ნივთიერებების გატაცების და შეუმჩნეველი პლასტიკური ასაფეთქებლების გამოყენების წინააღმდეგ მიმართულ ანტიტერორისტულ კონვენციებსა და ოქმებს.

რეზოლუციის მე-3 მუხლი ნევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რათა მათ თავი შეიკავონ სხვა სახელმწიფოებში ტერორისტული აქტების ორგანიზების, წაჭეზების და ხელშეწყობისაგან, ან ამ აქტებში მონაწილეობისაგან. სახელმწიფოებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ არ დაუშვან თავიანთი ტერიტორიის გამოყენება ტერორისტული აქტების მომზადებისათვის.

ტერორისტული აქტების გაშუქებისას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა არ უნდა დაუშვან ტერორისტული ქმედებების გამართლება, პოტენციური სამიზნეების შესახებ სტრატეგიული და ტაქტიკური ინფორმაციის გავრცელება პოტენციური სამიზნეების შესახებ. ასევე არ არის სასურველი სენსაციური მასალის გამჟღავნება, ვინაიდან, უმეტესწილად, ტერაქტების მომწყობთა მიზანი, საზოგადოებაში ძრწოლის გამოწვევაა. გარდა ამისა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ამგვარი მოქმედებით შეიძლება უდანაშაულო მოსახლეობის, მძევლებისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების უნებური სიკვდილი გამოიწვიონ.

1973 წლის დეკემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა კონვენცია საერთაშორისო სამართლით დაცული პირებისა და დიპლომატიური აგენტების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის პრევენციისა და დასჯის შესახებ.**

კონვენციის I მუხლის თანახმად, საერთაშორისო სამართლით

* U.N.G.A. Resolution 46/51, 9 Dec. 1991, U.N. Doc. A/46/54

** (1973 Convention on the Prevention and Punishment of Crimes Against Internationally Protected Persons, Including Diplomatic Agents, 1977 Can. T.S. No.43, 28 U.S.T. 1975, T.I.A.S. No.8532)

დაცული პირები არიან სახელმწიფოს შეთავაზებული, მთავრობის შეთავაზებული ან საგარეო საქმეთა მინისტრები, რომლებიც უცხო ქვეყანაში იმყოფებიან და მათი თანმხლები ოჯახის წევრები; აგრეთვე ის სახელმწიფო წარმომადგენლები ან თანამდებობის სხვა პირები, რომლებიც უცხო ქვეყანაში იმყოფებიან და სპეციალური დაცვის უფლებით სარგებლობენ; ასევე, საერთაშორისო სამთავრობოთაშორისი ორგანიზაციების თანამდებობის პირები ან წარმომადგენლები და მათთან მცხოვრები ოჯახის წევრები.

კონვენციის II მუხლის თანახმად, საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება შემდეგი განზრახ ქმედება: ამ პირთა მკვლელობა; გატაცება ან პიროვნებისა და თავისუფლების სხვაგვარი ზეღოვანება; დაცული პირთა ოფიციალურ შენობებზე და სატრანსპორტო საშუალებებზე ძალადობრივი თავდასხმა, თუ იგი მათ პიროვნებას, ან თავისუფლებას ემუქრება; მუქარა; თავდასხმა ან თავდასხმაში თანამონაწილეობა.

III მუხლის თანახმად, ჩამოთვლილ დანაშაულებრივ ქმედებებზე კონვენციის ყოველი წევრი სახელმწიფო თავის იურისდიქციას ავრცელებს, თუ:

- დანაშაული ჩადენილია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან ამ სახელმწიფოში რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე;
- დანაშაულში ეჭვმიტანილი ამ სახელმწიფოს მოქალაქეა;
- დანაშაული ჩადენილია საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ, მოცემული სახელმწიფოს ოფიციალური ფუნქციების შესრულებისას.

სახელმწიფოები მოქმედებენ aut dedere aut judicare პრინციპის მიხედვით.

კონვენცია მოიცავს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის მთელ რიგ დებულებებს (კონვენციის მე-4 და მე-10 მუხლები).

შემოსენებულ პირთა დაცვის სახელმწიფოთა ვალდებულებებისთვალისწინებს, აგრეთვე, დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ შემუშავებული 1961 წლის ვენის კონვენცია (იხილეთ ამ კონვენციის 22-ე და 29-ე მუხლები).

მძევლების აყვანის წინააღმდეგ, 1979 წლის 17 დეკემბერს მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის კონვენცია*, მძევლების აყვანას საერთაშორისო დანაშაულის კვალიფიკაციას ანიჭებს.

* International Convention Against the taking of Hostages, 1316 U.N.T.S. 205, 1979

ამ კონვენციის I მუხლის თანახმად, მძევლად აყვანა ნიშნავს პირის გატაცებას ან უკანონოდ მისი თავისუფლების შეზღუდვას, მესამე მხარისათვის (სახელმწიფო, სხვა პირები ან ორგანიზაციები) საკუთარი პირობების კარნახის მიზნით, როდესაც ამ პირობების შესრულება (მოქმედება, ან მოქმედებისაგან თავის შეკავება) მძევალთა განთავისუფლებისათვის აუცილებელი პირობაა. კონვენციის თანახმად, დანაშაულად ითვლება როგორც მძევლად აყვანის მცდელობა, ასევე ამ დანაშაულში თანამონაწილეობა.

კონვენციის III მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება მძევალი, ვალდებულია, ყველა ზომა მიიღოს მის გასანთავისუფლებლად.

სახელმწიფოთა მიერ უნივერსალური ორისდიქციის გამოყენების პრინციპს ამ კონვენციის V მუხლი ითვალისწინებს.

დოკუმენტის VIII მუხლი, ექსტრადიციის უარის თქმის შემთხვევაში, ავალდებულებს სახელმწიფოებს, სისხლისსამართლებრივი დევნისათვის, უსათუოდ გადასცენ საქმე თავიანთ კომპეტენტურ შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს, მიუხედავად იმისა, იქნა თუ არა ეს დანაშაული ჩადენილი მათ ტერიტორიაზე.

IX მუხლის შესაბამისად კი, დაუშვებელია პირის ექსტრადიციის იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს საკმარისი საფუძველი აქვს მიიჩნიოს, რომ ექსტრადირებული პირის მიმართ დევნა, პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური ან სხვა დისკრიმინაციული მოტივით განხორციელდება.

მძევლების აყვანის ერთ-ერთი ყველაზე გახშირებული საქმე გახლდათ იტალიური სამგზავრო გემის — „Achille Lauro“-ს გატაცება. 1985 წლის 7 ოქტომბერს, ოთხმა შეიარაღებულმა პირმა შეიპყრო ეს ხომალდი, ზოლო მასზე მყოფი შვერთებული შტატების მოქალაქე, მძევლად აყვანილი ლეონ კლინგჰოფერი კი მოკლა. მას შემდეგ, რაც გამტაცებლები ეგვიპტის ხელისუფლებას ჩაპბარდნენ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ მათ 10 ოქტომბერს ეგვიპტური თვითმფრინავით ქვეყანა დატოვეს. შვერთებული შტატების საზღვაო ფლოტის კუთვნილმა გამანადგურებელმა აიძულა ეგვიპტური თვითმფრინავი სიცილიაზე დაშვებულიყო. თვითმფრინავში, ოთხ ტერორისტთან ერთად, პალესტინის განმათავისუფლებელი ფრონტის ლიდერი, მუჰამედ აბასიც იმყოფებოდა. სწორედ აბასი ხელმძღვანელობდა „Achille Lauro“-ს გატაცებას. 11 ოქტომბერს აშშ-ს ხელისუფლებამ იტალიის მთავრობას აბასის დაპატიმრება მოსთხოვა. იტალიელებმა, მტკიცებულებების უკმარისობის გამო, აბასი დაპატიმრებიდან ოთხ დღეში გაათავისუფლეს. აბასის განთავისუფლების მომენტისათვის, იტალიის მხარეს ხელი ჰქონდა მოწერილი „მძევალთა კონვენციაზე“, მაგრამ ეს დოკუმენტი ჯერ კიდევ არ იყო მის მიერ რატიფიცირებული. ამგვარად, იტალიას ეს კონვენცია არ დაურღვევია. სამაგიეროდ მან აშშ-სთან დადებული ექსტრა-

დიციის ორმხრივი ხელშეკრულება დაარღვია აშშ-სა და იტალიას შორის დადებული ექსტრადიციის ხელშეკრულების საფუძველზე, ამერიკელებმა აბასის წინასწარი დაპატიმრება ითხოვეს, რაც ამერიკელი ფედერალური მოსამართლის მიერ გაცემული დაპატიმრების ორდერის საფუძველზე უნდა მომხდარიყო. ამერიკული კანონმდებლობით, აბასს ბრალად ედებოდა თვითმფრინავის გატაცებაში თანამონაწილეობა, მძევალთა აყვანა და მეკობრეობა.

იტალიიდან აბასმა იუგოსლავიაში გადაინაცვლა. იუგოსლავია მძევალთა კონვენციის ნეკრი სახელმწიფო გახლდათ. ამავე დროს, მას შვერთებულ შტატებთან გაფორმებული ჰქონდა ექსტრადიციის ორმხრივი ხელშეკრულება. 12 ოქტომბერს შვერთებულმა შტატებმა იუგოსლავიას, აბასის მამხილებელი დამატებითი მტკიცებულებები გადასცა და მისი დაკავება მოსთხოვა. 13 ოქტომბერს იუგოსლავიის ხელისუფლებამ შვერთებული შტატების ადმინისტრაციას აცნობა, რომ არ აპირებდა აბასის დაკავებას, მისი ექსტრადიციის მიზნით. არადა, მძევალთა კონვენციის თანახმად, იუგოსლავიას, ექსტრადიციის უარის თქმის შემთხვევაში, უნდა დაეკავებინა აბასი და მისი საქმე სისხლისსამართლებრივი დევნისათვის კომპეტენტური ეროვნული ორგანოებისათვის გადაეცა. თუ დავუშვებთ, რომ შვერთებული შტატების მიერ იუგოსლავიისათვის გადაცემული აბასის მამხილებელი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა იუგოსლავიის კანონმდებლობის მოთხოვნებს, იუგოსლავიას ის მაინც უნდა მოეხერხებინა, რომ დაეკავებინა აბასი იმ გონიერი ვადით, რაც საჭირო იყო ამერიკის ხელისუფლების მიერ იუგოსლავიის სამართლებრივი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. ამ შემთხვევაში იუგოსლავია კეთილსინდისიერად შეასრულებდა თავის საერთაშორისო ვალდებულებას.

აბასის მიერ იუგოსლავიის დატოვებიდან ხუთი დღის თავზე, იუგოსლავიამ განმარტა, რომ იგი აბასს, როგორც პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის წევრს, დიპლომატიური იმუნიტეტით აღჭურვილ პირად მიიჩნევდა. იტალიამაც მიანიშნა აბასის იმუნიტეტზე და დასძინა, რომ იგი ერაყის დიპლომატიური პასპორტით სარგებლობდა.

უნდა ითქვას, რომ ეს არაფრის მთქმელი არგუმენტებია, ვინაიდან აბასი, როგორც პალესტინის განმათავისუფლებელი ფრონტის წევრი, ვერავითარი დიპლომატიური იმუნიტეტით ვერ ისარგებლებდა იმ უზრალო მიზეზის გამო, რომ ეს ორგანიზაცია სახელმწიფოს არ წარმოადგენს. ვერც ერაყის დიპლომატიური პასპორტი მიანიჭებდა მას რაიმე იმუნიტეტს, ვინაიდან დიპლომატიკის სისხლისსამართლებრივი დევნისაგან იმუნიტეტით სარგებლობენ მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც ისინი მივლინებულნი არიან, ან მაშინ, როდესაც ამგვარი მივლინებების ფარგლებში ტრანზიტულად მოძრაობენ.

1988 წლის 10 მარტს, რომში მიღებულ იქნა საზღვაო ნავიგაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ უკანონო ქმედებათა აღკვეთის კონვენცია*, რომელიც კრძალავს საზღვაო ხომალდების გატაცებას. კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, დანაშაულად ჩაითვლება ის განზრახ უკანონო ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის გემების მშვიდობიან ნავიგაციას:

- ძალის გამოყენებით ან ძალის გამოყენების მუქარით, ან დაშინების სხვა ნებისმიერი ფორმით გემის გატაცება ან გაკონტროლება;
- ამ მიზნით ძალადობის გამოყენება გემზე მყოფი პირის მიმართ;
- გემის განადგურება ან მისი და მისი ტვირთის დაზიანება;
- ნებისმიერი საშუალებებით გემზე ისეთი მოწყობილობის ან ნივთიერების განთავსება, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს ეს გემი, დააზიანოს იგი ან მისი ტვირთი;
- საზღვაო სანაგავიგაციო ხელსაწყოების განადგურება ან სერიოზული დაზიანება, ან მათ ფუნქციონირებაში ჩარევა;
- ცრუ ინფორმაციის გავრცელება;
- ნებისმიერი პირის მოკვლა ან დაზიანება, რაც დაკავშირებულია ზემოხსენებულ დანაშაულთა ჩადენასთან, ან მათი ჩადენის მცდელობასთან.

ზემოხსენებულ დანაშაულთა მიმართ, სახელმწიფოთა მიერ თავიანთი იურისდიქციის გავრცელების პირობები კონვენციის მე-3 მუხლშია გათვალისწინებული.

11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, საერთაშორისო სამართლის პრაქტიკა საშუალებას აძლევს ტერორიზმის შედეგად დაზარალებული სახელმწიფოს და მის მოკავშირეებს, იერიში მიიტანონ იმ სახელმწიფოზე, რომელიც თავშესაფარს აძლევს საერთაშორისო ტერორისტებს, მათ ლიდერებს და საკუთარ ტერიტორიაზე განთავსებს ტერორისტთა საწვრთნელ ბაზებს. მაგალითად, 2001 წლის მიწურულს, აშშ-ს და ანტიტერორისტულ ალიანსში შემავალი მრავალი სხვა სახელმწიფოს ძალისხმევით, ავღანეთში განადგურდა არა მხოლოდ ტერორისტთა ბაზები და შეიარაღებული დანაყოფები, არამედ ავღანეთის რეჟიმის — „ტალიბანის“ შეიარაღებული ძალებიც.

ნარკოტიკების უკანონო მიმოქცევა

მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის, ნარკოტიკების მოხმარება და ნარკოტიკებით ვაჭრობა, ერთ-ერთი ყველაზე შემამოთხულებელი გარემოება გახლავთ. ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ეს ორი ნეგატიური მოვლენა, უმძიმეს სოციალურ პრობლემებს იწვევს. ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის შეერყევა, უმეტესწილად ფატალური შედეგებით მთავრდება. ნარკოტიკებით ვაჭრობის მძლავრი ინდუსტრია კი ძალადობასა და აგრესიულობაზეა დამყარებული. აკრძალული ნარკოტიკებით ვაჭრობა ერთ-ერთი ყველაზე მეტად სარფიანი „ბიზნესია“, რომლითაც ორგანიზებულ დანაშაულში ჩაბმული ჯგუფები საზრდოობენ. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფოები თავად მონაწილეობენ ნარკოტიკებით ვაჭრობაში. ისტორია მოწმობს, რომ ბრიტანეთი ხელს უწყობდა აზიაში ოპიუმით ვაჭრობას. შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობები კი, ვიეტნამის ომის მიმდინარეობისას, აქტიურად მონაწილეობდნენ ლაოსში ნარკოტიკებით ვაჭრობაში (აქეზებდნენ ნარკოტიკებით ვაჭრობას). ფაქტია, რომ ზოგიერთი სამხრეთამერიკული სახელმწიფოს (კოლუმბიისა და ბოლივიის) მთავრობები, არათუ ურთიერთობდნენ ე.წ. ნარკოკარტელებთან, არამედ მათ მიერ იმართებოდნენ კიდეც. ისიც უდავოა, რომ შეერთებულ შტატებს, ნიკარაგუაში აჯანყებულთა მოქმედებისათვის ფარული ხელშეწყობის მიზნით, კოკაინით მოვაჭრეებთან ჰქონდათ საქმე. პანამაში კი, გენერალ ნორიეგას მმართველობის დროს, კოკაინის ნარმოება ყვაოდა.

აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული ენებს არა მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობას, არამედ დიდ ზიანს აყენებს სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებსაც.

ნორკოტიკებით ვაჭრობასა და უკანონო მიმოქცევას უკავშირდება ისეთი დანაშაული, როგორიცაა უცხო სახელმწიფოს თანამდებობის პირთა მოსყიდვა და კორუფცია. ნარკოტიკებით ვაჭრობის შედეგად მიღებული უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან კი ფულის გათეთრების დანაშაული ასოცირდება.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლის ყველაზე კარგი საშუალება, ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია, ან ლეგალიზაციაა. ეს მოსაზრება იმით აიხსნება, რომ აკრძალული ნარკოტიკის (მაგალითად, კანაფისა და ხაშხაშის) გაყიდვისა და მოხმარების დაშვება, შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, უფრო ეფექტურად გააკონტროლონ ნარკოტიკების მიმოქცევა და შეამცირონ მისი უკანონო ბრუნვა.

* Convention for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation, done at Rome on 10 March 1988

ნარკოტიკებით ვაჭრობის გაკონტროლების მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი საშუალება არსებობს. ჯერ კიდევ 1909 წელს, თეოფორ რუზველტის ძალისხმევით, ცამეტი სახელმწიფოს მიერ შეიქმნა ოპიუმის საერთაშორისო კომისია*, რომელსაც „შანაისი კომისია“ ეწოდა. კომისიამ „თითოეულ ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით“, ოპიუმის მოხმარების საწინააღმდეგოდ, მთელი რიგი რეკომენდაციები და რეზოლუციები მიიღო.

ამ რეკომენდაციებს, 1912 წლის 23 იანვარს, ოპიუმისა და სხვა ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული კონვენციის მიღება მოჰყვა.** მომდევნო მრავალმხრივი კონვენცია ეხებოდა ნარკოტიკული საშუალებების წარმოების რეგულირებას სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებისათვის.*** ეს კონვენცია ერთა ლიგის მიერ იქნა მიღებული.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ნათელი გახდა, რომ ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობასა და მიმოქცევასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციები ნარკოტიკებთან ბრძოლის თანამედროვე მოთხოვნებს, ვერ პასუხობდნენ. 1946 წელს, გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა სამსახურმა, თავის პირველსავე სესიაზე მიიღო რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა ნარკოტიკული საშუალებების კომისიის ჩამოყალიბებას. ამ კომისიას დაევალა უკანონო ნარკოტიკული საშუალებების კონტროლირების ეფექტური საშუალებების შემუშავება.**** მეორე საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში, კერძოდ, 1961 წელს, გაეროს ვედიტ, მიღებული იქნა ცალკეული კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების შესახებ, (Single Convention on Narcotic Drugs 1961), რომლის საბოლოო სრულყოფა, 1972 წლის 25 მარტის დამატებითი ოქმის მიღებით მოხდა.*****

საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ სამოციან წლებში გამოჩნდა ისეთი აღმგზნები საშუალებები, როგორებიცაა ამფეტამინი, პალუცინოგენი LSD (ელ-ეს-დე), ათასგვარი ტრანკვილიზატორი და სხვა ფსიქოტროპული საშუალება. ამგვარ ნარკოტიკებს კი 1961 წლის კონვენცია არ ითვალისწინებდა.

ამის გამო 1971 წელს გაერომ მიიღო კონვენცია ფსიქოტროპული საშუალებების შესახებ. ზემოხსენებული კონვენციებით გათვალისწინ-

* კომისიის წევრი სახელმწიფოები იყვნენ: ავსტრო-უნგრეთი, ბენეთი, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, იაპონია, ნიდერლანდები, სპარსეთი, პორტუგალია, რუსეთი, საამი (ტაილანდი) და შვედეთი. მტატები.

** SLNTS 187. Convention Relating to the Suppression of the Abuse of Opium and Other Drugs.

*** Convention for Limiting the Manufacture and Regulating the Distribution of Narcotic Drugs. Geneva, 13 July 1931

****Resolution of the First Session of the Economic and Social Council, Official records, ECOSOC. First Session, 1946, Vol. I

*****Protocol Amending the Single Convention on Narcotic Drugs, 25 March 1972

ნებული ნარკოტიკებთან ბრძოლის საშუალებები 1988 წლის კონვენციის დებულებებით იქნა განმტკიცებული, რომელიც ნარკოტიკული საშუალებებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო მიმოქცევის წინააღმდეგაა მიმართული. ამ კონვენციას, პირობითად „ვენის კონვენცია“ უწოდებენ.

1961 წლის კონვენცია მიზნად ისახავდა ნარკოტიკებთან დაკავშირებული წინაშობები მრავალმხრივი კონვენციების დებულებათა გაერთიანებასა და კოდიფიცირებას. ამ კონვენციის ძირითადი მოთხოვნა წევრ სახელმწიფოთა მიერ ბუნებრივი ნარკოტიკული საშუალებების კულტივირების შეზღუდვა გახლდათ. კონვენციის თანახმად, მისი წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, გააკონტროლონ ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ჩაბმულნი არიან კანონიერი ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობაში და მათ დისტრიბუციაში, რათა არ დაუშვან რაიმე თვითნებობა მათი მხრიდან. სახელმწიფოებმა ეროვნულ დონეზე უნდა მიიღონ პრევენციული და რეპრესიული ზომები ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ. ამისათვის მათ სპეციალური სააგენტოების ჩამოყალიბება ევალებათ. პრევენციული და რეპრესიული ზომების გატარება სახელმწიფოთა შორის კოორდინირებულ მოქმედებებს ითვალისწინებს.

კონვენციის 36-ე მუხლის თანახმად, ისჯება ნებისმიერი განზრახ ქმედება, რომელიც ნარკოტიკების უკანონო კულტივაციას, დამზადებას, წარმოებას, მოპოვებას, მოზიდვას, მფლობელობას, შეთავაზებას, დისტრიბუციას, შეძენას, გაყიდვას, მიწოდებას, შეამაგლობას, გადაგზავნას, ტრანზიტულ გადაზიდვას, ტრანსპორტირებასა და იმპორტ-ექსპორტს უკავშირდება. იმპორტ-ექსპორტში, ერთი ქვეყნიდან მეორეში, ან ერთი ქვეყნის ტერიტორიულ ფარგლებში ნარკოტიკების ფიზიკური გადაადგილება იგულისხმება. რაც შეეხება ამ კონვენციის 1972 წლის დამატებითი ოქმს, უნდა ითქვას, რომ ეს დოკუმენტი ამძლავრებს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას და სახელმწიფოებს ავალდებულებს, აკრძალონ არა მხოლოდ ნარკოტიკების უკანონო კულტივირება, არამედ კონფისკაცია მოახდინონ და გაანადგურონ ის ნარკოტიკული მცენარეები, რომლებიც მათი უკანონო წარმოებისათვისაა გამიზნული. დამატებითი ოქმის თანახმად, სახელმწიფოებმა ინფორმაცია უნდა მიანოდონ გაეროს გენერალურ მდიანს მათ მიერ ნარკოტიკების წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. დამატებითი ოქმის მე-14 მუხლი, ცალკეული კონვენციის 36-ე მუხლს სრულყოფს და ზემოხსენებული დასჯადი ქმედებებისათვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ალტერნატივად სამკურნალო, საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო და სოციალური რეინტეგრაციის ზომების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. საგულისხმოა, რომ 1972 წლის დამატებითი ოქმი, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს დამნაშავეს ექსტრადიციის

საფუძვლად იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელმწიფოთა შორის ექსტრადიციის ხელშეკრულება არ არის დადებული.

1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ მიზნად ისახავს იმ ნარკოტიკთა უკანონო ბრუნვის გაკონტროლებას, რომელთაც დღეს „ახალი მიმართულების ნარკოტიკებს“ უწოდებენ. კონვენცია მოიცავს მთელ რიგ პრევენციულ და ამკრძალავ დებულებებს, რომლებიც მიმართულია ფსიქოტროპული ნივთიერებებით ვაჭრობის, ნარკოტიკებისა და დამზადების რეგულირებისაკენ. ამ დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან, თავიანთი ეროვნული კანონმდებლობების შესაბამისად, მიიღონ ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომა, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და მათი დამზადებისათვის აუცილებელი კომპონენტების უკანონოდ გამოყენების აღსაკვეთად.

1988 წლის ვენის კონვენცია 1984 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ დაწყებული კონსულტაციების შედეგი გახლავთ. კონვენცია მოწოდებულია, აღკვეთოს ნარკოტიკული საშუალებებისა და ნივთიერებების უკანონო ტრანსსაზღვრო ტრეფიკინგი, რაც თავის მხრივ, ორი, ან მეტი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის მიზნით მათ ტრანსპორტირებას გულისხმობს. ეს მოქმედებები შეიძლება განხორციელდეს, როგორც ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში, ასევე, მეორე სახელმწიფოთა გავლით მესამე სახელმწიფოში, ე.ი. ტრანზიტით. ვინაიდან ნარკოტიკების ტრეფიკინგი საერთაშორისო მნიშვნელობის დანაშაულია, მასთან ბრძოლა მჭიდრო სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობას მოითხოვს. ვენის კონვენცია ნევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, დანაშაულად გამოაცხადონ ნარკოტიკების ტრეფიკინგთან დაკავშირებული ქმედებები და თავიანთი ეროვნული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობებით შესაბამისი სანქციები დააწესონ. გარდა ამისა, ყველა ზომა მიიღონ, ნარკოტიკების ინგრედიენტების გაკონტროლებისა და ნარკოტიკულ მცენარეთა დანაშაულებრივი მიზნებით კულტივირების აღკვეთისათვის. ვენის კონვენცია 1990 წლის 11 ნოემბერს ამოქმედდა.

1988 წლის ვენის კონვენციის მე-17 მუხლის შესაბამისად, კონვენციის ნევრ სახელმწიფოთა სამხედრო გემებს, გარკვეული წესების დაცვით, უფლება აქვთ, შემოწმების მიზნით გაჩხრიკონ ნარკოტრეფიკინგში ეჭვმიტანილი საზღვაო ხომალდები.

რომის სტატუტი

1998 წლის 17 ივლისს რომში გაეროს ეგიდით, გამართულ, სახელმწიფოების სრულუფლებიან წარმომადგენელთა დიპლომატიურ კონფერენციაზე ხელი მოეწერა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტს.

გაეროს გენერალურმა მდიანმა კოფი ანანმა ამ მოვლენას „ადამიანის საყოველთაო უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობისაკენ გადადგმული უზარმაზარი ნაბიჯი“ უწოდა (გაეროს პრესრელიზი /2890 (20.07.1998)).

სტატუტი ითვალისწინებს კაცობრიობის ისტორიაში პირველი მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს შექმნას. სასამართლო თავის იურისდიქციას აერცვლებს საერთაშორისო სისხლის სამართლის ოთხ ძირითად დანაშაულზე: გენოციდის, აგრესიის, ომის (სამხედრო) და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე*. საერთაშორისო სისხლის სამართლის ამ კატეგორიის დანაშაულთა ეგრეთ წოდებულ „ძირითადი დანაშაულის“ ჯგუფში გაერთიანება ზოგადსაკაცობრიო ინტერესებზე მათი საზიანო ზემოქმედების მაღალმა ხარისხმა განაპირობა.

სტატუტის მიღებამდე მსოფლიო თანამეგობრობამ მეტად ხანგრძლივი და რთული გზა განვლო. ჯერ კიდევ 1937 წელს ერთა ლიგის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ მიღებული კონვენცია ითვალისწინებდა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ჩამოყალიბებას. რატიფიცირების უკმარისობის გამო (კონვენციის რატიფიცირება მხოლოდ ინდოეთმა მოახდინა), იმ დროს სასამართლო ვერ ამოქმედდა. მოგვიანებით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ შეიმუშავა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს კანონპროექტი (1951-53 წლები), მაგრამ მაშინაც, მის ამოქმედებას იმდროინდელმა მსოფლიო პოლიტიკურმა ვითარებამ, ეგრეთ წოდებულმა „ცივმა ომმა“ შეუშალა ხელი.

1982 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის თხოვნით, საერთაშორისო სამართლის კომისიამ, თითქმის ოცდაათწლიანი შესვენების შემდეგ, თავიდან დაიწყო კაცობრიობის მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კოდექსის პროექტის შემუშავება. პროექტზე მუშაობისას, კომისიამ არაერთხელ მიმართა გენერალურ ასამბლეას საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის მქონე ორგანოს ჩამოყალიბების წინადადებით.

* საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტის ადრეული პროექტები საერთაშორისო სისხლის სამართლის ძირითადი დანაშაულის — აგრესიის, გენოციდის, ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მსგავსად, ითვალისწინებდა სასამართლოს განსჯადობის გაერცვლებას ისეთ დანაშაულზეც, როგორიცაა, მაგალითად, ტერორიზმი, შეკობრეობა, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა და სხვა.

1989 წელს ტრინიდადმა და ტობაგომა გაეროს გენერალურ ასამბლეას ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ჩამოყალიბება შესთავაზა. გენერალურმა ასამბლეამ, თავის მხრივ, წინადადებით მიმართა საერთაშორისო სამართლის კომისიას, რომ 4 დეკემბრის 44/39 რეზოლუციის პირველ პუნქტში მართლმსაჯულების განხორციელების საერთაშორისო მექანიზმის ჩამოყალიბების საკითხი განეხილა, შექანიზმისა, რომელიც თავის იურისდიქციას კოდექსით განსაზღვრულ დანაშაულის ჩამდენ პირებზე და ნარკოტიკების ტრანსსასაზღვრო ბრუნვაში ჩაბმულ პირებზე გავრცელებდა.

1990 წლის 45/41 და 1991 წლის 46/54 რეზოლუციებში გენერალურმა ასამბლეამ კვლავ მიმართა საერთაშორისო სისხლის სამართლის კომისიას საერთაშორისო სისხლის სამართლის იურისდიქციის მქონე ორგანოს დაფუძნების იდეით.

1991 წელს კომისიამ პირველი მოსმენით მიიღო კაცობრიობის მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კოდექსის პროექტი, რომელიც კომენტირებისა და შენიშვნებისათვის სახელმწიფოთა მთავრობებს გადაეცათ.

1994 წლის 9 დეკემბრის რეზოლუციით გენერალურმა ასამბლეამ სპეციალური კომიტეტი შექმნა. კომიტეტის მიზანს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შესახებ მომზადებული კანონპროექტის დეტალური განხილვა წარმოადგენდა.

1996 წელს გენერალურმა ასამბლეამ გადაწყვეტილება მიიღო დიპლომატიური კონფერენციის მოწვევის თაობაზე. ამ კონფერენციას საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტის საბოლოო ტექსტი უნდა შეემუშავებინა და მიეღო. გენერალური ასამბლეის 1998 წლის 28 იანვრის 52/160 რეზოლუციით განისაზღვრა კონფერენციის მოწვევის ადგილი და დრო: ქალაქი რომი, 1998 წლის 15 ივნისიდან 17 ივლისამდე.

1998 წლის 17 ივლისს, რომში, დიპლომატიური კონფერენციის ბოლო დღეს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტი ხმათა უმრავლესობით (120 ხმით 7-ის წინააღმდეგ, 21 სახელმწიფომ თავი შეიკავა) მიიღეს.

ეფექტობით, მართებული იქნება, თუ ამ პუბლიკაციაში საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ განსჯად თითოეულ დანაშაულს ცალკე-ცალკე განვიხილავთ.

გენოციდი

რომის სტატუტის მე-6 მუხლის თანახმად, გენოციდი ნიშნავს რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის სრული ან ნაწილობრივი განადგურებისაკენ მიმართულ განზრახ ქმედებას, რაც გამოიხატება:

1. ასეთი ჯგუფის წევრების მკვლელობით;
2. ასეთი ჯგუფის წევრებისათვის სერიოზული ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენებით;
3. ამ ჯგუფთან რომელიმესთვის მიზანმიმართულად ცხოვრების ისეთი პირობების შექმნით, რაც მათი სრული ან ნაწილობრივი ფიზიკური განადგურებისკენაა მიმართული;
4. ასეთ ჯგუფში შობადობის შესამცირებლად სპეციალური ზომების მიღებით;
5. ბავშვების ერთი ჯგუფიდან მეორეში იძულებითი გადაადგილებით.

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

რომის სტატუტის მე-7 მუხლის თანახმად, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ნიშნავს ნებისმიერ შეგნებულ ქმედებას, რომელიც ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ფარგლებში ნებისმიერი სამოქალაქო პირის მიმართაა ჩადენილი და გამოიხატება შემდეგით:

1. მკვლელობით;
2. განადგურებით;
3. დამონებით;
4. მოსახლეობის დეპორტაციით ან იძულებითი გადაადგილებით;
5. საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმების დარღვევით დაპატიმრებით ან ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის სხვა უხეში მეთოდების გამოყენებით;
6. წამებით;
7. გაუპატიურებით, სექსუალური დამონებით, პროსტიტუციის იძულებით, იძულებით დაორსულებით, იძულებით სტერილიზებით ან შესატყვისი სიმძიმის სექსუალური ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმით განხორციელებით;

საერთაშორისო სისტემის სამართალი

8. სტატუტის ამ მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ ქმედებასთან ან სასამართლოს განსჯად ნებისმიერ დანაშაულთან დაკავშირებით ნებისმიერი იდენტიფიცირებადი ჯგუფის ან ერთობის პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, გენდერული* ან საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აკრძალული სხვა მოტივებით დევნით;
9. პირთა იძულებითი გაქრობით;
10. აპართეიდის დანაშაულით;
11. ანალოგიური ხასიათის სხვა არაადამიანური ქმედებებით, რომლებიც გამიზნულია ძლიერი ტანჯვის გამოსანვევად ან ფსიქიკური თუ ფიზიკური ჯანმრთელობისათვის სერიოზული ზიანის მისაყენებლად.

ომის დანაშაული

რომის სტატუტის მე-8 მუხლის თანახმად, საერთაშორისო სისტემის სამართლის სასამართლოს განსჯადობა ვრცელდება ომის დანაშაულზე, კერძოდ, როცა ეს დანაშაული რაიმე გეგმის ან პოლიტიკის ნაწილია, ან ჩადენილია, როგორც ამგვარი დანაშაულის ფართომასშტაბიანი განხორციელების ნაწილი.

სტატუტის მიხედვით „ომის დანაშაულად“ ითვლება:

ა) 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციების სერიოზული დარღვევა, სახელდობრ, ჟენევის კონვენციების დებულებებით დაცული პირებისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული შემდეგი ქმედებები:

1. განზრახ მკვლელობა;
2. წამება ან არაადამიანური მოპყრობა, ბიოლოგიური ცდების ჩატარების ჩათვლით;
3. მძიმე ტანჯვის განზრახ მიყენება; სხეულის ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება;
4. ქონების ფართომასშტაბიანი უკანონო და უმიზეზო განადგურება ან მითვისება, როცა ეს სამხედრო აუცილებლობით არ არის განპირობებული;
5. სამხედრო ტყვის ან სხვა დაცული პირის იძულება – იმსახუროს მტრული სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში;

* ტერმინი „გენდერული“ საზოგადოებრივ კონტექსტში გულისხმობს ორივე – მდედრობით და მამრობით სქესს. ამ ტერმინს სხვაგვარი მნიშვნელობა არ გააჩნია.

რომის სტატუტი

6. სამხედრო ტყვესათვის ან სხვა დაცული პირისათვის ნორმალური და სამართლიანი სამართალწარმოების უფლების განზრახ ჩამორთმევა;
7. უკანონო დეპორტაცია ან გადაადგილება; უკანონო დატუსაღება;
8. მძევლების აყვანა.

ბ) საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს გამოყენებადი საერთაშორისო ჩვეულებებისა და კანონების სხვა სერიოზული დარღვევა, სახელდობრ, ქვემოთ მოყვანილი ნებისმიერი ქმედება:

1. განზრახ თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობაზე ან ცალკეულ სამოქალაქო პირებზე, რომლებიც სამხედრო მოქმედებებში უშუალოდ არ მონაწილეობენ;
2. განზრახ თავდასხმა სამოქალაქო ობიექტებზე, ანუ იმ ობიექტებზე, რომლებიც სამხედრო სამიზნეებს არ წარმოადგენენ;
3. გაეროს წესდების შესაბამისად, განზრახ თავდასხმა ჰუმანიტარული დახმარების ან სამშვიდობო მისიების პერსონალზე, ნაგებობებზე, მასალებზე, ერთეულებზე და სატრანსპორტო საშუალებებზე, სანამ ისინი სამოქალაქო პირებისა და სამოქალაქო ობიექტებისათვის შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლით მინიჭებული დაცვის უფლებებით სარგებლობენ.
4. განზრახ შეტევის წამოწყება იმ შეგნებით, რომ იგი ადამიანთა შემთხვევით დაღუპვას, ან სამოქალაქო პირების დაშავებას, ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანებას გამოიწვევს; ასევე გამოიწვევს გარემოს ისეთ ფართომასშტაბიან, ხანგრძლივ და მნიშვნელოვან დაზიანებას, რომელიც აშკარად აღემატება სრული სამხედრო უპირატესობის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებს.
5. დაუცველ და არასამხედრო სამიზნე ქალაქებზე, სოფლებზე, საცხოვრებლებსა და შენობებზე ნებისმიერი საშუალებებით თავდასხმა ან მათი დაბომბვა;
6. იმ მებრძოლის მოკვლა ან დაჭრა, რომელიც განიარაღდა, ან აღარ გააჩნია დაცვის საშუალება და უპირობოდ დანებდა.
7. პარლამენტორის დროშის, მტრის ან გაეროს დროშის, სამხედრო ნიშნების ან უნიფორმის, ან ჟენევის კონვენციებით დაცული განმასხვავებელი ნიშნების ბოროტად გამოყენება, რამაც სიკვდილი ან მძიმე დაზიანება გამოიწვია.

8. დამპყრობელი სახელმწიფოს მიერ საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილების ოკუპირებულ ტერიტორიაზე პირდაპირი ან ირიბი გადაყვანა, ან ოკუპირებული ტერიტორიის მთელი მოსახლეობის, ან მოსახლეობის ნაწილის დეპორტაცია, ან გადაადგილება ამ ტერიტორიის ფარგლებშივე, ან მის ფარგლებს გარეთ.
9. რელიგიური, საგანმანათლებლო, ხელოვნების, სამეცნიერო თუ საქველმოქმედო მიზნებისათვის განკუთვნილ შენობებზე, ასევე, ისტორიულ ძეგლებზე, ჰოსპიტლებზე და ავადმყოფებისა და დაჭრილების განთავსების ადგილებზე განზრახ თავდასხმების განხორციელება, თუკი ისინი სამხედრო სამიზნეებს არ წარმოადგენენ.
10. მოწინააღმდეგე მხარეს დაქვემდებარებულ პირთა ფიზიკური დასახიჩრება, ან ამ პირებზე ნებისმიერი სახის სამედიცინო თუ სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სტაციონარული მკურნალობის თვალსაზრისით, არ შეესაბამება მათ ინტერესებს და გამოიწვევს მათ სიკვდილს, ან სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის მათ ჯანმრთელობას.
11. მტრული სახელმწიფოს ან არმიის ქვეშევრდომების ვერაგულად მოკვლა ან დაჭრა.
12. განცხადება, რომ შეწყდება არ იქნება.
13. მოწინააღმდეგის საკუთრების განადგურება ან მიტაცება იმ შემთხვევაში, თუ ეს ომის აუცილებლობით არ არის განპირობებული.
14. განცხადება, რომ მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეთა უფლებები და სარჩელები სასამართლოში გაუქმებულია, დროებით შეჩერებულია ან მიუღებელია.
15. მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეთა იძულება – მონაწილეობა მიიღონ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ საომარ მოქმედებებში, მაშინაც კი, თუ ომის დაწყებამდე ისინი სამხედრო სამსახურში იმყოფებოდნენ.
16. ქალაქის ან დასახლების გაძარცვა, მაშინაც კი, როცა ისინი იერიშის შედეგად იქნა აღებული.
17. სანამღალის ან მოწამლული იარაღის გამოყენება.
18. მხოთავი, მომწამვლელი ან სხვაგვარი გაზების, ასევე, ნებისმიერი მსგავსი სითხის (ნივთიერების), მასალისა და საშუალების გამოყენება.
19. ისეთი ტყვიის გამოყენება, რომელიც ადამიანის სხეულში ადვილად იშლება ან ფეთქდება, მაგალითად, მკერდგარსიანი ტყვიები, რომელთა ბირთვი დაფარული არ არის ან ნაჭდეგებიანია.

20. სტატუტის დანართში შეტანილი და საყოველთაოდ აკრძალული ისეთი საომარი იარაღის, ტყვია-წამლის, მასალისა და მეთოდების გამოყენება, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზიანი და გაუმართლებელი ტანჯვა მოსდევს, რაც შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის ნორმათა განურჩეველ დარღვევას იწვევს.
 21. ადამიანური ღირსების შელახვა, კერძოდ, შეურაცხყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა.
 22. გაუპატიურება, სექსუალური დამონება, პროსტიტუციის იძულება, იძულებითი დაორსულება, იძულებითი სტერილიზება ან სექსუალური ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმა, რაც, ასევე, ყენევის კონვენციების სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს.
 23. სამოქალაქო ან სხვა დაცული პირის თანდასწრების გამოყენება, საომარი მოქმედებებისგან გარკვეული პუნქტების, რაიონების ან შეიარაღებული ძალების დასაცავად.
 24. საერთაშორისო სამართლის თანახმად, ყენევის კონვენციებით განსაზღვრული განმასხვავებელი ნიშნებით აღნიშნულ შენობებზე, მასალებზე, სამედიცინო ერთეულებზე, ტრანსპორტზე, და ასევე, ამ ნიშნებით მოსარგებლე პერსონალზე განზრახ თავდასხმა.
 25. ომის წარმოების მეთოდად სამოქალაქო პირთა მიმართ განზრახ შიმშილის გამოყენება, რაც მათი გადარჩენისათვის აუცილებელი საგნების ჩამორთმევით და ყენევის კონვენციით გათვალისწინებული დამხმარე საშუალებების განზრახ დაბრკოლებით გამოიხატება.
 26. 15 წლამდე ასაკის ბავშვების ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში განთავსება ან განაწილება, ან მათი გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილეობის მისაღებად.
- ე) საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტების დროს, ყენევის 1949 წლის 12 აგვისტოს ოთხივე კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლის სერიოზული დარღვევა. კერძოდ, ქვემოთ მოყვანილ მოქმედებათაგან ნებისმიერის განხორციელება იმ პირების მიმართ, რომლებიც შეიარაღებულ კონფლიქტებში უშუალოდ არ მონაწილეობენ, შეიარაღებული ძალების იმ წარმომადგენლების ჩათვლით, რომლებმაც იარაღი დაყარეს, ასევე იმ პირების ჩათვლით, რომლებიც ავადმყოფობის, ჭრილობის, პატიმრობის ან სხვა მიზეზით საომარ მოქმედებებში აქტიურად არ მონაწილეობენ.

1. პიროვნებისა და სიცოცხლის ხელყოფა, კერძოდ, ნებისმიერი მკვლელობა, დასახიჩრება, სასტიკი მოპყრობა და წამება;

2. ადამიანური ღირსების შელახვა, კერძოდ, შეურაცხყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა;
 3. მძევლების აყვანა;
 4. საყოველთაოდ აღიარებული ყველა იურიდიული გარანტიის დაცვით სათანადო საკანონმდებლო პროცედურით შექმნილი სასამართლოს მიერ წინასწარი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანა ან მისი აღსრულება.
- d) (c) ქვეპუნქტი ეხება საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებულ კონფლიქტებს და, ამრიგად, არ ვრცელდება ისეთ შიდასახელმწიფოებრივ არეულობებზე და დაძაბულობებზე, როგორებიცაა ამბოხება, ცალკეული და შემთხვევითი ძალადობის აქტები ან სხვა მსგავსი ხასიათის ქმედებები.
- e) საერთაშორისო სამართლის თანახმად დადგენილი საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი კანონებისა და ჩვეულებების სხვა სერიოზული დარღვევები; სახელდობრ, შემდეგი ქმედებები:
1. განზრახ თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობაზე ან ცალკეულ სამოქალაქო პირებზე, რომლებიც სამხედრო მოქმედებებში უშუალოდ არ მონაწილეობენ.
 2. განზრახ თავდასხმა იმ შენობებზე, მასალებზე, სამედიცინო ერთეულებზე და ტრანსპორტზე, აგრეთვე პერსონალზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის თანახმად, სარგებლობენ ჟენევის კონვენციით განსაზღვრული ამოსაცნობი ნიშნებით.
 3. გაეროს წესდების შესაბამისად, ჰუმანიტარული დახმარების ან სამშვიდობო მისიების პერსონალზე, ნაგებობებზე, მასალებზე, ერთეულებზე და სატრანსპორტო საშუალებებზე განზრახ თავდასხმა, ვიდრე ისინი შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამოქალაქო პირებისა და სამოქალაქო ობიექტებისათვის მინიჭებული დაცვის უფლებით სარგებლობენ.
 4. განზრახ თავდასხმების განხორციელება რელიგიური, საგანმანათლებლო, ხელოვნების, სამეცნიერო ან საქველმოქმედო მიზნებისთვის განკუთვნილ შენობებზე, ასევე, ისტორიულ ძეგლებზე, ჰოსპიტლებზე, ავადმყოფებისა და დაჭრილების განთავსების ადგილებზე, რომლებიც სამხედრო სამიზნეებს არ წარმოადგენენ.

5. ქალაქის ან დასახლების გაძარცვა მას შემდეგ, რაც იგი იერიშით იქნა აღებული.
6. გაუბატონება, სექსუალური დამონება, პროსტიტუციის იძულება, იძულებითი დაორსულება, იძულებითი სტერილიზება ან სექსუალური ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმა, რაც, ასევე, ჟენევის კონვენციების სერიოზული დარღვევაა.
7. 15 წლამდე ასაკის ბავშვების ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში განწევვა ან განაწილება, ან მათი გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილეობის მისაღებად.
8. ბრძანების გაცემა კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზების გამო სამოქალაქო მოსახლეობის სხვა ადგილზე გადაყვანის შესახებ, თუ ამას სამოქალაქო პირთა უსაფრთხოება ან აუცილებელი სამხედრო მიზეზები არ განაპირობებს.
9. მონიწილმდეგ მხარის მებრძოლის ვერაგულად მოკვლა ან დაჭრა.
10. განცხადება, რომ შეწყალება არ იქნება.
11. მონიწილმდეგ მხარეს დაქვემდებარებულ პირთა ფიზიკური დასახიჩრება, ან ამ პირებზე ნებისმიერი სახის სამედიცინო თუ სამეცნიერო ცდების ჩატარება, რაც გაუმართლებელია სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სტაციონარული მკურნალობის თვალსაზრისით არ შეესაბამება მათ ინტერესებს, გამოიწვევს მათ სიკვდილს, ან სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის მათ ჯანმრთელობას.
12. მონიწილმდეგის საკუთრების განადგურება ან მითვისება, თუ განადგურება, ან მითვისება იმპერატორული სამხედრო აუცილებლობით არ იყო განპირობებული.

f) (e) ქვეპუნქტი ეხება საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებულ კონფლიქტებს და, ამრიგად, არ ვრცელდება ისეთ შიდასახელმწიფოებრივ არეულობებზე და დაძაბულობებზე, როგორებიცაა ამბოხება, ცალკეული და შემთხვევითი ძალადობის აქტები ან სხვა მსგავსი ქმედებები. იგი ეხება ისეთ შეიარაღებულ კონფლიქტებს, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის, ან ამგვარ ჯგუფებს შორის ხანგრძლივი დროის მანძილზე.

(g) (c) და (e) ქვეპუნქტი არ ეხება მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს, შეინარჩუნოს ქვეყანაში საჯარო წესრიგი, აღადგინოს იგი, ან დაიცვას ქვეყნის ტერიტორიული ხელშეუხებლობა ნებისმიერი კანონიერი საშუალებებით.

აგრესია

მიუხედავად იმისა, რომ რომის სტატუტის განსჯადობა ვრცელდება აგრესიის დანაშაულზე, დიპლომატიური კონფერენცია მის დეფინიციაზე ვერ შეთანხმდა. აგრესიის ცნების განსაზღვრის საკითხი კვლავ ღიაა და გადაწყდება მხოლოდ სტატუტის ამოქმედებიდან შვიდი წლის თავზე, ანუ სტატუტის გადასინჯვის პირველ კონფერენციაზე. აგრესიის ცნების შემუშავება დაეკისრა მოსამზადებელ კომისიას, რომელიც თავის მოსაზრებებს აგრესიის თაობაზე წარუდგენს სტატუტის გადასინჯვის კონფერენციას. კონფერენციაზე ასევე განიხილება ტერორიზმისა და ნარკოტიკების მიმოქცევისასთან დაკავშირებული დანაშაულის ცნების განსაზღვრის საკითხი.

გენოციდის, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და ომის (სამხედრო) დანაშაულის ელემენტების სტრუქტურა, რომის სტატუტის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების ანალოგიურ დებულებათა სტრუქტურას შეესაბამება.

სამართლის წყაროები

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო სამართლის შემდეგ წყაროებს ეყრდნობა:

- საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სტატუტი; ასევე, დანაშაულის ელემენტები და პროცედურისა და მტკიცების წესები.
- საერთაშორისო სამართლის საერთო პრინციპები.
- საერთაშორისო სამართლის ხელშეკრულებები და ჩვეულებები.
- მსოფლიოს სამართლებრივი სისტემების გათვალისწინებით შეკრებილი ეროვნული კანონმდებლობებიდან ამოკრეფილი სამართლის ზოგადი პრინციპები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება სტატუტს, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და სტანდარტებს.

ოფიციალური და

სამართალწარმოების ენები

სასამართლოს ოფიციალური ენებია არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური. სასამართლოს განაჩენი, აგრეთვე გადაწყვეტილებები, რომლებიც სასამართლოს ძირითად საკითხებს ანეხსრივდენ, სასამართლოს ოფიციალურ ენებზე უნდა გამოქვეყნდეს.

სამართალწარმოების ენებია ინგლისური და ფრანგული. საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს ოფიციალური ენა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალწარმოების ენად. სასამართლო უფლებამოსილია, ნება დართოს პროცესში მონაწილე რომელიმე მხარეს, სამართალწარმოების ენების გარდა, გამოიყენოს სხვა ენა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ad hoc (სპეციალურად შექმნილი) სასამართლოებისაგან განსხვავებით, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო საერთაშორისო მართლმსაჯულების განხორციელების პერმანენტული ორგანოა, სასამართლოს ეგრეთ წოდებული „მასპინძელი სახელმწიფო“ არის ნიდერლანდები - ჰააგა. სასამართლოს ურთიერთობა „მასპინძელ სახელმწიფოსთან“, ისევე, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, წესრიგდება ოფიციალური შეთანხმებების მეშვეობით (სტატუტის მე-2 და მე-3 მუხლები).

სასამართლო რამდენიმე ორგანოსაგან შედგება. ეს ორგანოებია: წინასწარი წარმოების, სასამართლო წარმოების და სააპელაციო პალატები, პროკურორის ბიურო და რეგისტრატურა (მუხლი 34). ნევრ სახელმწიფოთა ასამბლეა ზედამხედველობას განახორციელებს სასამართლოს მართვაზე; განიხილავს და იღებს მოსამზადებელი კომისიის შესაფერის რეკომენდაციებს; განიხილავს და ამტკიცებს სასამართლოს ბიუჯეტს, ასრულებს სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებს (მუხლი 112). სასამართლოს ადმინისტრირებაზე (დამოუკიდებელი პროკურორის ბიუროს გარდა) პასუხისმგებლობას სასამართლოს პრეზიდენტი, პირველი და მეორე ვიცე-პრეზიდენტები იწარმოებენ.

მოსამართლეები, სასამართლოს
ორგანოები, არაზიდიუმი

მოსამართლეები სტატუტის წევრ სახელმწიფოთა ასამბლეის მიერ, ხელახლა არჩევის უფლების გარეშე, 9 წლის ვადით აირჩევიან (სტატუტის წევრი სახელმწიფოდან მხოლოდ თითო მოსამართლე (მუხლი 36, 37). მოსამართლეები შეირჩევიან იმ პირთაგან, რომლებიც საკუთარ სახელმწიფოებში უმაღლეს სასამართლო თანამდებობებზე მუშაობისთვის არსებულ აუცილებელ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. ისინი უნდა გამოირჩეოდნენ მაღალი ზნეობით, მიუკერძოებლობით და სრული დამოუკიდებლობით.

სასამართლოს შემადგენლობიდან, სულ მცირე, 9 მოსამართლე სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში აღიარებული კომპეტენტურობით უნდა სარგებლობდეს, ჰქონდეს გამოცდილება სისხლის სამართალწარმოებაში. ხოლო, სულ მცირე, 5 მოსამართლე მაინც, მაღალპროფესიულობასა და გამოცდილებასთან ერთად, კომპეტენტური უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართალი.

სასამართლოს პრეზიდიუმში არჩეული სამი მოსამართლე არჩევის დღიდანვე სრულ სამუშაო განაკვეთზე იწყებს მუშაობას (მუხლი 35).

სააპელაციო პალატა შედგება პრეზიდენტისა და ოთხი მოსამართლისაგან. სასამართლო წარმოების და წინასწარი წარმოების განყოფილებებში არანაკლებ 6 მოსამართლეა (მუხლი 39). სასამართლო წარმოების და წინასწარი წარმოების პალატები უმეტესად სისხლის სამართლის პროცესში გამოცდილების მქონე მოსამართლეებისაგან კომპლექტდება.

მოსამართლეები მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი უნდა იყონ. ისინი არ უნდა ასრულებდნენ სხვა ისეთ საქმეს, რომელმაც შესაძლოა მათი მოსამართლეობრივი ფუნქციების შესრულება რამენაირად შეაფერხოს, ან სულაც საეჭვო გახადოს მათი დამოუკიდებლობა. მოქმედი მოსამართლეები სხვა პროფესიული საქმიანობით არ უნდა იყონ დაკავებული. ამ პრინციპებით ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ უნდა გადაწყდეს (მუხლი 40). თუ ასეთი საკითხი ინდივიდუალურად რომელიმე მოსამართლეს ეხება, იგი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ მიიღებს. მოსამართლისთვის დაუშვებელია ისეთი საქმის განხილვაში მონაწილეობა, რომელიც მის მიუკერძოებლობას საეჭვო გახდის. შეიძლება მოსამართლე საქმეს ჩამოაცილოს, თუ იგი აღრე ეროვნულ დონეზე რაიმე სახით სასამართლოს მიერ განსახილველ იმ საქმეში იყო ჩაბმული, რომელშიც ეჭვმიტანილი ან ბრალდებული მონაწილეობდა. მოსამართლეს, რომელსაც აციალება ეძლევა, უფლება აქვს, მოცემულ საკითხზე თავისი შენიშვნები წარმოადგინოს, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა მას არ შეუძლია (მუხლი 41).

პროკურორი

სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი საერთაშორისო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის არსებობის საფუძველზე პროკურორს შეუძლია *proprio motu* (საკუთარი ინიციატივით) დაიწყოს გამოძიება (მუხლი 13-15). სტატუტის წევრ სახელმწიფოს შეუძლია მოახსენოს პროკურორს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩადენის ეჭვის შემცველი ვითარება და პასუხისმგებლობის საკითხის დასადგენად მას გამოძიების ჩატარება სთხოვოს.

მოხსენებას თან უნდა ერთვოდეს ვითარების ამსახველი კონკრეტული დოკუმენტები.

პროკურორისათვის მსგავსი ინფორმაციის მიწოდება ასევე შეუძლია გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად მოქმედ უშიშროების საბჭოსაც.

მიღებული ინფორმაციის შესაფასებლად პროკურორს შეუძლია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია სახელმწიფოების, გაეროს ორგანოების, მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციების ან სხვა სტრუქტურათა წყაროებიდან. თუ პროკურორი გადაწყვეტს, რომ გამოძიების გაგრძელების საკმარისი საფუძველი არსებობს, იგი წინასწარი წარმოების პალატას გამოძიების წარმოების სანქციონების თხოვნით მიმართავს. მიმართვას თან უნდა ახლდეს ამისათვის საჭირო ყველა დამადასტურებელი მასალა.

თუ წინასწარი წარმოების პალატა თხოვნისა და დამადასტურებელი მასალის დეტალური განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ არსებობს გამოძიების გაგრძელების საკმარისი საფუძველი და კონკრეტული საქმე სასამართლოს იურისდიქციას განეკუთვნება, იგი გამოძიების დაწყების სანქციას გასცემს. წინასწარი წარმოების პალატის მიერ გამოძიების სანქციონირებაზე უარის განცხადება პროკურორს ხელს არ უშლის, ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, იმავე ვითარებასთან დაკავშირებით ხელახლა მიმართოს პალატას.

პროკურორის ბიურო სასამართლოსაგან დამოუკიდებელი ორგანოა. ბიურო პასუხისმგებელია, ჩატაროს გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით მიიღოს და შეამონმოს სასამართლოს მიერ განსჯადი თითოეული დანაშაულის შესახებ არსებული მოხსენება თუ სხვა დასაბუთებული ინფორმაცია. ბიუროს ხელმძღვანელობს პროკურორი. მას თანაშემწეობას უწევს პროკურორის ერთი ან რამდენიმე მოადგილე, რომლებიც, წესის თანახმად, სხვადასხვა ეროვნებისა ან არიან. პროკურორიცა და მისი მოადგილეებიც მაღალი ზნეობით, კომპეტენტურობით და სისხლისსამართლებრივი დევნისა და სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების დიდი გამოცდილებით უნდა გამოირჩეოდნენ. ისინი, სამართალწარმოების ენებიდან თავისუფლად უნდა ფლობდნენ ერთ-ერთს მაინც.

პროკურორი ირჩევა ფარული კენჭისყრით, სტატუტის წევრ სახელმწიფოთა ასამბლეის ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

პროკურორის მოადგილეებს ირჩევენ პროკურორის მიერ წარდგენილი კანდიდატების სიიდან იმავე პროცედურით.

პროკურორი და მისი მოადგილეები არ უნდა იყონ ჩაბმულნი ისეთ საქმიანობაში, რამაც შესაძლებელია, ხელყოს მათ მიერ ბრალდების ფუნქციების განხორციელება, ან ზიანი მიაყენოს მათი დამოუკიდებლობის სანდოობას.

პრეზიდენტს შეუძლია, პროკურორი ან მისი მოადგილე კონკრეტულ საქმეში მონაწილეობისაგან საკუთარი თხოვნის საფუძველზე გაათავისუფლოს. პროკურორი და მისი მოადგილე არ უნდა მონაწილეობდნენ ისეთ საქმეში, რომელიც მათ მოუკერძოებლობას საეჭვოს გახდის. ისინი ჩამოცილებულ უნდა იქნან საქმიდან, თუ ადრე რაიმე სახით სასამართლოს მიერ ეროვნულ დონეზე განხილულ, ან ამ საქმესთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის იმ საქმის განხილვაში იყვნენ ჩაბმულნი, რომელშიც ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირი მონაწილეობდა. პროკურორისა და მისი მოადგილის საქმიდან ჩამოცილების საკითხს სააპელაციო პალატა წყვეტს. (მუხლი 42)

რემისტრატურა

სტატუტის 43-ე მუხლის შესაბამისად, რეგისტრატურა სასამართლოს არაიურიდიული საკითხების მართვასა და მომსახურებაზეა პასუხისმგებელი. მას ხელმძღვანელობს სასამართლოს მთავარი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი — რეგისტრატორი.

რეგისტრატორმა რეგისტრატურაში უნდა დააარსოს დაზარალებულთა და მოწმეთა განყოფილება, რომელიც, პროკურორის ბიუროსთან შეთანხმებით, მოწმეთა, დაზარალებულთა და სხვა პირთათვის შესაბამის დაცვით ზომებსა და უსაფრთხოების ღონისძიებებს უზრუნველყოფს, გაუწევს მათ კონსულტაციებს და სხვა სახის დახმარებას.

განყოფილების თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ ტრავმების ნაირსახეობათა (მათ შორის, სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული ტრავმების) ექსპერტიზის ჩატარების გამოცდილება.

რეგისტრატორი და მისი ნებისმიერი მოადგილე აირჩევა ფარული კენჭისყრით, წევრ სახელმწიფოთა ასამბლეის რეკომენდაციით, მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ.

რეგისტრატორი და მისი მოადგილე უნდა გამოირჩეოდნენ მაღალი ზნეობით, კომპეტენტურობით და უნდა ფლობდნენ სამართალწარმოების ენებიდან ერთ-ერთ ენას მაინც.

მათ ირჩევენ ხუთი წლის ვადით, რომელიც შესაძლოა, მხოლოდ ერთი ვადით გაგრძელდეს.

თანამდებობიდან გათავისუფლება. პრივილეგიები და იმუნიტეტი

მოსამართლე, პროკურორი, რეგისტრატორი და, შესაბამისად, მათი მოადგილეები შეიძლება გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან მათზე სტატუტით დაკისრებული ვალდებულებების უბეში დარღვევისათვის ან ფუნქციათა შეუსრულებლობისათვის.

ამ მიზეზთა გამო მოსამართლის თანამდებობიდან დათხოვნა ხდება სხვა მოსამართლეთა კვალიფიციური უმრავლესობის რეკომენდაციის საფუძველზე, წევრ სახელმწიფოთა ასამბლეის ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით.

პროკურორისა და პროკურორის ინიციატივით, მისი მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლება დამოკიდებულია წევრ სახელმწიფოთა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობაზე. ხოლო რეგისტრატორისა და მისი მოადგილის თანამდებობიდან დათხოვნა შესაძლებელია მოსამართლეთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით (მუხლი 46).

სხვა, ნაკლებად მძიმე გადაცდომებისათვის ზემოხსენებული თანამდებობის პირთა მიმართ დისციპლინარული ზომების გამოყენებას სტატუტის 47-ე მუხლი ითვალისწინებს.

სასამართლოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის სასამართლოს საქმიანობაში მონაწილეობისას მოსამართლეები, პროკურორი, მისი მოადგილეები და რეგისტრატორი სარგებლობენ დიპლომატიური მისიების მეთაურებისათვის მინიჭებული პრივილეგიებითა და იმუნიტეტით. აღსანიშნავია, რომ ეს პრივილეგიები და იმუნიტეტი აღნიშნული თანამდებობის პირებს მათი თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგაც უნარჩუნდებათ.

მოსამართლისა და პროკურორისათვის მინიჭებული პრივილეგიები და იმუნიტეტი შეიძლება გაუქმდეს მოსამართლეთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით; რეგისტრატორისათვის მინიჭებული პრივილეგიებისა და იმუნიტეტის გაუქმების უფლება აქვს პრეზიდენტს; პროკურორის მოადგილეების პრივილეგიებისა და იმუნიტეტის გაუქმების უფლება — პროკურორს, ხოლო, რეგისტრატორის მოადგილისა — რეგისტრატორს (მუხლი 48).

წევრ სახელმწიფოთა ასამბლეა

სტატუტის წევრ სახელმწიფოთა ასამბლეა წარმოადგენს ერთგვარ ფორუმს, რომელზეც სასამართლოს ქმედითობასთან და ეფექტურობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება.

ასამბლეის სტრუქტურა და ფუნქციები სტატუტით ისეა განსაზღვრული, რომ წევრ სახელმწიფოებს სასამართლოს დამოუკიდებლობის

შეუღალავად შეუძლიათ განახორციელონ ზედამხედველობა მის მართვაზე.

სახელმწიფოები ასამბლეის წევრობის უფლებას სტატუტის რატიფიცირებით მოიპოვებენ. ყოველ წევრ სახელმწიფოს ასამბლეაში ჰყავს ერთი წარმომადგენელი ხმის უფლებით. წარმომადგენელს ჰყავს მოადგილეები და მრჩეველები (მუხლი 112).

სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს რომის სტატუტს ან მის დასკვნით აქტს, მაგრამ არ მოუხდენიათ მისი რატიფიცირება, შეიძლება მიენიჭოთ დამკვირვებლის სტატუსი ხმის უფლების გარეშე.

ასამბლეამ უნდა ჩამოაყალიბოს ბიურო, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ 3 წლის ვადით არჩეული პრეზიდენტი, მისი ორი მოადგილე და 15 წევრი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიურო წარმომადგენლობითი ხასიათის ორგანოა, რომლის შექმნის დროს გათვალისწინებული იქნება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილებისა და მსოფლიოს ძირითადი სამართლებრივი სისტემების სათანადო ფორმით წარდგენის პრინციპი. ბიურო ასამბლეას მოვალეობების შესრულებაში ეხმარება. იგი წელიწადში, სულ მცირე, ერთხელ მაინც იკრიბება. სასამართლოს პრეზიდენტს, პროკურორსა და რეგისტრატორს კრების მსვლელობაში მონაწილეობის უფლება აქვთ.

განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში, ბიუროს ან წევრ სახელმწიფოთა ერთ მესამედს შეუძლია რიგგარეშე სესიის მოწვევა.

როგორც ასამბლეაში, ისე ბიუროში, გადაწყვეტილებები კონსენსუსით მიიღება. კონსენსუსის მიუღწევლობის შემთხვევაში, ანსეგბით საკითხებზე გადაწყვეტილებები დამსწრეთა და კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით მიიღება, ხოლო, პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილებები დამსწრეთა და კენჭისყრაში მონაწილეთა უბრალო უმრავლესობით მიიღება. გასათვალისწინებელია, რომ კენჭისყრისათვის აუცილებელ კვორუმს შეადგენს წევრ სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა.

საჭიროების შემთხვევაში ასამბლეას დამხმარე ორგანოების შექმნა შეუძლია. მათ შორის ისეთი დამოუკიდებელი საზედამხედველო მექანიზმებისა, როგორებიცაა სასამართლოს საინსპექციო, შეფასებისა და საგამოძიებო ორგანოები.

ზოგადი პრინციპები

რომის დიპლომატიურ კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოები სტატუტის მიერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების კონკრეტიზებას მის ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევენ.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სასამართლო იურისდიქციას ახორციელებს იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებმაც სასამართლოს მიერ განსჯადი დანაშაული ჩადინეს. ეს პირები სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებენ და დაისჯებიან ინდივიდუალურად (მუხლი 25).

სასამართლოს იურისდიქცია არ ვრცელდება სახელმწიფოებზე, ორგანიზაციებზე და სხვა იურიდიულ პირებზე.

სტატუტის თანახმად, სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩამდენი პირი სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს და დაისჯება იმ შემთხვევებში თუ:

- დანაშაულს სჩადის პირადად, სხვა პირთან ერთად ან მისი მეშვეობით, იმისდა მიუხედავად, ეკისრება თუ არა ამ სხვა პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა;
- ხელმძღვანელობს, აქეზებს ან ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას ან დანაშაულის ჩადენის მცდელობას;
- დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით ეხმარება, აქეზებს ან სხვაგვარად უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენას ან მის მცდელობას, დანაშაულის ჩადენისათვის საჭირო საშუალებათა მიწოდების ჩათვლით;
- ნებისმიერი სხვა ხერხით ხელს უწყობს საერთო მიზნით მოქმედ პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას ან ჩადენის მცდელობას. ამგვარი ხელშეწყობა უნდა იყოს განზრახ მიმართული და, ამასთანავე, მიზნად უნდა ისახავდეს ჯგუფის დანაშაულებრივი ამოცანის შესრულებას; აგრეთვე დანაშაულებრივი საქმიანობის შემდგომ გაგრძელებას, როდესაც ამოცანა თუ საქმიანობა უკავშირდება სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენას, ან ხორციელდება იმის წინასწარი შეცნობით, რომ ჯგუფს განზრახული აქვს დანაშაულის ჩადენა;
- გენოციდის დანაშაულის შემთხვევაში, პირდაპირ და საჯაროდ მოუწოდებს სხვებს გენოციდისაკენ;
- საკუთარი მოქმედებით საგულისხმო ნაბიჯებს გადადგამს სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დანაშაულის დასრულება არ მოხერხდება. პირი, რომელიც უარს იტყვის დანაშაულის ჩადენის მცდელობაზე, ან სხვაგვარად შეუშლის ხელს მის დასრულებას, ასევე, თუ იგი სრულად და ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულებრივ განზრახვაზე, ამ სტატუტით დანაშაულის მცდელობისათვის არ დაისჯება.

სასამართლოს იურისდიქცია არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც დანაშაულის საგარეო ჩადენის მომენტისათვის არ იყვნენ 18 წლის ასაკს მიღწეულნი (მუხლი 26).

სტატუტი თანაბრად ვრცელდება ყველა პირზე მისი თანამდებობრივი რანგის მიუხედავად, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის, მთავრობის ან პარლამენტის წევრის, არჩეული ან დანიშნული დელეგატის სამსახურებრივი მდგომარეობა არ წარმოადგენს სტატუტით გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მისი გათავისუფლების ან მისი პასუხისმგებლობის შემსუბუქების საფუძველს. შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული არავითარი იმუნიტეტი ან სპეციალური პროცესუალური წესი ამა თუ იმ პირზე სასამართლოს იურისდიქციის განხორციელებისათვის დაბრკოლება არ არის.

კანონის უზენაესობის ზემოხსენებული პრინციპი სტატუტის 27-ე მუხლშია მოცემული. მეორე მხრივ, მესამე სახელმწიფოთა თანამდებობის პირებს (ოფიციალურ წარმომადგენლებს) გარკვეული იმუნიტეტით შეუძლიათ ისარგებლონ საერთაშორისო სამართლის ფარგლებში (მუხლი 98).

სასამართლოს განსჯადი დანაშაულისათვის, სტატუტით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლების გარდა, სამხედრო მეთაური ან სამხედრო მეთაურის სახით მოქმედი არასამხედრო პირი სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს სასამართლოს განსჯადი დანაშაულისათვის, რომელიც ჩაიდინეს მის ხელმძღვანელობას ან კონტროლს დაქვემდებარებულმა ძალებმა, თუნდაც ცალკეულ შემთხვევაში, რაც გამონეული იყო ძალთა მეთაურის ან მეთაურის სახით მოქმედი პირის არასწორი მართვით ან ხელმძღვანელობით, თუ იმ დროისთვის არსებული გარემო ვითარებიდან, გნებათ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სამხედრო მეთაურმა ან სამხედრო მეთაურის ფუნქციებით აღჭურვილმა არასამხედრო პირმა იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი ძალები ამ კონკრეტულ დანაშაულს სჩადიოდნენ, ან განზრახული ჰქონდათ მისი ჩადენა. სამხედრო მეთაურს ან მსგავს პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაშიც, თუ მან თავისი უფლებამოსილების ფარგლებში არ მიიღო ყველა საჭირო და გონივრული ზომა, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად ან აღსაკვეთად, ან საკითხი კომპეტენტურ ორგანოებს არ გადასცა გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნისათვის.

უფროსა და ხელქვეითს შორის არსებული ისეთი დაქვემდებარებისას, რომელზეც ზემოთ არ გვისაუბრია, უფროსი სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს სასამართლოს განსჯადი დანაშაულისათვის, რომელიც ჩაიდინეს მის უშუალო ხელმძღვანელობას ან კონტროლს

დაქვემდებარებულმა ხელქვეითებმა, ან ცალკეულ შემთხვევაში, მის დაქვემდებარებაში მყოფმა ძალებმა (რაც ამ ხელმძღვანელის მიერ ხელქვეითთა არასწორი მართვით იყო გამოწვეული), თუ:

- უფროსმა იცოდა და შეგნებულად უგულებელყოფდა ინფორმაციას, რომელიც აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ ხელქვეითები სჩადიოდნენ, ან განზრახული ჰქონდათ ამ დანაშაულის ჩადენა.
- დანაშაული მოიცავდა ქმედებებს, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელის კონტროლს ან კომპეტენციას ექვემდებარება.
- უფროსმა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში არ მიიღო ყველა საჭირო და გონივრული ზომა, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად ან აღსაკვეთად, ან აღნიშნული საკითხი არ გადასცა კომპეტენტურ ორგანოს გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნისათვის (მუხლი 28).

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნულ არასამხედრო მეთაურთა პასუხისმგებლობა, სამხედრო მეთაურთა პასუხისმგებლობასთან შედარებით, მსუბუქია.

NULLUM CRIMEN SINE LEGE*

უკანაშურობის, ანუ კანონიერების პრინციპი

ლევალურობის, გნებავთ, კანონიერების პრინციპის მიხედვით, არავინ არ უნდა აგოს პასუხი სისხლის სამართლის წესით იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის მომენტისათვის, სტატუტით გათვალისწინებულ დანაშაულს არ წარმოადგენდა. დანაშაულის განსაზღვრა უნდა დაექვემდებაროს ზუსტ განმარტებას და არ შეიძლება განვრცობილ იქნას ანალოგიით. ორაზროვნების შემთხვევაში, დანაშაულის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ძიებაში მყოფის, განსასჯელის ან მსჯავრდებულის სასარგებლოდ (მუხლი 22). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილი პირი შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ სტატუტის შესაბამისად — *Nulla poena sine lege* — არავითარი სასჯელი კანონის გარეშე (მუხლი 23), ხოლო, თავად გამოყენებადი სასჯელები მოცემულია სტატუტის მე-7 ნაწილში, 77-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენ პირს სასამართლომ შეიძლება შეუფარდოს თავისუფლების აღკვეთა წლების განსაზღვრული რაოდენობით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ წელს, ან შეუფარდოს უვადო თავისუფლების აღკვეთა, როდესაც ეს გამართლებულია დანაშაულის უკიდურესი სიმძიმით და დამნაშავეს ინდივიდუალური გარემოებებით. თავისუფლების აღკვეთასთან ერთად, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ჯარიმა, რომლის ოდენობის დადგენის კრიტერიუმები პროცედურისა და მტკიცების წესებითაა განსაზღვრული. ასევე, ჩადენილი დანაშაულის შედეგად, პირდაპირ ან ირიბად მიღებული მოგების, ქონების და აქტივების კონფისკაცია, *bona fide*** — მესამე პირთა უფლებების დაცვით.

აღსანიშნავია, რომ სტატუტის 24-ე მუხლი ითვალისწინებს კანონის უკუქცევითი ძალის გამოუყენებლობის პრინციპს — *ratione personae*. სტატუტი არ ვრცელდება მის ძალაში შესვლამდე ჩადენილ ქმედებებზე.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე კანონში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში გამოიყენება კანონი, რომელიც ძიებაში მყოფის, განსასჯელის ან მსჯავრდებულისათვის უფრო ხელსაყრელია.

არ გამოიყენება ასევე დანაშაულის ზანდაზმულობის პრინციპი. სტატუტის 29-ე მუხლი იუნწყება: „სასამართლოს განსჯად დანაშაულზე

* არავითარი დანაშაული კანონის გარეშე — ამ პრინციპზეა აგებული აგრეთვე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-11 მუხლი, რომლის თანახმადაც, პირის დამნაშავედ ცნობა არ შეიძლება მის მიერ ჩადენილი ისეთი ქმედებისათვის, რომელიც შიდა-საზღვრის დარღვევით ან საერთაშორისო სამართლის კანონებით ჩადენის მომენტისათვის დანაშაულს არ წარმოადგენს. ანსელმ ფიიერბახის ეს მაქსიმა, საქართველოს კონსტიტუციაში, კერძოდ, 42-ე მუხლის მე-5 პუნქტში აისახება: „არავინ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა“.

** *bona fide* — კეთილსინდისიერი, პატიოსანი.

რომის სტატუტი

არ ვრცელდება ზანდაზმულობის პრინციპი“. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე დებულება, ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე ზანდაზმულობის პრინციპის გამოუყენებლობის შესახებ, 1998 წლის კონვენციის გამოძახილია.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება

რომის სტატუტის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პირმა სისხლის სამართლის წესით პასუხი არ უნდა აგოს, თუ იგი ქმედების ჩადენისას ვერ აცნობიერებს საკუთარი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხისიათს, ან ვერ აკონტროლებს თავის ქმედებას კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სულიერი ავადმყოფობის ან ფსიქიკური მოშლილობის, ასევე, ინტოქსიკაციის გამო. გამონაკლისს წარმოადგენს ნებაყოფლობითი ინტოქსიკაცია, როდესაც პირმა იცოდა, რომ ამის შედეგად მას სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენა შეეძლო, ან მან შეგნებულად უკუუღებულყო ასეთი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა.

გარდა ამისა, პირმა სისხლის სამართლის წესით პასუხი არ უნდა აგოს, თუ იგი ძალის გარდაუვალი და მართლსაწინააღმდეგო გამოყენებისაგან საკუთარი თავის, სხვა პირის, ხოლო ომის დანაშაულის შემთხვევაში, საკუთარი თავის, სხვა პირის ან სამხედრო მისიის შესრულებისათვის აუცილებელი ქონების დასაცავად მოქმედებს. საგულისხმოა, რომ დაცვის საშუალება უნდა შეეფარდებოდეს იმ საფრთხის ხარისხს, რომელიც ემუქრება აღნიშნულ პირს ან სხვა დაცულ პირსა თუ ქონებას.

ამავე მუხლის შესაბამისად, პირის ქმედება, რომელიც საეარაუდოდ სასამართლოს განსჯად დანაშაულს შეადგენს, არ არის მისი სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, თუ ქმედება გამოწვეულია ამ პირის ან სხვა პირის გარდაუვალი სიკვდილის საფრთხის, აგრეთვე სხეულის განგრძობითი ან გარდაუვალი მძიმე დაზიანების საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ამასთან ერთად, თუ ამგვარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად პირი საჭიროებისამებრ და მიზანშეწონილად მოქმედებს იმ პირობით, რომ არა აქვს განზრახული იმაზე მეტი ზიანის მიყენება, რაც საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი. ასეთი საფრთხე შეიძლება მომდინარეობდეს სხვა პირებისაგან, ან გამომწვეული იყოს ამ პირებისაგან დამოუკიდებელი გარემოებებით.

ყურადსაღებია, რომ შეიარაღებულ ძალთა დაცვით ოპერაციებში პირის მონაწილეობა თავისთავად არ წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

სტატუტის 33-ე მუხლის შესაბამისად, პირი არ თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ მან სასამართლოს მიერ

განსჯადი დანაშაული ჩაიდინა მთავრობის ან სამხედრო თუ სამოქალაქო მეთაურის ბრძანების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირი იურიდიულად ვალდებული იყო, შეესრულებინა ასეთი ბრძანება; მან არ იცოდა ბრძანების უკანონოების შესახებ და თავად ბრძანებაც ასევე არ ეწინააღმდეგებოდა კანონს. ნებისმიერი ბრძანება, რომელიც გენოციდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენას ითვალისწინებს, აშკარა უკანონო ქმედებააა მიჩნეული.

ფაქტობრივი ან იურიდიული შეცდომა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამომრიცხავს მოცემული დანაშაულისთვის საჭირო სუბიექტურ მხარეს.

სასამართლოს იურისდიქცია და მისი განხორციელება

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ სტატუტის ძალაში შესვლის შემდეგ ჩადენილ დანაშაულზე (უფლებამოსილება *ratione temporis* (მუხლი 11). სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ იგი უფლებამოსილია, განიხილოს მის მიერ წარმოებაში მიღებული ყოველი საქმე (მუხლი 19). სასამართლო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც დანაშაული იქნა ჩადენილი*, ან სახელმწიფო, რომლის მოქალაქეცაა დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირი, სტატუტის წევრი სახელმწიფოა (მუხლი 12). არსებობს ორი გამოწვევის:

- ამ სახელმწიფოთაგან ერთ-ერთი არ არის რომის სტატუტის მონაწილე, მაგრამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით აღიარებს სასამართლოს იურისდიქციას;
- ამ სახელმწიფოთაგან ერთ-ერთი არ არის რომის სტატუტის მონაწილე, მაგრამ, გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად, უშიშროების საბჭო, კონკრეტული საქმის ვითარებაში გასარკვევად, მასალებს პროკურორს გადასცემს (მუხლი 13).

* საზღვაო ან საჰაერო ხომალდზე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში — ამ ხომალდის რეგისტრაციის სახელმწიფო.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო მოქმედებს, როგორც სპეციალურად შექმნილი ად ჰოც ტრიბუნალი. ამგვარად, სასამართლოს შესაძლებლობა ეძლევა, თავისი იურისდიქცია იმ სახელმწიფოთა მოქალაქეებზე გაავრცელოს, რომლებიც არ არიან სტატუტის წევრი-სახელმწიფოები.

დავატაბითობის, ანუ კომპლიმენტარულობის პრინციპი

რომის სტატუტის პრეამბულის მეათე დანაწესის მიხედვით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო უნდა წარმოადგენდეს შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის იურისდიქციის დამატებას. ეს პრინციპი სტატუტის პირველსავე მუხლშია ასახული; მე-17 მუხლი კი პრინციპის გამოყენების წესს განმარტავს. სასამართლო მოწოდებულია, განახორციელოს თავისი უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, თუ მართლმსაჯულების შიდასახელმწიფოებრივი ორგანოები, სასამართლოს განსჯად დანაშაულთან მიმართებით, მათზე დაკისრებულ მოვალეობებს ვერ ან არ ახორციელებენ. ამგვარად, სრულიად ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ეროვნული სასამართლოების იურისდიქციასთან შედარებით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია პრიორიტეტულია. მით უფრო ზედმეტია სასამართლოს განსაკუთრებულ იურისდიქციაზე საუბარი.

სასამართლოს მიერ დაუშვებელია იმ საქმის წარმოებაში მიღება, რომელსაც სახელმწიფო იძიებს, ან უკვე გამოიძია და კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის არაღძვრის გადანაცვტილება მიიღო. ასევე, თუ ეს პირი უკვე გასამართლებულია იმ ქმედებებისათვის, რომლებიც საქმის აღძვრას უნდა დაედოს საფუძვლად. სასამართლოს მიერ საქმის წარმოებაში მიღება დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისი უმნიშვნელობის გამო, სასამართლოს მხრიდან რაიმე შემდგომი მოქმედება გაუშვებელია.

ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს გარემოება, როდესაც სახელმწიფოს არ სურს, ან არ ძალუძს სათანადოდ განახორციელოს ამა თუ იმ პირის სისხლისსამართლებრივი დევნა. მე-17 მუხლი შეიცავს იმ პირობათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც მოცემულ კონტექსტში სურვილისა და შესაძლებლობის არქონად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

სახელმწიფოს მხრიდან ნების გამოუმჯლავნებლობა თავად სასამართლომ უნდა დაადგინოს. მე-17 მუხლის შესაბამისად, ეროვნულ დონეზე ეს შეიძლება გამოიხატოს სტატუტის განსჯადი დანაშაულისთვის პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დასაცავად წარმოებულ სისხლისსამართლებრივ დევნაში; აგრეთვე შეიძლება გამოიხატოს სამართალწარმოების გაუშვრებლად გაჭიანურებასა და მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების იგნორირებაში.

მე-17 მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ ცალკეულ შემთხვევებში დადგინდეს უუნარობა, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, შეუძლია თუ არა სახელმწიფოს მართლმსაჯულების სისტემის სრული ან არსებითი მოშლის, ან მისი არარსებობის გამო, თავის განკარგულებაში მიიღოს ბრალდებული, საჭირო მტკიცებულება თუ ჩვენება. სასამართლომ უნდა დაადგინოს აგრეთვე ის სხვა მიზეზები, რომელთა გამოც სახელმწიფოს არ შესწევს მართლმსაჯულების განხორციელების უნარი.

დამატებითობის პრინციპი განამტკიცებს სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებას, თავად განახორციელონ იმ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლებმაც, სავარაუდოდ, ჩაიდინეს აგრესიის, გენოციდის, ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

NE BIS IN IDEM *

გარდა სტატუტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაუშვებელია, სასამართლომ გაასამართლოს პირი იმ ქმედებისათვის, რომელიც ქმნიდა იმ დანაშაულის საფუძველს, რომლისთვისაც სასამართლომ დამნაშავედ ცნო ეს პირი ან გაამართლა.

დაუშვებელია, პირი გაასამართლოს სხვა სასამართლომ სტატუტით განსჯადი იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ ეს პირი დამნაშავედ ცნო ან გაამართლა.

დაუშვებელია, რომ სასამართლომ მე-6, მე-7 ან მე-8 მუხლებით აკრძალული ქმედებებისათვის სხვა სასამართლოს მიერ გასამართლებული პირი იმავე ქმედებებისათვის გაასამართლოს, თუ წარმოება სხვა სასამართლოში;

არ ემსახურებოდა სასამართლოს მიერ განსჯადი დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან აღნიშნული პირის დაცვას;

საერთაშორისო სამართლით აღიარებული საპროცესო ნორმების შესაბამისად წარმართა დამოუკიდებლად ან მიუკერძოებლად და ემსახურებოდა კონკრეტული პირის მართლმსაჯულებისათვის გადაცემის მიზანს. (მუხლი 20).

სამართალწარმოება

(გამოძიება 53-61, მუხლები; სასამართლო პროცესი 62-76, მუხლები; აპელაცია 81-85, მუხლები)

გამოძიების ინიცირება

პროკურორი მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის შეფასების საფუძველზე იწყებს გამოძიებას, თუ არ დაადგენს, რომ სტატუტის შესაბამისად, სასამართლო განხილვის დაწყებისათვის საკმარისი საფუძველი არ არსებობს. გამოძიების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა მხედველობაში უნდა მიიღოს, არის თუ არა მის ხელთ არსებული ინფორმაცია საკმარისი იმისათვის, რომ მის საფუძველზე სასამართლოს განსჯადი დანაშაული ჩადენილად ან ჩადენის პროცესში მყოფად იქნეს მიჩნეული. მან ასევე უნდა გაითვალისწინოს სტატუტის მე-17 მუხლით განსაზღვრული, საქმის წარმოებაში მიღების კრიტერიუმები და მართლმსაჯულების ინტერესები. თუ პროკურორი გამოძიების შედეგად გადაწყვეტს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის გასაგრძელებლად სათანადო საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან არ არსებობს საკმარისი სამართლებრივი ან ფაქტობრივი ბაზა დაკავების სანქციის გასაცემად, ან სასამართლოში გამოსაძახებლად, მე-17 მუხლის თანახმად, საქმე წარმოებაში მიღებას არ ექვემდებარება და სისხლისსამართლებრივი დევნა არ ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს, მაშინ ის წინასწარი წარმოების სასამართლო პალატას ამ გადაწყვეტილების მიზეზებს აცნობებს.

ვითარების გადმოძვლაში სახელმწიფოს ან უშიშროების საბჭოს მოთხოვნით, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია, პროკურორს სასამართლო განხილვის შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა მოსთხოვოს. ასევე, წინასწარი წარმოების პალატას რიც შემთხვევებში შეუძლია საკუთარი ინიციატივით განიხილოს პროკურორის ამგვარი გადაწყვეტილება. თავად პროკურორს, ახლად აღმოჩენილი გარემოებების (ფაქტებისა და ინფორმაციის) საფუძველზე, ნებისმიერ დროს შეუძლია გადასინჯოს გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

ჭეშმარიტების დასადგენად პროკურორმა უნდა ჩაატაროს გამოძიება, შეისწავლოს ყველა ფაქტი და მტკიცებულება, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს შეადგენს და თანაბრად უნდა გამოიძიოს გამამართლებელი და გამამტყუნებელი გარემოებები.

სასამართლოს მიერ განსჯადი დანაშაულის ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად პროკურორმა შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს: მან უნდა დაიცვას დაზარალებულთა

* დაუშვებელია ერთი და იმავე დანაშაულისთვის ხელშეკრულად გასამართლება.

და მოწმეთა ინტერესები, უნდა გაითვალისწინოს მათი პირადი გარემო-
ებები (მათ შორის ასაკი, სქესი და ჯანმრთელობა). ასევე, სრულად უნდა
დაიცვას სტატუტით გათვალისწინებული პირთა უფლებები.

55-ე მუხლის შესაბამისად, გამოძიების სტადიაში პირს უფლება აქვს:
არ მისცეს საკუთარი თავის საზიანო ჩვენება, ან არ აღიაროს ბრალი;
არ განხორციელდეს მის მიმართ ნებისმიერი ფორმის ძალადობა, ზეწოლა
ან მისი დაშინება, ნაშემა თუ სხვაგვარი ტანჯვა, მისდამი არაადამიანური
ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელის გამოყენება;
ისარგებლოს პროფესიონალი თარჯიმნის დახმარებით სასამართლოს
ხარჯზე იმ შემთხვევაში, როცა იგი სრულყოფილად არ ფლობს იმ ენას,
რომელზედაც დაკითხვა მიმდინარეობს. თარჯიმანი აუცილებლად
უნდა აკმაყოფილებდეს სამართლიანობის მოთხოვნებს;
არ იქნეს თვითნებურად დაპატიმრებული ან დაკავებული; სტატუტით
გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ უნდა მოხდეს მისი
თავისუფლების აღკვეთა;
დაკითხვამდე ეცნობოს, რომ აქვს დუმილის უფლება და რომ ეს
დუმილი არ მიიღება მხედველობაში მისი ბრალეულობისა თუ
უდანაშაულობის დადგენისას;
ეცნობოს, რომ შეუძლია ისარგებლოს მის მიერ შერჩეული დამცველის
მომსახურებით, ხოლო, გადახდის უუნარობის შემთხვევაში,
მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლია უფასოდ
ისარგებლოს დამცველის მომსახურებით;
დაიკითხოს ადვოკატის თანხლებით.

სტატუტის 56-ე და 59-ე მუხლებში აღწერილია დაპატიმრების
საფუძველი და პროცესუალური წესი. გამოძიების ნებისმიერ სტადიაზე
წინასწარი წარმოების პალატა, პროკურორის განცხადების საფუძველზე,
გასცემს დაკავების ორდერს იმ შემთხვევაში, თუ:

1. პირმა სასამართლოს მიერ განსჯადი დანაშაული ჩაიდინა;
2. დაკავება აუცილებელია სასამართლოზე მისი დასწრების
უზრუნველსაყოფად;
3. დაკავება გამოწვეულია გამოძიებისათვის ან სასამართლო
განხილვისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად;
4. დაკავება განპირობებულია დანაშაულის გავრცელების ან ახალი
დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად.

საქმის წინასწარი წარმოება მთავრდება წინასწარი წარმოების პა-
ლატის საბრალდებო დასკვნით (მუხლი 61), რის შემდეგაც, პრეზიდენტის
მიერ ინიშნება შემდგომი სასამართლო განხილვის ჩატარებაზე პასუხის-
მგებელი სასამართლო პალატის სხდომა.

ძირითადი პრინციპი

რომის დიპლომატიურმა კონფერენციამ დაუშვებლად მიიჩნია პირის
გასამართლება სასამართლო პროცესზე მის დაუსწრებლად in absentia.
სტატუტის 63-ე მუხლის თანახმად ბრალდებული უნდა დაესწროს სასა-
მართლო განხილვას, თუ იგი განუწყვეტლივ არ უშლის ხელს სასამარ-
თლო პროცესის მიმდინარეობას. ზემოხსენებულ შემთხვევაში ბრალ-
დებული შეიძლება გაძევებულ იქნას სასამართლო დარბაზიდან. მას სა-
შუალება მიეცემა, პროცესის მსვლელობას სასამართლო დარბაზს გარე-
დან ადევნოს თვალყური. ამგვარი ზომები გამოწვეულია უკიდურესი
აუცილებლობით – როდესაც ყველა სხვა გონივრული საშუალება ამონე-
რულია. სასამართლო დარბაზიდან ბრალდებულის გაძევება მხოლოდ
ზუსტად დადგენილი ვადითაა შესაძლებელი. სასამართლო წარმოების
პალატის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, სასამართლო პროცესი სამარ-
თლიანად, დროულად და ბრალდებულის უფლებების სრული დაცვით
წარმართოს. ამასთან ერთად, პალატამ სათანადო ყურადღება უნდა მიაქ-
ციოს დაზარალებულთა და მოწმეთა დაცვას (მუხლი 64). სასამართლო
სხდომები საჯაროა, მაგრამ გარკვეული გამონაკლისები აქვს დაიშვება.
ბრალდებულის, დაზარალებულის და მოწმის კონფიდენციალური თუ
პიროვნებისათვის განსაკუთრებულად სათუთი ინფორმაციის დასაცავად
პალატა უფლებამოსილია, სხდომის ნებისმიერი ნაწილი in camera
დახურულად გამოაცხადოს.

ანგლოსაქსურ და კონტინენტურ სამართლებრივ სისტემებს შორის
მიღწეული კომპრომისის ერთ-ერთი მაგალითია სტატუტის 65-ე მუხლი,
რომელიც ითვალისწინებს სამართალწარმოებას ბრალის აღიარებით.
სასამართლო უნდა დარწმუნდეს, აქვს თუ არა შეგნებული ბრალდებულის
ბრალის აღიარების შედეგები, ან, დამცველთან სათანადო კონსულტა-
ციის შემდეგ, იგი ამას ნებაყოფლობით სჩადის თუ არა; დასტურდება თუ
არა ბრალის აღიარება საქმის მასალებით. იმ შემთხვევაში, როდესაც
მართლმსაჯულების, კერძოდ, დაზარალებულთა ინტერესებიდან
გამომდინარე, საჭიროა საქმის გარემოებათა სრული შესწავლა, სასამარ-
თლოს შეუძლია, პროკურორის სთხოვოს დამატებითი მტკიცებულებების
წარმოდგენა, მოწმეთა ჩვენებების ჩათვლით, ან სასამართლო პროცესის
წვეულებისამებრ გავრცელების განკარგულება გასცეს.

უდანაშაულობის პრეზუმფიცია და ბრალდებულის პროცესუალური
უფლებები მოცემულია სტატუტის 66-ე და 67-ე მუხლებში. ბრალდებუ-
ლის ძირითადი პროცესუალური უფლებები ითვალისწინებს მის უფლე-
ბას, დროულად და ზედმიწევნით ეცნობოს ნაყენებული ბრალდების ხასი-
ათი, საფუძველები და შინაარსი. მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება
დაცვის მოსამზადებლად. გასამართლდეს დაუსაბუთებელი დაყოვნების
გარეშე, იყოლიოს ადვოკატი. გამოიძახოს და დაკითხოს მოწმეები
თანასწორუფლებიანობის პრინციპის გათვალისწინებით. ბრალდებული
ვალდებული არ არის, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.

პროკურორი ვალდებულია, დაცვას წარუდგინოს მის ხელთ არსებული მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, ან უნდა ადასტურებდეს ბრალდებულის უდანაშაულობას, მისი ბრალის შემამსუშუქებელ გარემოებას, ასევე იმ გარემოებებს, რომლებიც საეჭვოს ხდიან ბრალდების მტკიცებულებათა უტყუარობას.

დაზარალებულთა და მოწმეთა უსაფრთხოების, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის, ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეშელობის დაცვა სასამართლოს ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა. ამ მოვალეობის განხორციელებისას სასამართლომ ამ პირთა ასაკობრივი, სქესობრივი და ჯანმრთელობის ფაქტორები, ასევე, დანაშაულის ხასიათი უნდა გაითვალისწინოს. ზემოხსენებული ფუნქციის შესრულება არ უნდა ლახავდეს ან ეწინააღმდეგებოდეს ბრალდებულის უფლებებს, სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო წარმოების პრინციპებს (მუხლი 68).

მტკიცებულება

მონმემ პირადად უნდა მისცეს სასამართლოს ჩვენება, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა საფრთხე მის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ღირსებას და პირადი ცხოვრების ხელშეშელობას ემუქრება. სასამართლოს შეუძლია, მტკიცებულებად მიიჩნიოს მონმეთა მიერ წარმოდგენილი *viva voce* (ზეპირი) ჩვენებები აუდიო და ვიდეო ჩანაწერების სახით, ასევე, მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტები, ან ჩანაწერთა ასლები. ჭეშმარიტების დასადგენად, სასამართლო უფლებამოსილია, მოითხოვოს ყველა არსებითი მტკიცებულების წარდგენა. სტატუტის ან ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ გააჩნია.

მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

(მუხლი 70)

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია: ცრუ ჩვენების მიცემა, წინასწარი შეცნობით ცრუ ან ყალბი მტკიცებულების წარდგენა, მონმეზე კორუფციული ზეგავლენა (მონმის მოსყიდვა), პროცესზე მონმის დასწრებისათვის ან მის მიერ ჩვენების მიცემისათვის ხელის შეშლა, მონმეზე შურისძიება, მტკიცებულების განადგურება, სასამართლო მოხელისათვის ხელის შეშლა, მისი დაშინება ან მოსყიდვა.

ამგვარი ქმედებებისათვის სასამართლომ პირი შეიძლება დააჯარიმოს, ან მას 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა შეუფარდოს.

დაზარალებულთათვის ზიანის ანაზღაურება

სასამართლო ადგენს ზიანის ანაზღაურების პრინციპებს იმ დაზარალებულთათვის, რომლებიც რესტიტუციას, კომპენსაციასა და რეაბილიტაციას გულისხმობს. სასამართლოს შეუძლია, უშუალოდ მსჯავრდებულს დააკისროს დაზარალებულთათვის ზიანის ანაზღაურება, მათ შორის რესტიტუციის, კომპენსაციის და რეაბილიტაციის სახით. საჭიროების შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია, მიიღოს დადგენილება სამეურვეო ფონდიდან ზიანის ანაზღაურების შესახებ (მუხლი 75). „სამეურვეო ფონდი დაარსდება სტატუტის წევრ სახელმწიფოთა ასამბლეის გადაწყვეტილებით, ... დაზარალებულთა და მათი ოჯახების სასარგებლოდ“ (მუხლი 79).

აპელაცია

სასამართლო წარმოების პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით პროკურორის ან მსჯავრდებულის მიერ. აპელაციის საფუძველი შეიძლება გახდეს პროცესუალური, ფაქტობრივი ან იურიდიული შეცდომა; ასევე, დანაშაულისა და სასჯელის შეუსაბამობა (მუხლი 81). მსჯავრდებულმა შეიძლება გაასაჩივროს განაჩენი სხვა ნებისმიერი საფუძველით, რომელიც საეჭვოს ხდის სასამართლო წარმოების ან განაჩენის სამართლიანობასა თუ სანდოობას.

82-ე მუხლის თანახმად, საქმეში მონაწილე ორივე მხარეს (მსჯავრდებულსა და პროკურორს) შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება განსჯადობისა და დასაშვებობის შესახებ, გადაწყვეტილება, რომელიც ეხება გამოძიებაში ან სისხლისსამართლებრივ დევნაში მყოფი პირის გათავისუფლება-არგათავისუფლებას*, წინასწარი წარმოების პალატის გადაწყვეტილება, იმოქმედოს საკუთარი ინიციატივით, გადაწყვეტილება, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სასამართლო წარმოების სამართლიან და დროულ ჩატარებაზე ან მის შედეგზე.

დაზარალებულთა წარმომადგენელს, მსჯავრდებულს ან ქონების *bona fide* მესაკუთრეს, შეუძლია გაასაჩივროს დაზარალებულთათვის ზიანის ანაზღაურების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

თუ სააპელაციო პალატა გადაწყვეტს, რომ წინამორბედი სასამართლო განჩილება უსამართლო იყო, რამაც საეჭვო გახადა გადაწყვეტილების ან განაჩენის სანდოობა, ასევე მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება ან განაჩენი წარმოადგენდა ფაქტობრივი, იურიდიული ან პროცესუალური შეცდომის შედეგს, მას შეუძლია:

- გააუქმოს ან შეცვალოს გადაწყვეტილება ან განაჩენი;
- დანიშნოს ახალი სასამართლო განჩილება სხვა სასამართლო პალატის მიერ.

* საუბარია დროებით გათავისუფლებაზე

სააპელაციო პალატას შეუძლია არაპროპორციული სასჯელის შეცვლა (მუხლი 83) და ახლად აღმოჩენილი მტკიცებულების მოპოვება ისევე, როგორც მცდარი, გაყალბებული ან მოტყუების მიზნით შექმნილი არსებითი მტკიცებულების აღმოჩენა შეიძლება გახდეს სააპელაციო პალატის მიერ თავდაპირველი სასამართლო პალატის ხელმოწერად მოწვევის, ახალი სასამართლო პალატის შედგენის, ან საქმეზე თავისი იურისდიქციის შენარჩუნების საფუძველი. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს მოსამართლეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების სერიოზული დარღვევა. ნებისმიერ პირს, რომელიც უკანონო დაპატიმრების ან თავისუფლების აღკვეთის მსხვერპლი გახდა, აქვს კომპენსაციის უფლება.

სასურველია, რომ მოსამართლეებს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი ერთსულოვნად გამოჰქონდეთ. არაერთსულოვნების შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით და უნდა მოიცავდეს უმრავლესობისა და უმცირესობის დასაბუთებულ მოსაზრებებს.

საერთაშორისო თანამშრომლობა და სამართლებრივი დახმარება

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან სახელმწიფოთა თანამშრომლობის საკითხებს სტატუტის მე-9 თავი აწესრიგებს. თანამშრომლობის მექანიზმი, ისევე, როგორც ჩვენ მიერ განხილული სტატუტის სხვა მნიშვნელოვანი დებულებები, საერთაშორისო მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. სტატუტის შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები „ყოველმხრივ თანამშრომლობენ“ სასამართლოსთან დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი წესით დევნის პროცესებში. (მუხლი 88 – ე.წ. ვერტიკალური თანამშრომლობა).

სასამართლო უფლებამოსილია, თანამშრომლობის მოთხოვნით მიმართოს მონაწილე სახელმწიფოს. ამგვარი მოთხოვნები გადაიცემა დიპლომატიური არხებით ან სახელმწიფოთა მიერ განსაზღვრული რომელიმე სხვა სათანადო არხით.

მოთხოვნის ადრესატი სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ მოთხოვნისა და მისი მხარდაჭერი დოკუმენტების კონფიდენციალურობას იმდენად, რამდენადაც ეს მოთხოვნის შესრულებას ესაჭიროება. სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს, რომ ნებისმიერი მიწოდებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნეს დაზარალებულთა, პოტენციურ მონშეთა და მათი ოჯახების უსაფრთხოების, ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვისათვის აუცილებელი პირობების გათვალისწინებით. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სამართალდამცავი ორგანოების მიერ სასამართლოს მოთხოვნების შესრულება, რისთვისაც უნდა გამოიყენონ სახელ-

მნიფოთაშორისი ურთიერთობების მარეგულირებელი პროცედურები. თუ სტატუტის წევრი სახელმწიფო არ ასრულებს სასამართლოს მოთხოვნას თანამშრომლობის შესახებ, რითაც ის ხელს უშლის სასამართლოს თავისი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების შესრულებაში, სასამართლო საქმეს განსახილველად გადასცემს წევრ სახელმწიფოთა ასამბლეას ან უშიშროების საბჭოს. (მუხლი 87 (7)).

რა თქმა უნდა, სასამართლო იმ სახელმწიფოს, რომელიც არ არის სტატუტის წევრი, ვერ დაავალდებულებს მასთან თანამშრომლობას. სასამართლოს შეუძლია, მხოლოდ შესთავაზოს მას სტატუტის მე-9 თავით გათვალისწინებული დახმარების გაწევა *ad hoc* (სპეციალური) შეთანხმების ან სხვაგვარი ხელშეკრულების დადების საფუძველზე (მუხლი 87(5)).

სასამართლოსთან თანამშრომლობის ხელშეწყობელი ან დამამტკიცებელი მიზეზების არსებობისას, სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა მოითხოვოს სასამართლოსთან *inter alia* (მათ შორის) ეს შეიძლება გამოიხატოს მოთხოვნის შესრულებისათვის საჭირო ინფორმაციის უკმარისობაში; გადაცემის მოთხოვნის შემთხვევაში, ძებნილი პირის ადგილსამყოფელის დაუდგენლობის, ან იმ შემთხვევაში, როდესაც დაკავებული პირი არ არის დაკავების ორდერში მინიშნებული პირი; იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ვერ შეასრულებს სასამართლოს მოთხოვნას, სხვა სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების დაურღვევლად (მუხლი 97).

პირის დაპატიმრება და სასამართლოსათვის გადაცემა

სასამართლოს შეუძლია, პირის დაკავებისა და გადაცემის მოთხოვნით მიმართოს ნებისმიერ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც ეს პირი საგარეოდ იმყოფება. წევრმა სახელმწიფოებმა სტატუტის მე-9 თავისა და თავიანთი ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურის თანახმად, უნდა შეასრულონ დაკავებისა და გადაცემის მოთხოვნები (მუხლი 89(1)). სტატუტი ერთმანეთისგან განასხვავებს გადაცემის და ექსტრადიციის ცნებებს. 102-ე მუხლის თანახმად, გადაცემა ნიშნავს სახელმწიფოს მიერ პირის სასამართლოსათვის გადაცემას, ხოლო ექსტრადიცია გულისხმობს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსათვის პირის გადაცემას ხელშეკრულების, კონვენციის ან ეროვნული კანონმდებლობის თანახმად. პირველ შემთხვევაში საუბარი გვაქვს ე.წ. „ვერტიკალურ“ თანამშრომლობაზე. მეორე შემთხვევაში კი ე.წ. „ჰორიზონტალურ“ თანამშრომლობაზე. ეროვნული კანონმდებლობისადმი ნაყენებული მოთხოვნები სასამართლოსათვის პირის გადაცემის შესახებ, უნდა იყოს უფრო მარტივი, ვიდრე ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სა-

ხელმწიფოსათვის პირის ექსტრადიციის მოთხოვნები (მუხლი 91 (2გ)).

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს ძებნილი პირის დაკავება გადაცემის მოთხოვნის წარდგენამდე. ეს მოთხოვნა უნდა გადაიცეს ნებისმიერი საშუალებით, რომელიც შემდგომში იძლევა წერილობითი ჩანაწერის გადაცემის საშუალებას (მუხლი 92). პიროვნების აღწერილობასთან ერთად იგი უნდა შეიცავდეს საქმის გარემოებების მოკლე შინაარსს, ასევე ინფორმაციას დაპატიმრების ბრძანების ან მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის შესახებ. თუ დოკუმენტურად განმტკიცებული ინფორმაცია პირის დაკავების მომენტიდან 60 დღის განმავლობაში არ გაეგზავნება სახელმწიფოს, პირი შეიძლება გათავისუფლდეს პატიმრობიდან (მუხლი 92). სასამართლოსათვის გადაცემული პირი არ უნდა იქნეს დევნილი, დასჯილი ან დაპატიმრებული სისხლისსამართლებრივი წესით, გადაცემამდე ჩადენილი ნებისმიერი ქმედებისათვის, რომელიც არ წარმოადგენს იმ დანაშაულის საფუძველს, რომლისთვისაც იგი იქნა გადაცემული. სასამართლოს შეუძლია, სთხოვოს სახელმწიფოს ამ მოთხოვნაზე უარის თქმა. ასეთ შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილნი არიან, დააკმაყოფილონ სასამართლოს თხოვნა და უნდა ეცადონ მის შესრულებას (მუხლი 101).

თანამშრომლობის სხვა ფორმები

სტატუტის 93-ე მუხლში ჩამოთვლილია სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს თანამშრომლობის ძირითადი ფორმები. ისეთები, როგორიცაა — მონშეთა დაცვა, ჩხრეკა, მტკიცებულებათა შეგროვება, ადგილებისა და ობიექტების (მათ შორის სამარხების) დათვალიერება, დაყადაღება და დახმარების ნებისმიერი სხვა ფორმა, რომელსაც არ კრძალავს მოთხოვნის ადრესატი სახელმწიფოს კანონმდებლობა, სასამართლოს განსჯადი დანაშაულის გამოძიებისა და სამართლებრივი დევნის ხელშეწყობის მიზნით.

სახელმწიფოს შეუძლია, მთლიანად, ან ნაწილობრივ თქვას უარი დახმარების მოთხოვნაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნა ეხება ისეთი დოკუმენტებისა და მტკიცებულებების წარდგენას, რომლებიც გავლენას მოახდენენ ეროვნულ უსაფრთხოებაზე. მოთხოვნები დახმარების შესახებ შესრულდება მოთხოვნის ადრესატი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობა ამას არ კრძალავს — მოთხოვნაში განსაზღვრული წესით.

ეს ის ძირითადი პრინციპებია, რომლებითაც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო ინელმძღვანელებს.

დანაშაულის ელემენტები

განოცდი

(რომის სტატუტის მე-6 მუხლი)

მუხლი 6 (ა)

განოცდი მკვლელობით

ელემენტები

1. ამსრულებელმა მოკლა ერთი ან რამდენიმე პირი;
2. ეს პირი ან პირები მიეკუთვნებოდნენ კონკრეტულ ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფს;
3. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა ამ ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის სრული ან ნაწილობრივი განადგურება;
4. ეს ქმედება განხორციელდა ასეთი ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული ანალოგიური ქცევის აშკარა კონტექსტში, ან ისეთ ქცევას წარმოადგენდა, რომელსაც თავისთავად შეეძლო ამგვარი განადგურება.

მუხლი 6 (ბ)

განოცდი სერიოზული ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენებით.

ელემენტები

1. ამსრულებელმა სერიოზული ფიზიკური, ან ფსიქიკური ზიანი მიაყენა* ერთ ან რამდენიმე პირს;
2. ეს პირი ან პირები მიეკუთვნებოდნენ კონკრეტულ ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფს;
3. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა ამ ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის სრული ან ნაწილობრივი განადგურება;
4. ეს ქმედება განხორციელდა ასეთი ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული ანალოგიური ქცევის აშკარა კონტექსტში, ან ისეთ ქცევას წარმოადგენდა, რომელსაც თავისთავად შეეძლო ამგვარი განადგურება.

* სერიოზული ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენება შეიძლება მოიცავდეს ნამებას, გაუპატიურებას, სექსუალურ ძალადობას ან არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას და სხვა მსგავს ქმედებებს.

მუხლი 6 (c)

გენოციდი ცხოვრების ისეთი პირობების განზრახ შექმნით, რომელიც მიმართულია სრული ან ნაწილობრივი ფიზიკური განადგურებისაკენ

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთ ან რამდენიმე პირს შეუქმნა ცხოვრების გარკვეული პირობები;
2. ეს პირი ან პირები მიეკუთვნებოდნენ კონკრეტულ ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ თუ რელიგიურ ჯგუფს;
3. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა ამ ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის სრული ან ნაწილობრივი განადგურება;
4. ცხოვრების პირობები* გათვლილი იყო ამგვარი ჯგუფის სრული ან ნაწილობრივი ფიზიკური განადგურებისაკენ;
5. ეს ქმედება განხორციელდა ასეთი ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული ანალოგიური ქცევის ამკარა კონტექსტში, ან ისეთ ქცევას წარმოადგენდა, რომელსაც თავისთავად შეეძლო ამგვარი განადგურების გამოწვევა.

მუხლი 6 (d)

გენოციდი შობადობის შესამცირებლად სპეციალური ზომების მიღებით

ელემენტები

1. ამსრულებელმა განსაზღვრული ზომები მიიღო ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ;
2. ეს პირი ან პირები მიეკუთვნებოდნენ კონკრეტულ ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფს;
3. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა ამ ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის სრული ან ნაწილობრივი განადგურება;
4. მიღებული ზომები გათვლილი იყო ამ ჯგუფში შობადობის შესამცირებლად;
5. ეს ქმედება განხორციელდა ასეთი ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული ანალოგიური ქცევის ამკარა კონტექსტში, ან ისეთ ქცევას წარმოადგენდა, რომელსაც თავისთავად შეეძლო ამგვარი განადგურება.

* ტერმინი „ცხოვრების პირობები“ შეიძლება იგულისხმებოდეს არსებობისათვის აუცილებელი რესურსების, სურსათისა და სამედიცინო მომსახურების განზრახ ხელყოფა; აგრეთვე, საცხოვრებელი ადგილებიდან სისტემატურ განდევნა და სხვა ქმედებები.

მუხლი 6 (e)

გენოციდი ბავშვების იძულებითი* გადაადგილებით

ელემენტები

1. ამსრულებელმა იძულებით გადაადგილა ერთი ან რამდენიმე პირი;
2. ეს პირი ან პირები მიეკუთვნებოდნენ კონკრეტულ ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ, ან რელიგიურ ჯგუფს;
3. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა ამ ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის სრული ან ნაწილობრივი განადგურება;
4. გადაადგილება განხორციელდა ადამიანთა ერთი ჯგუფიდან მეორეში;
5. ეს პირი ან პირები არ იყვნენ 18 წლის ასაკს მიღწეულნი;
6. ამსრულებელმა იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, რომ ეს პირი, ან პირები არ იყვნენ 18 წლის ასაკს მიღწეულნი;
7. ეს ქმედება განხორციელდა ასეთი ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული ანალოგიური ქცევის ამკარა კონტექსტში, ან ისეთ ქცევას წარმოადგენდა, რომელსაც თავისთავად შეეძლო ამგვარი განადგურება.

კაცობრიობის წინააღმდეგ
მიმართული დანაშაული
(რომის სტატუტის მე-7 მუხლი)

მუხლი 7(1)(a)

მკვლელობით გამოხატული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა მოკლა ერთი ან რამდენიმე პირი;
2. ქმედება განხორციელდა სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ფარგლებში;

* ტერმინი „იძულებითი“ მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ ძალადობას, არამედ ამგვარი ძალადობის მუქარას, დაშინებას, უხეშ იძულებას, ფსიქოლოგიურ ზეწოლას ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას; აგრეთვე, სხვა მსგავს ქმედებას.

3. ამსრულებელმა იცოდა, რომ ქმედება სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ნაწილს წარმოადგენდა, ან განზრახული ჰქონდა, იგი ამგვარი თავდასხმის ნაწილად ექცია.

მუხლი 7(1)(b)

განადგურებით გამოხატული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა მოკლა ერთი ან რამდენიმე პირი, მათ შორის, ცხოვრების ისეთი პირობების შექმნის მეშვეობით, რომლებიც გათვლილია მოსახლეობის ნაწილის გასანადგურებლად;
2. ქმედება გამოიხატა სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივ განადგურებაში, ან განხორციელდა მის ფარგლებში;
3. ქმედება განხორციელდა სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი, ან სისტემატური თავდასხმების ფარგლებში;
4. ამსრულებელმა იცოდა, რომ ქმედება სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ნაწილს წარმოადგენდა, ან განზრახული ჰქონდა, იგი ამგვარი თავდასხმის ნაწილად ექცია.

მუხლი 7(1)(c)

დამონებით გამოხატული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ განახორციელა შეძენაში, გაყიდვაში, სარგებლობის უფლების გადაცემაში, გაცემაში ან მათთვის თავისუფლების ანალოგიურად აღკვეთაში გამოხატული მესაკუთრის ნებისმიერი ან ყველა უფლება;
2. ქმედება განხორციელდა სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ფარგლებში;
3. ამსრულებელმა იცოდა, რომ ქმედება, სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ნაწილს წარმოადგენდა, ან განზრახული ჰქონდა, იგი ამგვარი თავდასხმის ნაწილად ექცია.

მუხლი 7(1)(d)

მოსახლეობის დეპორტაციით ან იძულებითი გადაადგილებით გამოხატული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა სხვა სახელმწიფოში თუ მხარეში მოახდინა საერთაშორისო სამართლის საფუძვლით დაუშვებელი ერთი ან რამდენიმე პირის დეპორტაცია ან იძულებით გადაადგილება, რაც გამოიხატა მათ გასახლებაში ან სხვა იძულებით ქმედებებში;
2. ეს პირი ან პირები კანონიერად იმყოფებოდნენ იმ რეგიონში, საიდანაც მოხდა მათი დეპორტაცია ან გადაადგილება;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც მონიშნავდა ამგვარი ყოფნის კანონიერებას;
4. ქმედება განხორციელდა სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ფარგლებში;
5. ამსრულებელმა იცოდა, რომ ქმედება სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ნაწილს წარმოადგენდა, ან განზრახული ჰქონდა, იგი ამგვარი თავდასხმის ნაწილად ექცია.

მუხლი 7(1)(e)

დაპატიმრებით ან ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის სხვა უხეში მეთოდების გამოყენებით გამოხატული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა დააპატიმრა ერთი ან რამდენიმე პირი, ან სხვაგვარად უხეშად აღუკვეთა მათ ფიზიკური თავისუფლება;
2. ქმედება, თავისი სიმძიმიდან გამომდინარე, ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლის ძირითად ნორმებს;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ამ ქმედების სიმძიმეზე მიუთითებდა;
4. ქმედება განხორციელდა სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ფარგლებში;
5. ამსრულებელმა იცოდა, რომ ქმედება სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ნაწილს წარმოადგენდა, ან განზრახული ჰქონდა, ის ამგვარი თავდასხმის ნაწილად ექცია.

მუხლი 7(1)(f)

ნამებით გამოხატული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან ტანჯვა მიაყენა ერთ ან რამდენიმე პირს;
2. ეს პირი ან პირები ამსრულებლის პატიმრობაში იმყოფებოდნენ, ან მის კონტროლს ექვემდებარებოდნენ;
3. ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა არ მოიცავდა კანონიერი სანქციებისათვის დამახასიათებელ, მათგან განუყოფელ, ან მათი აღსრულებისას შემთხვევით წარმოშობილ ტკივილსა ან ტანჯვას;
4. ქმედება განხორციელდა სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმების ფარგლებში;
5. ამსრულებელმა იცოდა, რომ ქმედება სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმების ნაწილს წარმოადგენდა, ან განზრახული ჰქონდა, ის ამგვარი თავდასხმის ნაწილად ექცია.

მუხლი 7(1)(g)-1

გაუპატიურებით გამოხატული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ხელყო პირის სხეული ქმედებით, რომელმაც სასჯესო ორგანოს საშუალებით გამოიწვია დაზარალებულის ან ამსრულებლის სხეულის ნებისმიერ ნაწილში, თუნდაც უმნიშვნელო შეღწევა, ან სხეულის ნებისმიერი ნაწილით თუ ნებისმიერი საგნით დაზარალებულის ანალურ ან გენიტალურ ხვრელში შეღწევა;
2. ხელყოფა განხორციელდა ამ პირის ან სხვა პირის მიმართ ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან იძულებით, რაც გამოწვეულია ძალადობის, უხეში იძულების ან პატიმრობის შიშით, ფსიქოლოგიური ზეწოლით ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით თუ იძულებითი გარემოს გამოყენებით; ან ქვეშაორითი ხელყოფა განხორციელდა იმ პირის მიმართ, რომელსაც არ შეეძლო თავისი სურვილის გამოხატვა;

3. ქმედება განხორციელდა სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმების ფარგლებში;
4. ამსრულებელმა იცოდა, რომ ქმედება სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმების ნაწილს წარმოადგენდა, ან განზრახული ჰქონდა, რომ ის ამგვარი თავდასხმის ნაწილად ექცია.

მუხლი 7(1)(g)-2

სექსუალური დამონებით გამოხატული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ განახორციელა შეძენაში, გაყიდვაში, სარგებლობის უფლების გადაცემაში, გაცვლაში ან მათთვის თავისუფლების ანალოგიურად აღკვეთაში გამოხატული მესაკუთრის ნებისმიერი ან ყველა უფლება;
2. ამსრულებელმა ეს პირი ან პირები ჩააბა სექსუალური ხასიათის ერთი ან რამდენიმე ქმედების განხორციელებაში;
3. ქმედება განხორციელდა სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმების ფარგლებში;
4. ამსრულებელმა იცოდა, რომ ქმედება სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმების ნაწილს წარმოადგენდა, ან განზრახული ჰქონდა, რომ ის ამგვარი თავდასხმის ნაწილად ექცია.

მუხლი 7(1)(g)-3

პროსტიტუციის იძულებით გამოხატული, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი ან რამდენიმე პირი აიძულა, მონაწილეობა მიეღო სექსუალური ხასიათის ერთი ან რამდენიმე ქმედების განხორციელებაში, ამ პირის თუ პირების, ან სხვა პირის მიმართ ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით, ან ძალადობის შიშით გამოწვეული იძულებით, უხეში ძალდატანებით, დაკავებით, ფსიქოლოგიური ზეწოლით, ხელისუფლების ბოროტად

გამოყენებით, თუ ძალადობრივი ვითარების გამოყენებით, ან ამგვარი პირის თუ პირების უუნარობით, გამოეხატათ თავიანთი ნამდვილი სურვილი;

2. ამსრულებელმა ან სხვა პირმა, სექსუალური ხასიათის ამგვარი ქმედებების საფასურად, ან მათთან დაკავშირებით, მიიღო ფინანსური თუ სხვაგვარი სარგებელი, ან ელოდა ასეთი სარგებლის მიღებას;
3. ქმედება განხორციელდა სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმების ფარგლებში;
4. ამსრულებელმა იცოდა, რომ ქმედება სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმების ნაწილს წარმოადგენდა, ან განზრახული ჰქონდა, რომ ის, ამგვარი თავდასხმის ნაწილად ექცია.

მუხლი 7(1)(g)-4

იძულებითი დაორსულებით გამოხატული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა დააკავა იძულებით დაორსულებული ერთი ან რამდენიმე ქალი, ნებისმიერი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლის ან საერთაშორისო სამართლის სხვა სერიოზული დარღვევის მიზნით;
2. ქმედება განხორციელდა სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმების ფარგლებში;
3. ამსრულებელმა იცოდა, რომ ქმედება სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმების ნაწილს წარმოადგენდა, ან განზრახული ჰქონდა, რომ ის ამგვარი თავდასხმის ნაწილად ექცია.

მუხლი 7(1)(g)-5

იძულებითი სტერილიზებით გამოხატული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთ ან რამდენიმე პირს წაართვა ბიოლოგიური რეპროდუქციის უნარი;
2. ქმედება გაუმართლებელი იყო ამ პირის ან პირების სამედიცინო თუ სტაციონარული მკურნალობის თვალსაზრისით და არც მათ ნებას გამოეხატა;
3. ქმედება განხორციელდა სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმების ფარგლებში;
4. ამსრულებელმა იცოდა, რომ ქმედება სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმების ნაწილს წარმოადგენდა, ან განზრახული ჰქონდა, რომ ის ამგვარი თავდასხმის ნაწილად ექცია.

მუხლი 7(1)(g)-6

სექსუალური ძალადობით გამოხატული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ განახორციელა სექსუალური ხასიათის ქმედება, ან აიძულა ერთი ან რამდენიმე პირი, ჩაბმულიყვნენ ამგვარ ქმედებათა განხორციელებაში ამ პირის ან პირების, ან სხვა პირის მიმართ ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან იძულებით, რაც გამოწვეული იყო ძალადობის, უხეში იძულების ან პატიმრობის შიშით, ფსიქოლოგიური ზეწოლით ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისა თუ იძულებითი გარემოს, ან ამ პირისა თუ პირების უუნარობით, გამოეხატათ თავიანთი ჭეშმარიტი ნება;
2. ამგვარი ქმედება თავისი სიმძიმით სტატუტის მე-7 მუხლის 1(გ) პუნქტში ჩამოთვლილ დანაშაულთა თანაფარდი იყო;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ქმედების სიმძიმეზე მიუთითებდნენ;
4. ქმედება განხორციელდა სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმების ფარგლებში;

5. ამსრულებელმა იცოდა, რომ ქმედება სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ნაწილს წარმოადგენდა, ან განზრახული ჰქონდა, რომ ის ამგვარი თავდასხმების ნაწილად ექცია.

მუხლი 7(1)(h)

დევნიტ გამოხატული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით, უხეშად ხელყო ერთი ან რამდენიმე პირის ძირითადი უფლებები;
2. ამსრულებელმა ხელყო ეს პირი ან პირები, მათი ჯგუფისადმი თუ ერთობისადმი კუთვნილების მიზეზით; ან ხელყო ეს ჯგუფი ან ერთობა;
3. ამგვარი ხელყოფა ემყარებოდა პოლიტიკურ, რასობრივ, ეროვნულ, ეთნიკურ, კულტურულ, რელიგიურ, სტატუსის მე-7 მუხლის მესამე პუნქტით განმარტებულ გენდერულ, ან საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიარებულ მიუღებელ სხვა საფუძველს;
4. ქმედება განხორციელდა სტატუსის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ნებისმიერ ქმედებასთან, ან სასამართლოს ნებისმიერ დანაშაულთან განსჯად დაკავშირებით;
5. ქმედება განხორციელდა ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ფარგლებში სამოქალაქო მოსახლეობაზე;
6. ამსრულებელმა იცოდა, რომ ქმედება, სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ნაწილს წარმოადგენდა, ან განზრახული ჰქონდა, რომ ის ამგვარი თავდასხმის ნაწილად ექცია.

მუხლი 7(1)(i)

პირთა იძულებითი გაუჩინარებით გამოხატული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა
 - a) დააპატიმრა, დააკავა ან გაიტაცა ერთი ან რამდენიმე პირი; ან
 - b) უარი განაცხადა დაპატიმრების, თავისუფლების აღკვეთისა თუ გატაცების ფაქტის აღიარებაზე, ან ამ პირისა თუ პირების ხვედრის ან ადგილსამყოფელის შემცველი ინფორმაციის შეტყობინებაზე;
2.
 - a) ამგვარ დაპატიმრებას, დაკავებას ან გატაცებას მოჰყვა, ან თან სდევდა ამ პირის თუ პირების თავისუფლების აღკვეთის აღიარებაზე, ან მათი ხვედრისა თუ ადგილსამყოფელის შეტყობინებაზე უარის განცხადება; ან
 - b) უარის განცხადებას ადგილი ჰქონდა თავისუფლების ამგვარი აღკვეთისას ან მის შემდეგ.
3. ამსრულებელი აცნობიერებდა, რომ
 - a) მოვლენების ჩვეული განვითარების შემთხვევაში, უარი მოჰყვებოდა ამ პირის ან პირების დაპატიმრების, დაკავების ან გატაცების ფაქტის აღიარებას, ან მათი ხვედრისა თუ ადგილსამყოფელის შეტყობინებას; ან
 - b) უარის განცხადებას ადგილი ექნებოდა თავისუფლების ამგვარი აღკვეთის შემთხვევაში, ან მის შემდეგ;
4. ამგვარი დაპატიმრება, დაკავება ან გატაცება განხორციელდა სახელმწიფოს ან პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ, ან განხორციელდა მათი ნებართვით, მხარდაჭერითა თუ თანხმობით.
5. ამ პირის, ან პირების თავისუფლების აღკვეთის ფაქტი, ან ინფორმაციის გაცემა მათი ხვედრისა თუ ადგილსამყოფელის შესახებ უარყოფილ იქნა სახელმწიფოს ან პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ, ან მათი ნებართვითა თუ მხარდაჭერით.

6. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა, ამ პირის ან პირებისათვის ხანგრძლივად ჩამოერთმია კანონით გათვალისწინებული დაცვის შესაძლებლობა;
7. ქმედება განხორციელდა ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ფარგლებში სამოქალაქო მოსახლეობაზე.
8. ამსრულებელმა იცოდა, რომ ქმედება სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ნაწილს წარმოადგენდა, ან განზრახული ჰქონდა, ის ამგვარი თავდასხმის ნაწილად ექცია.

მუხლი 7(1)(j)

აპართეიდით გამოსატყუი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ განახორციელა არაადამიანური ქმედება;
2. ამგვარი ქმედება სტატუტის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ ან მათ მსგავს ქმედებას წარმოადგენდა;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ამგვარი ქმედების ხასიათზე მიუთითებდა;
4. ქმედება განხორციელდა ერთი რასობრივი ჯგუფის მიერ სხვა ნებისმიერ რასობრივ ჯგუფზე ან ჯგუფებზე სისტემატური ძალადობისა თუ მასზე ბატონობის ინსტიტუციონალიზებული რეჟიმის კონტექსტში;
5. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა, რომ ამ ქმედებით შეენარჩუნებინა ამგვარი რეჟიმი;
6. ქმედება განხორციელდა სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ფარგლებში;
7. ამსრულებელმა იცოდა, რომ ქმედება სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ნაწილს წარმოადგენდა, ან განზრახული ჰქონდა, რომ ის ამგვარი თავდასხმის ნაწილად ექცია.

მუხლი 7(1)(k)

სხვა არაადამიანური ქმედებებით გამოსატყუი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა არაადამიანური ქმედებით გამოიწვია ადამიანთა ძლიერი ტანჯვა ან ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯამრთელობის სერიოზული დაზიანება;
2. ამგვარი ქმედება თავისი ხასიათით სტატუტის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ნებისმიერი სხვა ქმედების მსგავსი იყო;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ამგვარი ქმედების ხასიათზე* მიუთითებდა;
4. ქმედება განხორციელდა სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ფარგლებში;
5. ამსრულებელმა იცოდა, რომ ქმედება, სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ნაწილს წარმოადგენდა, ან განზრახული ჰქონდა, ის ამგვარი თავდასხმის ნაწილად ექცია.

* ტერმინში „ხასიათი“ იგულისხმება ქმედების შინაარსი და სიმძიმის ხარისხი.

ომის დანაშაული
(რომის სტატუტის მე-8 მუხლი)

მუხლი 8 (2) (a)

მუხლი 8 (1) (a) (I)

განზრახ მკვლელობით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა მოკლა ერთი ან რამდენიმე პირი;
2. ამ პირს ან პირებს ჟენევის 1949 წლის ერთი ან რამდენიმე კონვენცია იცავდა;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ამ დაცვის სტატუსზე მიუთითებდა;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის* კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (a) (II)-1

ნამებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან ტანჯვა მიაყენა ერთ ან რამდენიმე პირს;
2. ამსრულებლის მიერ მიყენებული ტკივილის ან ტანჯვის მიზანი იყო ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, დასჯა, დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი სახის დიკსრიმინაცია;
3. ამ პირს ან პირებს 1949 წლის ჟენევის ერთი ან რამდენიმე კონვენცია იცავდა;
4. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დაცვის ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;

* ტერმინი „საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი“ სამხედრო ოკუპაციას გულისხმობს.

5. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
6. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (a) (II)-2

არაადამიანური მოპყრობით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან ტანჯვა მიაყენა ერთ ან რამდენიმე პირს;
2. ამ პირს ან პირებს, ჟენევის 1949 წლის ერთი ან რამდენიმე კონვენცია იცავდა;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დაცვის ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;
4. ქმედებას ადგილი ჰქონდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (a) (II)-3

ბიოლოგიური ცდების ჩატარებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი ან რამდენიმე პირი დაუქვემდებარა გარკვეულ ბიოლოგიურ ექსპერიმენტს;
2. ექსპერიმენტმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა ამ პირის ან პირების ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობას ან მათ მთლიანობას;
3. ექსპერიმენტი არათერაპიული მიზნით ჩატარდა; ის არ იყო გამართლებული სამედიცინო თვალსაზრისით და არ შედიოდა ამ პირის ან პირების ინტერესებში;

4. ამ პირს ან პირებს ჟენევის 1949 წლის ერთი ან რამდენიმე კონვენცია იცავდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დაცვის ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;
6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
7. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (a) (III)

მძიმე ტანჯვის განზრახ მიყენებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთ ან რამდენიმე პირს მიაყენა ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან ტანჯვა, ან მათი ჯანმრთელობის ძლიერი დაზიანება გამოიწვია;
2. ამ პირს ან პირებს ჟენევის 1949 წლის ერთი ან რამდენიმე კონვენცია იცავდა;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დაცვის ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (a) (IV)

ქონების განადგურებით და მითვისებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა გაანადგურა ან მიითვისა გარკვეული ქონება;
2. ეს განადგურება ან მიითვისება არ იყო გამართლებული სამხედრო აუცილებლობით;

3. განადგურება ან მიითვისება ფართომასშტაბიანი იყო და თვითნებურად განხორციელდა;
4. ამ ქონებას ჟენევის 1949 წლის ერთი ან რამდენიმე კონვენცია იცავდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დაცვის ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;
6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
7. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (a) (V)

მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებში მსახურის იძულებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა მოქმედებით ან მუქარით აიძულა ერთი ან რამდენიმე პირი, მოწინააღმდეგის მიერ თავიანთი სახელმწიფოს ან შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში, ან სხვაგვარად ემსახურათ მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებში;
2. ამ პირს ან პირებს ჟენევის 1949 წლის ერთი ან რამდენიმე კონვენცია იცავდა;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დაცვის ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (a) (VI)

სამართლიანი სამართალწარმოების უფლების ჩამორთმევით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა სამართლებრივი გარანტიების შეჩერებით ერთ ან რამდენიმე პირს ჩამოართვა ნორმალური და სამართლიანი სამართალწარმოების უფლება, როგორც ეს კერძოდ არის განსაზღვრული ჟენევის 1949 წლის III და IV კონვენციებით;
2. ამ პირს ან პირებს 1949 წლის ჟენევის ერთი ან რამდენიმე კონვენცია იცავდა;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დაცვის ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (a) (VII)-1

უკანონო დეპორტაციით ან გადაადგილებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი ან რამდენიმე პირი გადაადგილა სხვა ადგილას, ან მოახდინა სხვა სახელმწიფოში მათი დეპორტაცია;
2. ამ პირს ან პირებს ჟენევის 1949 წლის ერთი ან რამდენიმე კონვენცია იცავდა;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დაცვის ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (a) (VII)-2

თავისუფლების უკანონო აღკვეთით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა გარკვეულ ადგილას ერთ ან რამდენიმე პირს აღუკვეთა თავისუფლება, ან განაგრძობდა მათთვის თავისუფლების აღკვეთას;
2. ამ პირს ან პირებს ჟენევის 1949 წლის ერთი ან რამდენიმე კონვენცია იცავდა;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დაცვის ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (a) (VIII)

მძევლების აყვანით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა შეიპყრო, დააკავა ან სხვაგვარად აიყვანა მძევლად ერთი ან რამდენიმე პირი;
2. ამსრულებელი მოკვლით ან დასახიჩრებით ემუქრებოდა ამ პირს ან პირებს, ან განაგრძობდა მათ დაკავებას;
3. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა, იძულებული გაეხადა სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია, ფიზიკური ან იურიდიული პირი ან პირთა ჯგუფი, ემოქმედათ ან თავი შეეკავებინათ მოქმედებისაგან, რაც ამ პირის ან პირების გათავისუფლების ან მათი უსაფრთხოების პირდაპირ ან ირიბად გამოსატულ პირობას წარმოადგენდა;
4. ამ პირს, ან პირებს ჟენევის 1949 წლის ერთი ან რამდენიმე კონვენცია იცავდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დაცვის ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;
1. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;

2. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b)

მუხლი 8 (2) (b) (I)

სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა განახორციელა თავდასხმა;
2. თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობა ან ცალკეული სამოქალაქო პირები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში;
3. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა, თავდასხმის ობიექტად ექცია სამოქალაქო მოსახლეობა ან ცალკეული სამოქალაქო პირები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (II)

სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა განახორციელა თავდასხმა;
2. თავდასხმის ობიექტს სამოქალაქო ობიექტები, ანუ არასამხედრო სამიზნეები წარმოადგენდა;
3. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა, თავდასხმის ობიექტად ექცია ამგვარი სამოქალაქო ობიექტები;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს,

რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (III)

ჰუმანიტარული დახმარების ან სამშვიდობო მისიების პერსონალზე ან ობიექტებზე თავდასხმით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა განახორციელა თავდასხმა;
2. თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდა ჰუმანიტარული დახმარების ან სამშვიდობო მისიების პერსონალი, ნაგებობები, მასალები, ერთეულები ან სატრანსპორტო საშუალებები, გაეროს წესდების შესაბამისად;
3. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა, თავდასხმის ობიექტად ექცია ამგვარი პერსონალი, ნაგებობები, მასალები, ერთეულები ან სატრანსპორტო საშუალებები;
4. ამგვარ პერსონალს, ნაგებობებს, მასალებს, ერთეულებს ან სატრანსპორტო საშუალებებს მინიჭებული ჰქონდათ სამოქალაქო პირების ან ობიექტებისათვის შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობის უფლება;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დაცვის ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;
1. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
2. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (IV)

შემთხვევითი დაღუპვის, დაშავების ან დაზიანების გამომწვევი შეგნებული შეტევით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა განახორციელა თავდასხმა;
2. თავდასხმამ გამოიწვია სამოქალაქო პირთა შემთხვევით დაღუპვა ან დაშავება, ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანება;

ასევე, გამოიწვია გარემოს ფართომასშტაბიანი, ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი დაზიანება, რომელიც აშკარად აღემატებოდა სრული სამხედრო უპირატესობის შემთხვევაში მოსალოდნელ კონკრეტულ და უშუალო შედეგებს;

3. ამსრულებელმა იცოდა, რომ თავდასხმა გამოიწვევდა სამოქალაქო პირთა შემთხვევით დაღუპვას ან დაშავებას, ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანებას; ასევე, გამოიწვევდა გარემოს ფართომასშტაბიან, ხანგრძლივ და მნიშვნელოვან დაზიანებას, რომელიც აშკარად აღემატება კონკრეტულ და პირდაპირ სრული სამხედრო უპირატესობის შემთხვევაში მოსალოდნელ კონკრეტულ და უშუალო შედეგებს.
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (V)

დაუცველ ადგილებზე თავდასხმით გამოსატყუი ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელი თავს დაესხა ერთ ან რამდენიმე ქალაქს, სოფელს, საცხოვრებელს ან შენობას;
2. ამგვარი ქალაქები, სოფლები, საცხოვრებლები ან შენობები წინააღმდეგობის გარეშე იყო გახსნილი ოკუპაციისათვის;
3. ამგვარი ქალაქები, სოფლები, საცხოვრებლები ან შენობები არ წარმოადგენდა სამხედრო სამიზნეებს;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (VI)

HORS DE COMBAT-ის მოკვლით ან დაჭრით გამოსატყუი ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი ან მეტი პირი მოკლა ან დაჭრა;
2. ეს პირი ან პირები იყვნენ hors de combat;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ამ სტატუსზე მიუთითებდა;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (VII)-1

პარლამენტიორის დროშის ბოროტად გამოყენებით გამოსატყუი ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა გამოიყენა პარლამენტიორის დროშა;
2. ამსრულებელმა იგი მოლაპარაკების წარმოების მოჩვენებითი განზრახვის შესანიშნავად გამოიყენა;
3. ამსრულებელმა იცოდა, ან უნდა სცოდნოდა დროშის ამგვარი გამოყენების უკანონობის შესახებ;
4. ქმედებამ სიკვდილი ან სერიოზული დასახიჩრება გამოიწვია;
5. ამსრულებელმა იცოდა, რომ ამ ქმედებას შეეძლო, სიკვდილი ან სერიოზული დასახიჩრება გამოეწვია;
6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
7. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (VII)-2

მონინალმდგის დროშის, სამხედრო ნიშნების (ემბლემების) ან უნიფორმის ბოროტად გამოყენებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა გამოიყენა მონინალმდგის დროშა, ემბლემა ან ფორმა;
2. თავდასხმისას ამსრულებელმა ისინი შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის დარღვევით გამოიყენა;
3. ამსრულებელმა იცოდა, ან უნდა სცოდნოდა ამგვარი გამოყენების უკანონობის შესახებ;
4. ქმედებამ სიკვდილი ან სერიოზული დასახიჩრება გამოიწვია;
5. ამსრულებელმა იცოდა, რომ ამ ქმედებას შეეძლო სიკვდილი ან სერიოზული დასახიჩრება გამოეწვია;
6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
7. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (VII)-3

გაეროს დროშის, ემბლემის ან უნიფორმის ბოროტად გამოყენებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა გამოიყენა გაეროს დროშა, ემბლემა ან უნიფორმა;
2. ამსრულებელმა ისინი შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის დარღვევით გამოიყენა;
3. ამსრულებელმა იცოდა ამგვარი გამოყენების უკანონობის შესახებ;
4. ქმედებამ სიკვდილი ან სერიოზული დასახიჩრება გამოიწვია;
5. ამსრულებელმა იცოდა, რომ ამ ქმედებას შეეძლო სიკვდილი ან სერიოზული დასახიჩრება გამოეწვია;
6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;

7. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (VII)-4

ჟენევის კონვენციებით დაცული განმასხვავებელი ნიშნების ბოროტად გამოყენებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა გამოიყენა ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებული განმასხვავებელი ნიშნები;
2. ამსრულებელმა შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის დარღვევით ისინი უშუალოდ ბრძოლისათვის გამოიყენა;
3. ამსრულებელმა იცოდა, ან უნდა სცოდნოდა ამგვარი გამოყენების უკანონობის შესახებ;
4. ქმედებამ სიკვდილი ან სერიოზული დასახიჩრება გამოიწვია;
5. ამსრულებელმა იცოდა, რომ ამ ქმედებას შეეძლო სიკვდილი ან სერიოზული დასახიჩრება გამოეწვია;
6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
7. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (VIII)

დამპყრობელი სახელმწიფოს მიერ საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილების ოკუპირებულ ტერიტორიაზე პირდაპირი ან ირიბი გადაყვანით, ან ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებშივე, ან მის ფარგლებს გარეთ, მთელი მოსახლეობის ან მოსახლეობის ნაწილის დეპორტაციით ან გადაადგილებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა
 - a) პირდაპირ, ან ირიბად გადაადგილა თავისი მოსახლეობის ნაწილი იმ ტერიტორიაზე, რომლის ოკუპირებასაც იგი ახდენს; ან
 - b) ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებშივე ან მის ფარგლებს გარეთ გადაადგილა იქ მცხოვრები მთელი მოსახლეობა ან მისი ნაწილი, ან მოახდინა მათი დეპორტაცია;
2. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (IX)

დაცულ ობიექტებზე თავდასხმით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა განახორციელა თავდასხმა;
2. თავდასხმის ობიექტი იყო რელიგიური, საგანმანათლებლო, ხელოვნების, სამეცნიერო ან საქველმოქმედო მიზნებისათვის განკუთვნილი ერთი ან რამდენიმე შენობა, ისტორიული მონუმენტი, ჰოსპიტლები ან ავადმყოფთა და დაჭრილთა განთავსების ადგილები, რომლებიც არ წარმოადგენდნენ სამხედრო სამიზნეებს;
3. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა თავდასხმის ობიექტად ექცია რელიგიური, საგანმანათლებლო, ხელოვნების, სამეცნიერო ან საქველმოქმედო მიზნებისათვის განკუთვნილი ერთი ან რამდენიმე შენობა, ისტორიული მონუმენტი, ჰოსპიტლები ან ავადმყოფთა და დაჭრილთა განთავსების ადგილები, რომლებიც არ წარმოადგენდნენ სამხედრო სამიზნეებს;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (X)-1

დასახიჩრებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა სამუდამო დამახინჯებით ან სამუდამო დახეიბრებით ან რომელიმე ორგანოს ან დანამატის ამორთმევით დაასახიჩრა ერთი ან რამდენიმე პირი;
2. ქმედებამ გამოიწვია ამ პირის ან პირების სიკვდილი; ან სერიოზული საფრთხე შეუქმნა მათ ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობას;
3. ქმედება გაუმართლებელი იყო სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სტაციონარული თვალსაზრისით, ან არ შეესაბამებოდა ამ პირის ან პირების ინტერესებს;
4. ეს პირი ან პირები მოწინააღმდეგის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ;
5. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
6. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (X)-2

სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთ ან რამდენიმე პირზე ჩაატარა სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტი;
2. ექსპერიმენტმა ამ პირის ან პირების სიკვდილი გამოიწვია; ან სერიოზული საფრთხე შეუქმნა მათ ფიზიკურ ჯანმრთელობას თუ მთლიანობას;
3. ქმედება გაუმართლებელი იყო სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სტაციონარული მკურნალობის თვალსაზრისით; ან არ შედიოდა ამ პირის ან პირების ინტერესებში;
4. ეს პირი ან პირები მოწინააღმდეგის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ;
5. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;

6. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მოწმობდნენ.

მუხლი 8 (2) (b) (XI)

ვერაგულად მოკვლით ან დაჭრით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი, ან რამდენიმე პირის ნდობა მოიპოვა; და-არწმუნა, რომ ისინი შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლით დაცვის უფლებით სარგებლობენ, ან აქვთ ამგვარი დაცვის უფლების მინიჭების ვალდებულება;
2. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა, გაეცრუებინა ამგვარი ნდობა;
3. ამსრულებელმა მოკლა ან დააზიანა ეს პირი ან პირები;
4. ამსრულებელმა ამ პირის ან პირების მოსაკლავად ან დასაზიანებლად გამოიყენა ამგვარი ნდობა;
5. ეს პირი ან პირები მოწინააღმდეგე მხარეს განეკუთვნებოდნენ;
6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
7. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (XII)

შენწყალებაზე უარის თქმის განცხადებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა განაცხადა, რომ ცოცხლად არავის დატოვებდნენ; ან გასცა ბრძანება, რომ ცოცხლად არავინ დაეტოვებინათ;
2. ამგვარი განცხადება ან ბრძანება მიზნად ისახავდა მოწინააღმდეგის დაშინებას ან სამხედრო მოქმედებების იმგვარად წარმოებას, რომ არავინ გადარჩენილიყო;
3. ამსრულებელი ეფექტურად ხელმძღვანელობდა ან აკონტრო-

- ლებდა მისდამი დაქვემდებარებულ იმ ძალებს, რომელთათვისაც ეს განცხადება ან ბრძანება იყო განკუთვნილი;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (XIII)

მოწინააღმდეგის ქონების განადგურებით ან მიტაცებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა გაანადგურა ან მიიტაცა გარკვეული ქონება;
2. ამგვარი ქონება მოწინააღმდეგის საკუთრებას წარმოადგენდა;
3. ამგვარ ქონებას განადგურების ან მიტაცებისაგან შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართალი იცავდა;
1. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც ამგვარი დაცვის სტატუსზე მიუთითებდა;
2. განადგურება ან მიტაცება არ იყო განპირობებული სამხედრო აუცილებლობით;
3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
4. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (XIV)

მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეთათვის უფლებების ან სასამართლოსათვის მიმართვის საშუალებების ჩამორთმევით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა უზრუნველყო სასამართლოში გარკვეული უფლებების ან სარჩელების გაუქმება, შეჩერება ან დაუშვებლად გამოცხადება;

2. გაუქმება, შეჩერება ან დაუშვებლობა მონინალმდეგე მხარის მოქალაქეებზე ვრცელდებოდა;
3. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა, გაუქმება, შეჩერება ან დაუშვებლად გამოცხადება მონინალმდეგე მხარის მოქალაქეებზე გაევრცელებინა;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მოწმობდნენ.

მუხლი 8 (2) (b) (XV)

საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღების იძულებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა მოქმედებით ან მუქარით აიძულა ერთი ან რამდენიმე პირი, მონაწილეობა მიეღოთ საკუთარი სახელმწიფოს ან შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში;
2. ეს პირი ან პირები მონინალმდეგე მხარის მოქალაქეები იყვნენ;
3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
4. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (XVI)

გაძარცვით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა მიითვისა გარკვეული ქონება;
2. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა, მესაკუთრისათვის წაერთმია მისი ქონება და იგი პირადი ან კერძო გამოყენებისათვის მიეთვისებინა;
3. მიითვისება მესაკუთრის თანხმობის გარეშე მოხდა;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (XVII)

სანამძღვრის ან მონამღვრის იარაღის გამოყენებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა გამოიყენა მასალა ან იარაღი, რომლის გამოყენებაც მომწამვლელ ნივთიერებას გამოუშვებს;
2. ეს იმგვარი ნივთიერება იყო, რომელიც მოვლენების ჩვეული განვითარების შემთხვევაში თავისი ტოქსიკური თვისებებით ინვესს სიკვდილს ან ჯანმრთელობის სერიოზულ შეწყვეტას;
3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
4. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (XVIII)

აკრძალული გაზების, სითხეების, ნივთიერებების ან სხვა საშუალებების გამოყენებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა გამოიყენა გაზი ან სხვა ანალოგიური ნივთიერება ან საშუალება;
2. ეს იმგვარი გაზი, ნივთიერება ან საშუალება იყო, რომელიც მოვლენების ჩვეული განვითარების შემთხვევაში, თავისი ტოქსიკური ან მზუთავი თვისებებით ინვესს სიკვდილს ან ჯანმრთელობის სერიოზულ შეწყვეტას;
3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
4. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (XIX)

აკრძალული ტყვიების გამოყენებით გამოხატული ომის დანაშაული
ელემენტები

1. ამსრულებელმა გამოიყენა განსაზღვრული ტყვიები;
2. ტყვიები შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლით იყო აკრძალული, ვინაიდან ადამიანის სხეულში ისინი ადვილად იშლება ან ფეთქდება;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა, რომ ამგვარი ხასიათის ტყვიების გამოყენება გამოიწვევდა ტანჯვის ან ჭრილობის უსარგებლოდ გამწვავებას;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (XX)

რომის სტატუტის დანართში შეტანილი საბრძოლო იარაღის, ტყვიანამლის, ნივთიერებების ან ბრძოლის მეთოდების გამოყენებით გამოხატული ომის დანაშაული

ამ დანაშაულის ელემენტების ჩამოყალიბება აღნიშნული საშუალებების სტატუტის დანართში შეტანის შემდეგ მოხდება.

მუხლი 8 (2) (b) (XXI)

პირადი ღირსების შელახვით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა დაამცირა, შეურაცხყო ან სხვაგვარად შელახა ერთი ან რამდენიმე პირის ღირსება*.

* ამ კონკრეტული დანაშაულის ელემენტებში, ტერმინი „პირები“ შეიძლება გულისხმობდეს გარდაცვლილ პირებსაც, უფრო სწორად, მათ ცხედრებს.

2. დამცირების, შეურაცხყოფის ან ღირსების სხვაგვარად შელახვის სისასტიკის ხარისხი საზოგადოდ იყო აღიარებული პირადი ღირსების დაკნინებად;
3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
4. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (XXII)-1

გაუპატიურებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ხელყო პირის სხეული იმგვარი ქმედებით, რომელმაც გამოიწვია სასქესო ორგანოს საშუალებით დაზარალებულის ან ამსრულებლის სხეულის ნებისმიერ ნაწილში თუნდაც უმნიშვნელო შეღწევა, ან სხეულის ნებისმიერი ნაწილით ან ნებისმიერი საგნით დაზარალებულის ანაღურ ან გენიტალიურ ხვრელში შეღწევა;
2. ხელყოფა განხორციელდა ამ პირის, ან სხვა პირის მიმართ ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან იძულებით, რომლებიც გამოწვეულია ძალადობის, უხეში იძულების ან დაპატიმრების შიშით, ფსიქოლოგიური ზეწოლით; ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით, ან იძულებითი გარემოს გამოყენებით; ან ხელყოფა განხორციელდა იმ პირის მიმართ, რომელსაც არ ჰქონდა თავისი ქვეშევრდები სურვილის გამოხატვის უნარი;
3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
4. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (XXII)-2

სექსუალური დამონებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ განახორციელა შეძენაში, გაყიდვაში, სარგებლობის უფლების გადაცემაში, გაცემაში ან მათთვის თავისუფლების ანალოგიურად აღკვეთაში გამოხატული მესაკუთრის ნებისმიერი ან ყველა უფლება;
2. ამსრულებელმა ეს პირი ან პირები ჩააბა სექსუალური ხასიათის ერთი ან რამდენიმე ქმედების განხორციელებაში;
3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
4. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (XXII)-3

პროსტიტუციის იძულებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი ან რამდენიმე პირი აიძულა, მონაწილეობა მიეღო სექსუალური ხასიათის ერთი ან რამდენიმე ქმედების განხორციელებაში, ამ პირის ან პირების, ან სხვა პირის მიმართ ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან იძულებით, რომლებიც გამოწვეულია ძალადობის, უხეში იძულების ან პატიმრობის შიშით, ფსიქოლოგიური ზეწოლით ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით; ან თუნდაც იძულებითი გარემოს გამოყენებით, ან ამგვარი პირის ან პირების უუნარობით, გამოეხატათ თავიანთი ჭეშმარიტი სურვილი;
2. ამსრულებელმა ან სხვა პირმა, სექსუალური ხასიათის ამგვარი ქმედებების საფასურად, ან მათთან დაკავშირებით მიიღო ფინანსური თუ სხვაგვარი სარგებელი, ან ელოდა ასეთი სარგებლის მიღებას;
3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული

4. კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა; ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (b) (XXII)-4

იძულებით დაორსულებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა დააკავა იძულებით დაორსულებული ერთი ან რამდენიმე ქალი, ნებისმიერი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლის ან საერთაშორისო სამართლის სხვა სერიოზული დარღვევის მიზნით;
2. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(b)(XXII)-5

იძულებითი სტერილიზებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი ან რამდენიმე პირს წაართვა ბიოლოგიური რეპროდუქციის უნარი;
2. ქმედება არ იყო გამართლებული ამ პირის ან პირების სამედიცინო თუ სტაციონარული მკურნალობის თვალსაზრისით და არც მათი თანხმობით განხორციელდა;
3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
4. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(b)(XXII)-6

სექსუალური ძალადობით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ განახორციელა სექსუალური ხასიათის ქმედება, ან აიძულა ერთი ან რამდენიმე პირი, ჩაბმულიყვნენ ამგვარ ქმედებათა განხორციელებაში ამ პირის ან პირების, ან სხვა პირის მიმართ ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან იძულებით, რომლებიც გამოწვეულია ძალადობის, უხეში იძულების ან პატიმრობის შიშით, ფსიქოლოგიური ზეწოლით ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით, ან იძულებითი გარემოს გამოყენებით, ან ამ პირისა თუ პირების უუნარობით – გამოეხატათ თავიანთი ნამდვილი სურვილი;
2. ეს ქმედება თავისი სიმძიმით შენევის კონვენციების სერიოზული დარღვევის თანაფარდი იყო;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ქმედების სიმძიმეზე მიუთითებდა;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(b)(XXIII)

დაცული პირების ფარად გამოყენებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა გადაადგილა შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლით დაცული ერთი ან რამდენიმე პირი ან სხვა პირები, ან სხვაგვარად ისარგებლა მათი ადგილსამყოფელით;
2. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა, თავდასხმისაგან დაეცვა ან დაეფარა სამხედრო ობიექტი; ხელი შეეწყო ან დაეხმარებინა სამხედრო ოპერაციები;
3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;

4. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(b)(XXIV)

შენევის კონვენციებით განსაზღვრული განმასხვავებელი ნიშნებით მოსარგებლე პერსონალზე ან შენობებზე თავდასხმით გამოხატული ომის დანაშაული.

ელემენტები

1. ამსრულებელი თავს დაესხა ერთ ან რამდენიმე პირს, შენობას, სამედიცინო ერთეულს, ან ტრანსპორტს ან სხვა ობიექტს, რომლებიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად სარგებლობდნენ განმასხვავებელი ნიშნებით ან იდენტიფიკაციის სხვა საშუალებებით, რომლებიც შენევის კონვენციებით გათვალისწინებულ დაცვაზე მიუთითებდა;
2. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა ამგვარი განმასხვავებელი ნიშნით მოსარგებლე პირები, შენობები, ერთეულები, ტრანსპორტი თუ სხვა ობიექტები თავდასხმის მიზნებად ექცია;
3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
4. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(b)(XXV)

ომის წარმოების მეთოდად შიმშილის გამოყენებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა სამოქალაქო პირებს ჩამოართვა მათი არსებობისათვის აუცილებელი სასიცოხლო მნიშვნელობის საგნები;
2. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა ომის წარმოების მეთოდად სამოქალაქო პირთა შიმშილი გამოეწვია;
3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
4. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(b)(XXVI)

შეიარაღებულ ძალებში ბავშვების განწევით, განაწილებით ან გამოყენებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი ან რამდენიმე პირი გაიწვია, ან გაანაწილა ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში, ან გამოიყენა ისინი საბრძოლო მოქმედებებში უშუალო მონაწილეობისათვის;
2. ეს პირი ან პირები 15 წლამდე ასაკისანი იყვნენ;
3. ამსრულებელმა იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, რომ ეს პირი ან პირები 15 წლამდე ასაკისანი იყვნენ;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(c)

მუხლი 8(2)(c)(I)-1

მკვლევრობით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა მოკლა ერთი ან რამდენიმე პირი;
2. ეს პირი ან პირები იყვნენ hors de combat, ან სამოქალაქო პირები, სამედიცინო ან რელიგიური პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(c)(I)-2

დასახიჩრებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა სამუდამო დამახინჯებით ან სამუდამო გახეიბრებით, ან რომელიმე ორგანოს თუ დანაშაულის ამორთმევით დაასახიჩრა ერთი ან რამდენიმე პირი;
2. ქმედება გაუმართლებელი იყო სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სტაციონარული თვალსაზრისით, ან არ შეესაბამებოდა ამ პირის ან პირების ინტერესებს;
3. ეს პირი ან პირები იყვნენ ჰორს დე ცომბატ ან სამოქალაქო პირები, სამედიცინო ან რელიგიური პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში;
4. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;
5. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
6. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(c)(I)-3

არაადამიანური მოპყრობით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან ტანჯვა მიაყენა ერთ ან რამდენიმე პირს;
2. ეს პირი ან პირები იყვნენ hors de combat ან სამოქალაქო პირები, სამედიცინო თუ რელიგიური პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად არ მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;

5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(I)-4

ნამებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილი ან ტანჯვა მიაყენა ერთ ან რამდენიმე პირს;
2. ამსრულებლის მიერ ტკივილის ან ტანჯვის მიყენების მიზანი იყო ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, დასჯა, დაშინება ან იძულება; ან ნებისმიერი სახის დისკრიმინაციული მიზანი.
3. ეს პირი ან პირები იყვნენ hors de combat ან სამოქალაქო პირები, სამედიცინო ან რელიგიური პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში;
4. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;
5. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
6. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(c)(II)

პირადი ღირსების შელახვით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა დაამცირა, შეურაცხყო ან სხვაგვარად შელახა ერთი ან რამდენიმე პირის ღირსება;
2. დამცირების, შეურაცხყოფის ან ღირსების სხვაგვარად შელახვის სისასტიკის ხარისხი საზოგადოდ აღიარებული იყო პირადი ღირსების შელახვად;
3. ეს პირი ან პირები იყვნენ hors de combat ან სამოქალაქო პირები, სამედიცინო ან რელიგიური პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობდნენ საბრძოლო

- მოქმედებებში;
4. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;
5. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
6. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(c)(III)

მძევლების აყვანით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა შეიპყრო, დააკავა ან სხვაგვარად აიყვანა მძევლად ერთი ან რამდენიმე პირი;
2. ამსრულებელი მოკვლით ან დასახიჩრებით ემუქრებოდა ამ პირს ან პირებს, ან განაგრძობდა მათ დაკავებას;
3. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა, იძულებული გაეხადა სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია, ფიზიკური თუ იურიდიული პირი ან პირთა ჯგუფი, ემოქმედათ, ან თავი შეეკავებინათ მოქმედებისაგან, რაც ამ პირის ან პირების გათავისუფლების, ან მათი უსაფრთხოების პირდაპირ ან ირიბად გამოხატულ პირობას წარმოადგენდა;
4. ეს პირი ან პირები იყვნენ hors de combat ან სამოქალაქო პირები, სამედიცინო ან რელიგიური პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;
6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
7. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(c)(IV)

სამართლიანი სამართალწარმოების გარეშე სასამართლო განაჩენის გამოტანით ან მისი აღსრულებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთ ან რამდენიმე პირს გამოუტანა განაჩენი, ან აღასრულა იგი;
2. ეს პირი ან პირები იყვნენ hors de combat ან სამოქალაქო პირები, სამედიცინო ან რელიგიური პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში;
3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ამგვარ სტატუსზე მიუთითებდა;
4. არ არსებობდა სასამართლოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილება, ან გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო არ იყო შექმნილი „დადგენილი წესით“, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის არსებით გარანტიებს არ უზრუნველყოფდა, ან გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო არ უზრუნველყოფდა საერთაშორისო სამართლით ხელშეუხებლად, საზოგადოდ აღიარებულ ყველა სხვა სამართლებრივ გარანტიას.
5. ამსრულებელი აცნობიერებდა წინასწარი გადაწყვეტილების უქონლობის ფაქტს, ან სამართლიანი სასამართლო წარმოებისათვის აუცილებელი ან არსებითი გარანტიების „უარყოფის ფაქტს“.
6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
7. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(e)

მუხლი 8(2)(e)(I)

სამოქალაქო პირებზე თავდასხმით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა განახორციელა თავდასხმა;
2. თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდა სამოქალაქო მოსახლეობა, ან ცალკეული სამოქალაქო პირი, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობდა სამხედრო მოქმედებებში;
3. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა თავდასხმის ობიექტად ექცია სამოქალაქო პირები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(e)(II)

ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებული განმასხვავებელი ნიშნებით მოსარგებლე ობიექტზე ან პირებზე თავდასხმით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელი თავს დაესხა ერთ ან რამდენიმე პირს, შენობას, სამედიცინო ერთეულს, ტრანსპორტს ან სხვა ობიექტს, რომლებიც, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, სარგებლობენ განმასხვავებელი ნიშნებით ან იდენტიფიკაციის სხვა საშუალებებით, რომლებიც ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებულ დაცვაზე მიუთითებენ.
2. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა, ამგვარი განმასხვავებელი ნიშნებით მოსარგებლე პირები, შენობები, ერთეულები, ტრანსპორტი თუ სხვა ობიექტები თავდასხმის ობიექტებად ექცია.
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;

5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(e)(III)

ჰუმანიტარული დახმარებისა და სამშვიდობო მისიების პერსონალზე ან ობიექტზე თავდასხმით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა განახორციელა თავდასხმა;
2. თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდა ჰუმანიტარული დახმარების ან სამშვიდობო მისიების პერსონალი, ნაგებობები, მასალები, ერთეულები თუ სატრანსპორტო საშუალებები;
3. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა თავდასხმის ობიექტად ექცია ამგვარი პერსონალი, ნაგებობები, მასალები, ერთეულები ან სატრანსპორტო საშუალებები;
4. ამგვარ პერსონალს, ნაგებობებს, მასალებს, ერთეულებს ან სატრანსპორტო საშუალებებს მინიჭებული ჰქონდა, სამოქალაქო პირების ან ობიექტებისათვის შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობის უფლება.
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ამგვარ დაცვას ანესებდა.
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(e)(IV)

დაცულ ობიექტებზე თავდასხმით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა განახორციელა თავდასხმა.
2. თავდასხმის ობიექტი იყო რელიგიური, საგანმანათლებლო, ხელოვნების, სამეცნიერო ან საქველმოქმედო მიზნებისათვის განკუთვნილი ერთი ან რამდენიმე შენობა, ისტორიული

მონუმენტები, ჰოსპიტლები ან ავადმყოფთა და დაჭრილთა განთავსების ადგილები, რომლებიც წარმოადგენს სამხედრო სამიზნეებს.

3. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა თავდასხმის ობიექტად ექცია რელიგიური, საგანმანათლებლო, ხელოვნების, სამეცნიერო ან საქველმოქმედო მიზნებისათვის განკუთვნილი ერთი ან რამდენიმე შენობა, ისტორიული მონუმენტები, ჰოსპიტლები ან ავადმყოფთა და დაჭრილთა განთავსების ადგილები, რომლებიც წარმოადგენენ სამხედრო სამიზნეებს.
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(e)(V)

გაძარცვით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა მიითვისა გარკვეული ქონება;
2. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა მესაკუთრისათვის წაერ თმია მისი ქონება და იგი პირადი ან კერძო მიზნებისათვის გამოეყენებინა;
3. მიითვისება მესაკუთრის თანხმობის გარეშე მოხდა;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(e)(VI)-1

გაუპატიურებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ხელყო პირის სხეული ქმედებით, რომელმაც სასჯესო ორგანოთა საშუალებით, გამოიწვია დაზარალებულის ან ამსრულებლის სხეულის ნებისმიერ ნაწილში თუნდაც

- უმნიშვნელო შეღწევა, ან სხეულის ნებისმიერი ნაწილით ან ნებისმიერი საგნით დაზარალებულის ანალურ ან გენიტალიურ ხვრელში შეღწევა;
2. ხელყოფა განხორციელდა ამ პირის ან სხვა პირის მიმართ ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან იძულებით, რომელიც გამოწვეულია ძალადობის, უხეში იძულების ან პატიმრობის შიშით, ფსიქოლოგიური ზეწოლით, ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, ან იძულებითი გარემოს გამოყენებით; ან ხელყოფა განხორციელდა იმ პირის მიმართ, რომელსაც არ ჰქონდა თავისი ქვეშაირი სურვილის გამოხატვის უნარი;
 4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
 5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(e)(VI)-2

სექსუალური დამონებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ განახორციელა შეძენაში, გაყიდვაში, სარგებლობის უფლების გადაცემაში, გაცემაში ან მათთვის თავისუფლების ანალოგიურად აღკვეთაში გამოხატული მესაკუთრის ნებისმიერი ან ყველა უფლება.
2. ამსრულებელმა ეს პირი ან პირები ჩააბა სექსუალური ხასიათის ერთი ან რამდენიმე ქმედების განხორციელებაში
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(e)(VI)-3

პროსტიტუციის იძულებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი ან რამდენიმე პირი აიძულა მონაწილეობა მიეღო სექსუალურ ხასიათის ერთი ან რამდენიმე ქმედების განხორციელებაში, ამ პირის ან პირების, ან სხვა პირის მიმართ ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან იძულებით, რომელიც გამოწვეულია ძალადობის, უხეში იძულების ან პატიმრობის შიშით, ფსიქოლოგიური ზეწოლით ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით, ან იძულებითი გარემოს გამოყენებით, ან პირის ან პირების უუნარობით, გამოეხატათ თავიანთი ნამდვილი სურვილი.
2. ამსრულებელმა ან სხვა პირმა, სექსუალური ხასიათის ამგვარი ქმედებების საფასურად, ან მათთან დაკავშირებით მიიღო ფინანსური თუ სხვაგვარი სარგებელი, ან ელოდა ასეთი სარგებლის მიღებას;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(e)(VI)-4

იძულებით დაორსულებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა დააკავა იძულებით დაორსულებული ერთი ან რამდენიმე ქალი, მოსახლეობის ნებისმიერი შემადგენლობის შეცვლისა და საერთაშორისო სამართლის სხვა სერიოზული დარღვევის მიზნით;
2. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;

3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(e)(VI)-5

იძულებით სტერილიზებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთ ან რამდენიმე პირს წაართვა ბიოლოგიური რეპროდუქციის უნარი;
2. ქმედება გაუმართლებელი იყო ამ პირის ან პირების სამედიცინო თუ სტატისტიკური მკურნალობის თვალსაზრისით და მათი თანხმობის გარეშე განხორციელდა;
3. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
4. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8(2)(e)(VI)-6

სექსუალური ძალადობით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ განახორციელა სექსუალური ხასიათის ქმედება; ან აიძულა ერთი ან რამდენიმე პირი, ჩაბმულიყვნენ ამგვარ ქმედებათა განხორციელებაში ამ პირის ან პირების, ან სხვა პირის მიმართ ძალის გამოყენებით, ძალის გამოყენების მუქარით ან იძულებით, რომელიც გამოწვეულია ძალადობის, უხეში იძულების, ან პატიმრობის შიშით, ფსიქოლოგიური ზეწოლით, ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით, ან იძულებითი გარემოს გამოყენებით, ან პირის ან პირების უუნარობით, გამოეხატათ თავიანთი ქვეშევრდკი ნება.
2. ეს ქმედება თავისი სიმძიმით ჟენევის კონვენციებისათვის საერთო მე-3 მუხლის სერიოზული დარღვევის თანაფარდით იყო.

3. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ქმედების სიმძიმეზე მიუთითებდა.
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (e) (VII)

შეიარაღებულ ძალებში ბავშვების გაწვევით, განაწილებით ან გამოყენებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთი ან რამდენიმე პირი გაიწვია ან გაანაწილა შეიარაღებულ ძალებში ან დაჯგუფებაში, ან გამოიყენა ისინი საბრძოლო მოქმედებებში უშუალო მონაწილეობისათვის;
2. ეს პირი ან პირები, 15 წლამდე ასაკისანი იყვნენ;
3. ამსრულებელმა იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, რომ ეს პირი ან პირები 15 წლამდე ასაკისანი იყვნენ;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (e) (VIII)

სამოქალაქო პირთა გადაადგილებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა სამოქალაქო მოსახლეობის გადაადგილების ბრძანება გასცა;
2. ამგვარი ბრძანება გაუმართლებელი იყო სამოქალაქო პირთა

- უსაფრთხოების ან სამხედრო აუცილებლობის თვალსაზრისით;
3. ამსრულებელს, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ამგვარი ბრძანების გაცემით შეეძლო გადაადგილების განხორციელება;
 4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
 5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (e) (IX)

ვერაგულად მოკვლით ან დაჭრით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა მოწინააღმდეგის ერთი ან რამდენიმე მებრძოლის ნდობა მოიპოვა იმით, რომ დაარწმუნა ისინი, რომ შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობენ, ან ამგვარი დაცვის მინიჭების მოვალეობა აქვთ;
2. ამსრულებელს განზრახული ჰქონდა, გაეცრუებინა ამგვარი ნდობა;
3. ამსრულებელმა მოკლა ან დააზიანა ეს პირი ან პირები;
4. ამსრულებელმა ამ პირის ან პირების მოსაკლავად ან დასაზიანებლად გამოიყენა ამგვარი ნდობა;
5. ეს პირი ან პირები მოწინააღმდეგე მხარეს განეკუთვნებოდნენ;
6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
7. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (e) (X)

შენჯალდებაზე უარის თქმის განცხადებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა განაცხადა ან ბრძანება გასცა, რომ ცოცხლად არავინ უნდა გადარჩენილიყო;
2. ამგვარი განცხადება ან ბრძანება მიზნად ისახავდა მოწინააღმდეგის დაშინებას ან სამხედრო მოქმედებების იმგვარად წარმოებას, რომ ცოცხალი არავინ გადარჩენილიყო;
3. ამსრულებელი ეფექტურად ხელმძღვანელობდა ან აკონტროლებდა მისდამი დაქვემდებარებულ იმ ძალებს, რომელთაც განეკუთვნებოდა ეს განცხადება ან ბრძანება;
4. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
5. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (e) (XI)-1

დასახიჩრებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა მუდმივი დამახინჯებითა თუ მუდმივი დახეობით, ან რომელიმე ორგანოსა თუ დანაშაულის ამორთმევით დაასახიჩრა ერთი ან რამდენიმე პირი;
2. ქმედებამ გამოიწვია ამ პირის ან პირების სიკვდილი, ან სერიოზული საფრთხე შეუქმნა მათ ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობას;
3. ქმედება გაუმართლებელი იყო სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სტაციონარული თვალსაზრისით, ან არ შეესაბამებოდა ამ პირის ან პირების ინტერესებს;
4. ეს პირი ან პირები კონფლიქტის მეორე მხარის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ;
5. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
6. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს,

საერთაშორისო სისხლის სამართალი

რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (e) (XI)-2

სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა ერთ ან რამდენიმე პირზე ჩაატარა სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტი;
2. ექსპერიმენტმა ამ პირის ან პირების სიკვდილი გამოიწვია, ან სერიოზული საფრთხე შეუქმნა მათ ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობას ან მთლიანობას;
3. ექსპერიმენტი გაუმართლებელი იყო სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სტაციონარული მკურნალობის თვალსაზრისით, ან არ შედიოდა ამ პირის ან პირების ინტერესებში;
4. ეს პირი ან პირები მონინალმდეგის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ;
5. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
6. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

მუხლი 8 (2) (e) (XII)

მონინალმდეგის ქონების განადგურებით ან მიტაცებით გამოხატული ომის დანაშაული

ელემენტები

1. ამსრულებელმა გაანადგურა ან მიიტაცა გარკვეული ქონება;
2. ამგვარი ქონება მონინალმდეგის საკუთრებას წარმოადგენდა;
3. ამგვარ ქონებას განადგურების ან მიტაცებისაგან შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართალი იცავდა;
4. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ამ ქონების სტატუსზე მიუთითებდა;
5. განადგურება ან მიტაცება არ იყო განპირობებული სამხედრო აუცილებლობით;

დანაშაულის ელემენტები

6. ქმედება განხორციელდა საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და მას უკავშირდებოდა;
7. ამსრულებელი აცნობიერებდა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. INTERNATIONAL CRIMINAL LAW
CASES AND MATERIALS - Jordan J. Paust; M. Cherif Bassiouni; Sharon A. Williams; Michael Scharf; Jimmy Gurulé; Bruce Zagaris.
Carolina Academic Press 1996.
2. INTERNATIONAL LAW
CASES AND MATERIALS - Louis Henkin; Richard Crawford Pugh; Oscar Schachter; Hans Smit.
American Casebook series 1987.
3. INTERNATIONAL LAW - Steven Wheatly 1996.
4. МЕЖДУНАРОДНОЕ УГОЛОВНОЕ ПРАВО - В.П. Панов, 1997
5. НЮРНБЕРГСКИЙ ПРОЦЕСС
Сборник Материалов Том I; Том II Издание Третье, 1955
6. NOUVELLES ÉTUDES PÉNALES - ICC RATIFICATION AND
NATIONAL IMPLEMENTING LEGISLATION - ASSOCIATION
INTERNATIONALE DE DROIT PENAL 1999
7. GENOCIDE IN INTERNATIONAL LAW; The Crimes of Crimes -
William A. Schabas 2002
8. MULTILATERAL TREATIES AS EVIDENCE OF CUSTOMARY
INTERNATIONAL LAW - Richard R. Baxter 1968
9. COMMENTARIES ON THE LAW OF ENGLAND -
W. Blackstone 1765
10. DE JURE BELLI AC PACIS, BK. II - Hugo Grotius 1624
11. AUT DEDERE AUT JUDICARE: the Duty to Prosecute or Extradite -
M. Cherif Bassiouni & Edward M. Wise 1995
12. THE LEGAL POSITION OF WAR: Changes in its Practice and Theory
from Plato to Vattel - W. Bellis 1937
13. A STUDY OF WAR - Q. Wright 1964

